

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ელექტრონული ჟურნალი №2



რედაქტორი - ინგა გოგიბერიძე

რედკოლეგია:

ლ. ჭყონია

ნ. ჩიკვაძე

რ. ქინქლაძე

მ. ჩხატარაშვილი

ნ. კაკიტაძე

ნ. ვაშაყმაძე

ს. ინაიშვილი

ბ. ხუციშვილი

სარჩევი

რუბრიკები

კითხვის დრო ინგასთან ერთად

„პატარა ქალაქის ზღაპრები“	7 გვ
კაცი - სახელად „არა“	8 გვ
„ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“	9 გვ
„ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“	10 გვ
ჰანს კრისტიან ანდერსენის ბიოგრაფია	11 გვ

შემეცნებითი კლუბი „ბაბუაწვერა

გასაუბრება ია კარგარეთელთან	12 გვ
გასაუბრება თათული ღვინიანიძესთან	13 გვ

შენი სივრცე

შეხვედრა ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“	14 გვ
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის "პატარა უფლისწული"	15 გვ
„ნელი ტანგო“	15 გვ

ღია კარის დღე

ღია კარის დღე და პროექტი „კითხვის დრო ინგასთან ერთად“	16 გვ
სტუმრები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან	17 გვ
უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების ვიზიტი ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში	18 გვ
სტუმრად ბიბლიოთეკაში	19 გვ
სტუმრად ბიბლიოთეკაში	20 გვ

ბიბლიოთეკა და ბიბლიოგრაფიული მიეზანი

"ნარკომანიასთან ბრძოლის დღე"	21 გვ
მაია ბურჭულაძის-რჩეული დეტექტივები	22 გვ
ტიერი ფრემოს - "კანის ფესტივალი"	23 გვ
ქართული ლიტერატურა უცხოურ ენებზე	24 გვ
დეილი კარნეგის შემოქმედება	25 გვ
უილკი კოლინზი-მთვარის სპეკალი	26 გვ
წიგნები სერიიდან „მარტივად“	27 გვ
მარგერიტ დიურასი - ტარკვინიის პატარა ცხენები	28 გვ
ანრი მარი ბეილი - „წითელი და შავი“	29 გვ

„ბიტლზი დღიდან დღემდე.“ -----	30 გვ
ხარიტონ ახვლედიანი - „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“ -----	31 გვ
ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ -----	32 გვ
ჟურნალი - National Geographic -----	33 გვ
26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე -----	34 გვ
თანამედროვე უცხოური ლიტერატურა -----	36 გვ
ოლიკო ჟღენტი - „ბათუმი კინოში“ -----	37 გვ
„პალიტრა L“-ის სერიული გამოცემა სახელწოდებით „დიდი მხატვრები“ -----	38 გვ
„გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო“ -----	39 გვ
ვემზადებით აბიტურიენტობისთვის -----	40 გვ
პერიოდული გამოცემები ეკონომიკის დარგში -----	41 გვ
პერიოდული გამოცემები ბიზნესის დარგში -----	42 გვ
„ენა დედაა ერისაო“ -----	43 გვ
9 აპრილი -----	44 გვ
თურქეთის საზღვრებში მოქცეული ძველი ისტორიული მხარეები -----	45 გვ
კაბადოკია -----	46 გვ
ჰარი პოტერი -----	47 გვ
მე მზად ვარ ჩემი გული გადაგიშალოთ...	
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ მწერალ დათია ბადალაშვილთან -----	48 გვ
ნატალია ჭყონიას ინტერვიუ ბელა ქეზურიასთან -----	51 გვ
ნატალია ჭყონიას ინტერვიუ გიზო თავაძესთან -----	62 გვ
ახალგაზრდა მხატვარი ნინო გოგოლიშვილი -----	65 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ქეთევან ოთარაშვილთან -----	68 გვ
ბათუმის ამერიკული კუთხე	
ამერიკული ფესტივალი - 2019 -----	71 გვ
კოსტიუმირებული სადამო -----	72 გვ
საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება	
"ქართულ-ფრანგული სკოლა "საზღაპრეთში" -----	73 გვ
შეხვედრა კლუბ „საზღაპრეთში“ -----	74 გვ
საუბარი : „ხელოვანის ბედი შუა საუკუნეების საქართველოში და დღეს!“ -----	75 გვ
"კინო -კლუბი „ფილმების სადამოები“ -----	76 გვ
"კინო -კლუბი „ფილმების სადამოები“ -----	77 გვ

საბიბლიოთეკო გაკვეთილი: „ევროპა და საქართველო“ -----	78 გვ
ახალი ლიტერატურის წარდგენა -----	79 გვ
ლიტერატურული კლუბი - „მოგზაურობა წიგნით“ -----	80 გვ
საბავშვო - ახალგაზრდობის განყოფილებას კერძო სკოლა “ნიკეს” მოსწავლეები ეწვივნენ -----	81 გვ
საუბარი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაზე -----	82 გვ
კლუბ საზღაპრეთში „ალადინი“ წაიკითხეს -----	83 გვ
“დღეს მე ბიბლიოთეკარი ვარ” -----	83 გვ
სტუმრად კერძო ბაგა-ბაღის „მერი პოპინს“-ის აღსაზრდელებთან -----	84 გვ
“საზღაპრეთს” კერძო სკოლა “იბერიის” მოსწავლეები სტუმრობდნენ -----	85 გვ
საბიბლიოთეკო გაკვეთილი თემაზე - “წარსული, აწმყო, მომავალი - თაობათა ურთიერთობა ” -----	86 გვ
საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებას კერძო საბავშვო ბაღის „მინიონ ქიდსის“ აღსაზრდელები სტუმრობდნენ -----	87 გვ
„საზღაპრეთს“ კერძოს სკოლა “თამარისის” მოსწავლეები სტუმრობდნენ -----	88 გვ
საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე -----	89 გვ
ბიბლიოთეკის ღონისძიებები და აქტივობები	
ინგა გოგიბერიძის საიუბილეო საღამო -----	90 გვ
ბათუმობა 2019 -----	91 გვ
გულნარა მიქანაძე-სვანიძის მინიატურული თოჯინების გამოფენა -----	92 გვ
პოეტ ბელა ქეზურია 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო -----	93 გვ
შეხვედრა მწერალ და მუსიკოს ნინო გუგეშაშვილთან -----	94 გვ
შეხვედრა პოეტ - სოფიო ფოცხვერაშვილთან -----	95 გვ
მწერალ გიზო თავაძის 60 წლის იუბილე -----	96 გვ
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე -----	97 გვ
შეხვედრა მწერალ მაკა ლდოკონენთან -----	98 გვ
ქართულ-აფხაზური ოჯახების წარმომადგენლებთან შეხვედრა -----	99 გვ
პოეტ ნანა კვაშილავას პოეზიის საღამო -----	100 გვ
საბიბლიოთეკო კვირეული-2019 საზეიმო დახურვა -----	101 გვ
მეცნიერებათა დოქტორ, თამარ ასანიშვილის საჯარო ლექცია -----	102 გვ
ქართული ფოლკლორის საღამო -----	103 გვ
უილიამ შექსპირის იუბილესადმი მიძღვნილი "სონეტების საღამო" -----	104 გვ

რამინ ადუაშვილის პოეზიის საღამო -----	105 გვ
შეხვედრა თანამედროვე პოეტ მაყვალა დავლაძესთან -----	106 გვ
საუბარი ცხოვრების ჯანსაღ წესზე -----	107 გვ
ცირა ბარბაქაძის საჯარო ლექცია-----	108 გვ
„ჩარლი ჩაპლინი - 130“ -----	108 გვ
აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე -----	109 გვ
დენიელ კიზის ნაწარმოების „ყვავილები ელჯერნონისთვის“ -----	110 გვ
სიახლეები	
დიდი თონეთი, დათია და ვაჟაობა -----	111 გვ
ვიზიტი ხელვაურის ბიბლიოთეკაში -----	110 გვ
პროექტი „ცოცხალი წიგნები" - 2019 ბათუმში -----	111 გვ
ტრენინგი „პროგრამათა და აქტოვობათა სტრატეგიული დაგეგმვა“ -----	112 გვ
მხატვრის მასტერკლასი -----	114 გვ
წიგნიერი 2019 -----	115 გვ
„ციფრული ფოტომატიანე“ -----	116 გვ
ტრენინგი „მონაცემთა ვიზუალიზაცია“ -----	117 გვ
საბიბლიოთეკო დღეების დასკვნითი ღონისიება თსუ-ში —	
თსუ ბიბლიოთეკა/TSU library-ში -----	118 გვ
„2018-2019 წლებში ჩატარებული საქმიანობა“ -----	119 გვ
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების განყოფილების მუშაობის გაცნობა -----	121 გვ
ანალიტიკური აღწერილობა ჟურნალ - „ლიტერატურული აჭარა“ -----	122 გვ
ქართული წიგნებისა და კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგები -----	122 გვ
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დღეს! - ელექტრონული ჟურნალის წარდგინება -----	123 გვ
აჩუქე წიგნი -----	123 გვ
წიგნის საერთაშორისო დღე -----	126 გვ
2019 წლის 23 აპრილი, წიგნის საერთაშორისო დღე -----	127 გვ

„პატარა ქალაქის ზღაპრები“

✓დღეს, კაკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, პროექტ „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ ფარგლებში მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმის კერძო სკოლა „ევრო 2000“-ის მეორე (გ) კლასის მოსწავლეები პედაგოგ ირმა გათენაძესთან ერთად. შეხვედრის დასაწყისში საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე ბავშვებს ქართული სამოსის დღესთან დაკავშირებით აჭარულ ტრადიციულ სამოსზე ესაუბრა. განიხილეს და ვიზუალურად თვალი შეავლეს ფოტოებს სადაც, აჭარელი კაცისა და ქალის შესამოსელი დეტალურადაა ნაჩვენები.

✓პატარების საყვარელი, თანამედროვე მწერლის, გურამ პეტრიაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით ინგა გოგიბერიძემ ბავშვებს წიგნიდან - „პატარა ქალაქის ზღაპრები“, „პირველი ზღაპარი“ წაუკითხა.

✓ბიბლიოთეკაში არსებულ „ამერიკულ კუთხეში“ პატარები თანამედროვე სამაგიდო თამაშებით გაერთნენ.

✓საჯარო ბიბლიოთეკას, ღია კარის დღის ფარგლებში ხელვაჩაურის რაიონის ჭარნალის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი ქეთევან მახარაძე მოსწავლეებთან ერთად სტუმრობდნენ.



კაცი - სახელად „არა“

დღეს, აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ ახალ და ორიგინალურ გარემოში ჩატარდა. შეხვედრას კერძო სკოლა "ევრო-2000-ის" მესამე კლასის მოსწავლეები (პედაგოგი ირმა გათენაძე) ესწრებოდნენ.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ პატარებს თანამედროვე საბავშვო მწერლის - ბონდო მაცაბერიძის წიგნიდან „წერილები წეროს ბუდიდან“, ახალი კონვერტიდან ამოღებული მეხუთე წერილი - ზღაპარი „არა“-ზე წაუკითხა. ზღაპრის დასასრული ბავშვებმა თავად უნდა გააგრძელონ და იპოვონ სიტყვა „კი“, რომელსაც აუცილებლად იტყვის კაცი - სახელად „არა“.



„კითხვის დრო“ ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის ფარგლებში

2019 წლის 1 მაისს, 15 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო



ბიბლიოთეკაში, „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ ფარგლებში, პროექტში - „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ მონაწილეობა მიიღეს ბათუმის კერძო სკოლა „ევრო-2000“-ის მეორე კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი - ლელა მოწონელიძე). თავდაპირველად ბავშვებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკის სხვადასხვა განყოფილებები და საცავები;

გაწევრიანდნენ და აიღეს მკითხველის ბარათები.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ თანამედროვე მწერლის - ბესიკ კეკელიძის წიგნიდან „ტყისპირა ქოხიდან მოყოლილი ამბავი“, ზღაპარი - „კეთილი სტუმარი“ წაუკითხა. ისაუბრეს სიკეთეზე, განათლებაზე, ღვთის სიყვარულზე და წიგნის კითხვის აუცილებლობაზე.

„ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“ განაგრძობს ბავშვებისა და მოზარდი თაობის ჩართულობით აქტიურ მუშაობას განათლების ამაღლებისათვის და უკეთესი მომავლისათვის!



„ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“

დღეს, 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, პროექტში „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ მონაწილეობა მიიღო ბათუმის „ქათულ-ამერიკული სკოლის“ მეოთხე „ა“ და „ბ“ კლასის მოსწავლეებმა. ბავშვებს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ რევაზ ინანიშვილის საუკეთესო მოთხრობა „ლოჭინთან“, დავით აღმაშენებლის წიგნის სიყვარულზე წაუკითხა. პატარებმა ეს არ იკმარეს და სასაჩუქრე წიგნიდან საკუთარი მინიატურებიც წააკითხინეს ავტორს. ქალბატონმა ინგამ ბავშვებს წიგნის სიყვარულზე და კითხვის აუცილებლობაზეც ესაუბრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ სკოლას და კლასს საკუთარი წიგნი - „ასე მგონია არფაზე უკრავ“ საჩუქრად გადასცა. უსაჩუქროდ არც ბავშვებმა დატოვეს საყვარელი მეზღაპრე და ორი წიგნი უსახსოვრეს დიდი სიყვარულით.



ჰანს კრისტიან ანდერსენის ბიოგრაფია

2019 წლის 2 აპრილს, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე განსაკუთრებულად აღინიშნა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების ღონისძიებას, ძირითადი კორპუსი შეუერთდა პროექტით, "კითხვის დრო ინგასთან ერთად". ქალაქ ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის აღსაზრდელებს, ბიბლიოთეკის დირექტორმა, ინგა გოგიბერიძემ გააცნო იუბილარ, ჰანს კრისტიან ანდერსენის ბიოგრაფია და შემოქმედება. შეხვედრის ძირითადი დრო კი დაეთმო, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის ზვიად გამსახურსდიას და მწერალ გურამ დოჩანაშვილის მოღვაწეობის და მეგობრობის ამსახველ ისტორიებს. დასასრულს პატარებისათვის წაკითხული იყო გურამ დოჩანაშვილის ნოველა "პირველი კონცერტი". ქალბატონმა ინგამ პირველად აზიარა ბავშვები ბუმბერაზი მწერლის შემოქმედებას და მეგობრობისა და ურთიერთსიყვარულის დიად მნიშვნელობაზე ესაუბრა.



შემეცნებითი კლუბი "ბაბუაწვერა"

გასაუბრება ია კარგარეთელთან

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის შემეცნებითი კლუბის "ბაბაწვერა" მორიგი შეხვედრა 2019 წლის 4 მაისს, 16 საათზე გაიმართა. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიდეო-ჩართვის საშუალებით შეხვედროდნენ ახალგაზრდა მწერალ ია კარგარეთელს. ქალბატონმა იამ გულახდილად უპასუხა კლუბის წევრების შეკითხვებს და საინტერესო რჩევებიც მისცა მწერლობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს. შეხვედრას ესწრებოდა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ინგა გოგიბერიძე, რომელმაც გამოთქვა ინიციატივა, ია კარგარეთელი უკვე პირადად ესტუმროს ჩვენს ბიბლიოთეკას და ბათუმს ახალი წიგნის პრეზენტაციით.



გასაუბრება თათული ღვინიანიძესთან

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის შემეცნებითი კლუბის “ზაბუაწვერა“ ყოველკვირეული შეხვედრები ახალი ფორმატით გრძელდება. კლუბის წევრებს შესაძლებლობა ეძლევათ პირადაპირი ჩართვის საშუალებით ესაუბრონ თანამედროვე მწერლებს.



2019 წლის 6 აპრილს, 16 საათზე ინტერნეტის საშუალებით კლუბის წევრებს ესაუბრა ახალგაზრდა მწერალი თათული ღვინიანიძე. მან ენთუზიაზმით გააცნო ახალგაზრდებს მისი შემოქმედება და შეკითხვებსაც გულწრფელად უპასუხა. თათული ღვინიანიძემ შეხვედრაზე მისი მეორე ნაწარმოების გამოცემაც დაანონსა

და კლუბის წევრებს გაუმხილა, თუ რომელ საზოგადოებრივ პრობლემებს დაეთმობა იგი.

შენი სივრცე

შეხვედრა ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აბონემენტის



განყოფილებაში არსებულ ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“, (ხელმძღვანელი, აბონემენტის განყოფილების წამყვანი ბიბლიოთეკარი მარიამ ძნელაძე) 2019 წლის 15 ივნისს მეორე შეხვედრა გაიმართა, სადაც კლუბის მონაწილეებმა იმსჯელეს “პატარა უფლისწულის” დღემდე გაუხუნარ თემებზე - სიყვარულზე და მეგობრობაზე.

მომდევნო შეხვედრის განსახილველი თემა დიდებული ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოები “ნელი ტანგო” იქნება; ვინაიდან ნაწარმოები მცირეა, მაგრამ დიდი აზრის მატარებელი, კლუბის წევრებს აქვთ საშუალება დამატებით კიდევ რომელიმე ნაწარმოები წაიკითხონ გ.რჩეულიშვილის შემოქმედებიდან.

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის "პატარა უფლისწული"

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აბონემენტის



განყოფილებაში 2019 წლის, 8 ივნისს ფუნქციონირება დაიწყო ახალმა ლიტერატურულმა კლუბმა „შენი სივრცე“, სადაც შეიკრიბნენ ქალაქ ბათუმის პირველი საჯარო, მეცხრე საჯარო და მესამე საჯარო სკოლის მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეები. კლუბის ხელმძღვანელმა აბონემენტის განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარმა მარიამ ძნელაძემ,

ბავშვებს გააცნო, ყველაზე პოპულარული ფრანგულენოვანი წიგნი და ყველა დროის ბესტსელერი, თავად ავტორი კი საფრანგეთის რამდენიმე უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს ლაურეატი. ნაწარმოების ნახევარზე მეტი ავტორის თავს გადამხდარი ისტორიებია, მათ შორის გულისამაჩუყებელი ამბავი მარტოობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულსა და სასოწარკვეთაზე, რასაც ის დედამიწაზე ჩამოვარდნილი პატარა პრინცის პირით ჰყვება.

„ნელი ტანგო“

2019 წლის 23 ივნისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში არსებულ ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“, (ხელმძღვანელი, აბონემენტის განყოფილების წამყვანი ბიბლიოთეკარი მარიამ ძნელაძე) მორიგი შეხვედრა ჩატარდა. კლუბის წევრებმა განიხილეს გურამ რჩეულიშვილის „ნელი ტანგო“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა მათზე. შემდეგი შეხვედრისთვის წაიკითხავენ და განიხილავენ ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობებს: „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და „მოხუცი და ზღვა“. შემდეგი შეხვედრა 30 ივნისს ჩატარდება.



ღია კარის დღე და პროექტი „კითხვის დრო ინგასთან ერთად“.

2019 წლის 7 ივნისს, 15 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღია კარის დღე და პროექტი „კითხვის დრო ინგასთან ერთად“, რომელშიც ბათუმის მეთერთმეტე საჯარო სკოლის მეოთხე კლასის (პედაგოგი - მაკა ტულუში) და პირველი საჯარო სკოლის მესამე კლასის (პედაგოგი - ეკა სირაძე) მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ბავშვებმა დაათვალიერეს საჯარო ბიბლიოთეკის სხვადასხვა განყოფილებები და საცავები; შემდეგ გადაინაცვლეს პროექტ „კითხვის დრო“-სთვის გამოყოფილ თანამედროვე სივრცეში, სადაც მათ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ინგა გოგიბერიძემ საინტერესო ამბები და საზაფხულო არდადეგებისათვის საბავშვო, სახალისო საკითხავი წიგნების ჩამონათვალი გააცნო; ბავშვებს ასწავლა თუ, როგორ შეიძლება დროის სწორად განაწილება ისე, რომ ზაფხული სახალისოც იყოს და საინტერესოც; წაუკითხა რევაზ ინანიშვილის ცნობილი მოთხრობა „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“ და საზაფხულოდ დავალებაც მისცა პატარებს: „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლის“ ფინალი უნდა შეცვალონ და შემდეგი შეხვედრისთვის პედაგოგთან ერთად განიხილონ საკუთარი ნამუშევრები.



სტუმრები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან

♥♥დღეს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზური ენის სპეციალისტი თეიმურაზ გვანცელაძე და სტუდენტები ეწვივნენ. ძალიან საინტერესო წიგნებით გამდიდრდა ჩვენი ფონდი-აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, დიმიტრი გულიას ლექსების კრებული აფხაზურ ენაზე და ბევრი სხვა საინტერესო წიგნი გვქვს უკვე.....გვეწვიეთ.....



**უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების
ვიზიტი ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში**

2019 წლის 15 მაისს, 12 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სტუმრად ეწვივნენ ვროცლავის ფიზიკური აღზრდის საუნივერსიტეტო სკოლის, ალექსანდრა სტულგინსკის უნივერსიტეტის, კვიპინის უნივერსიტეტის, სილეზიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და რენე 1-ის უნივერსიტეტის პროფესორები. მათი ვიზიტის ინიციატორი და მასპინძელი გახლავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ქალბატონი ნანა ყურშუბაძე. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ კოლეგებთან ერთად საპატიო სტუმრებს წიგნად ფონდში დაცული უძველესი გამოცემები წარუდგინა, გააცნო ქართული დამწერლობის და ბეჭდური გამომცემლობების ისტორია საქართველოში და მომავალი ურთიერთანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.



სტუმრად ბიბლიოთეკაში

დღეს, 24 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში



სტუმრად იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმის №15 საჯარო ბაღის აღსაზრდელები (მეთოდისტი დოდო ლაღაძე, აღმზრდელები მ. ჯაში, მ.ზანაქიძე), ფსიქოლოგი მ. მელიქიშვილი. ამერიკული კუთხისა და აბონემენტის განყოფილების დათვალიერების შემდეგ, ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ ბავშვებთან ამინდის შესახებ ისაუბრა. პატარებმა გამოხატეს თავიანთი ემოციები,

შეხედულებები. ხალისიანი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით მიმდინარეობდა.

სტუმრად ბიბლიოთეკაში

2019 წლის 4 აპრილს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას „ღია კარის“ დღის ფარგლებში სტუმრობდნენ ქ. ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის „ლიტერატურული კარცერის“ წევრები (კლუბის ხელმძღვანელები: მადონა თებიძე, გულო ბასილაძე).

მოსწავლეები საჯარო ბიბლიოთეკის ფოიეში ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ფოტო-გამოფენას გაეცნენ. პერიოდიკისა და აბონემენტის



განყოფილებათა დათვალიერების შემდეგ, ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე ბავშვებს გაესაუბრა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და დიდი კლასიკოსის, გურამ დოჩანაშვილის, მეგობრობის შესახებ.

გ. დოჩანაშვილის საიუბილეო წელთან დაკავშირებით მწერლის ლიტერატურული შემოქმედების კიდევ უფრო კარგად გასაცნობად წაკითხულ იქნა მოთხრობა: „პირველი კონცერტი“.

ბავშვებმა ყურადღებით მოისმინეს და იმსჯელეს პერსონაჟთა (ბებია-შვილიშვილის) ურთიერთდამოკიდებულებაზე; ისაუბრეს ნაწარმოებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე, გამოკვეთეს თაობათა შორის რეალურად არსებული პრობლემები; თამამად გამოხატეს საკუთარი ემოციები და შეხედულებები აღნიშნული თემების ირგვლივ.

"ნარკომანიასთან ბრძოლის დღე"

დღეს ნარკომანიასა და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

თარიღთან დაკავშირებით, 2019 წლის, 26 ივნისს აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო-სამკითხველო დარბაზში ღონისძიება გაიმართა. შეხვედრას ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის VII, IX, და X კლასის მოსწავლეები დაესწრნენ.

ლონისძიების დაწყებამდე, საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო-სამკითხველო დარბაზში მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელეონორა ძიგუამ მოსწავლეებს ჩვენს წიგნად ფონდში არსებული ის ლიტერატურა წარუდგინა, რომლებიც ნარკომანიასა და ამ მავნე დაავადებასთან ბრძოლას უკავშირდება.

შეხვედრის მეორე ნაწილი მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოების “მორფის” განხილვას დაეთმო.

მოსწავლეებმა თავისი მოსაზრებები გამოთქვეს წიგნში წარმოდგენილ პრობლემაზე და ისაუბრეს იმაზე, როგორ უნდა დაგეგმო შენი დრო ისე, რომ საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს, გახდე საზოგადოებისთვის საჭირო ადამიანი, რაც შემდგომ მოგცემს საშუალებას დაეხმარო შენს ირგვლივ მყოფთ.

საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერაძემ მოსწავლეებს ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.



მაია ბურჭულაძის-რჩეული დეტექტივები

მაია ბურჭულაძე თანამედროვე ქართული დეტექტივის ერთ-ერთი აღიარებული ოსტატია. მის კალამს რამდენიმე ათეული რომანი ეკუთვნის მათ შორისაა დეტექტიური რომანი „მემკვიდრე“, „შეყვარებული ჯარისკაცი“, „შეკვეთილი რეკვიემი“ და სხვა.

მაია ბურჭულაძის რომანები უკვე დიდი ხანია ქართულ ბესტსელერად იქცა და მას

ძალიან ბევრი მკითხველი ჰყავს.


ჟურნალ „სარკის“ ბიბლიოთეკა გთავაზობთ მაია ბურჭულაძის რჩეული რომანების მრავალტომეულს. ვფიქრობთ მისი დეტექტივები მკითხველების დიდ ინტერესს გამოიწვევს. წიგნი შპს „ფავორიტი პრინტმა“ გამოსცა 2000 წელს.

ქართველი მკითხველი ქართული დეტექტივებით განებივრებული არ არის. მაია ბურჭულაძის დეტექტივები სრულად

დააკმაყოფილებს მკითხველის მოთხოვნილებას ამ ჟანრის ლიტერატურაზე.


მთავარი ბიბლიოთეკარი

ელეონორა მიგუა



ტიერი ფრემოს - “კანის ფესტივალი“

კინომოყვარულებს მინდა გაცნობოთ, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითად წიგნსაცავში დაცულია კანის კინოფესტივალისა და ლუმიერების ინსტიტუტის დირექტორის ტიერი ფრემოს წიგნი სახელწოდებით „კანის კინოფესტივალი-დღიური, ჩანაწერები, მოგზაურობა.“ წიგნი დღიურების სახით დაწერილი დოკუმენტური პროზის ნიმუშია და ეხება მსოფლიო მასშტაბის კულტურულ მოვლენას, კანის საერთაშორისო კინოფესტივალს. წიგნს უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო დანიშნულება აქვს. ფრემო წიგნში ყვება კანის ფესტივალის მთელ პროცესს, როგორ ირჩევს ფილმებს, რას აქცევს ყურადღებას, რაც კარგი მასალაა ქართველი რეჟისორებისათვის. ფრემო საინტერესო მთხრობელია, უამრავი ფაქტის მოწმე და ამ ფესტივალთან დაკავშირებული თითქმის ყველა მოვლენის თვითმხილველი.



კინოს სიყვარულით დაწერილი დღიურები გვიქმნის ილუზიას წითელი ხალიჩისა, რომელზედაც გაიელვებენ ხოლმე ტიერი ფრემოს მეგობრები თუ მსოფლიო კინემატოგრაფის ვარსკვლავები: ტრიუფო, გოდარი, ტავერნიე, დიუვივიე, სკორსეზე, ტარანტინო, შონ პენი, დენირო, კატრინ დენევი ბერგმანი... ავტორი გატაცებით გვიყვება თავის უნიკალურ გამოცდილებაზე, საქმიანობაზე, თავის გატაცებებზე, აქა-იქ პირად ცხოვრებაზეც. ყველა ამ მიზეზის გამო წიგნი მალევე გახდა პოპულარული არა მხოლოდ კინომოყვარულებში, არამედ ჩვეულებრივ მკითხველშიც.

მობრძანდით, იკითხეთ ჩვენთან.

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე

ქართული ლიტერატურა უცხოურ ენებზე

ზოგადად ქართული ლიტერატურა ბევრ საინტერესო და მრავალფეროვან ნაწარმოებებს მოიცავს. ამჯერად ყურადღება მინდა გავამახვილო უცხოურ ენებზე თარგმნილ



ქართულ ლიტერატურაზე. არ არის ადვილი უცხოეთში ქართული ლიტერატურით დააინტერესო მოქალაქეები, თუმცა ამ საკითხს ემსახურება წიგნის მთარგმნელობითი სხვადასხვა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმნას, გამოცემას და მათ პოპულარიზაციას.

საქართველო ერთ-ერთი განვითარებადი ტურისტული ქვეყანაა, სადაც თითქმის ყველა ქვეყნის მოქალაქეს შეხვდებით. ბევრს აინტერესებს ცოტა რამ მაინც იცოდეს საქართველოს შესახებ. გაეცნოს მის კულტურასა და თუნდაც თვალი გადაავლოს ქართულ ლიტერატურას. ჩემი ბიბლიოთეკის უცხოურ განყოფილებაში მუშაობის გამოცდილება მამძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ნებისმიერ უცხოელს, რომელიც სტუმრობს ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკას, სიამოვნებას ანიჭებს იმ წიგნის ხილვა, რომელიც საკუთარ სალაპარაკო ენაზეა დაწერილი და შესაძლებლობა აქვს თუნდაც ერთი წიგნი იხილონ ჩვენს უცხოურ წიგნად ფონდში, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქართული ლიტერატურის, ქართველი მწერლების ნაწარმოებების, პროზის, პოეზიის, ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობის მიზნით წიგნების შეთავაზება. ფონდში არსებული ასეთი ლიტერატურა ძირითადად ინგლისურ ენაზეა, თუმცა გერმანულ, ფრანგულ, სომხურ, თურქულ, აზერბაიჯანულ ენებზეც მოიპოვება ნათარგმნი ქართული ნაწარმოებები. თემატურად შერჩეული ლიტერატურა უცხოურ ენებზე ყოველთვის მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკითხველისათვის.

✓ უცხოური ლიტერატურის გასნყოფილების უფროსი - ქეთევან ხოსრუაშვილი.

დეილი კარნეგის შემოქმედება

დეილი კარნეგი-ამერიკელი მწერალი, პუბლიცისტი, მასწავლებელი და ფსიქოლოგი. მან ჩამოაყალიბა უკონფლიქტო და წარმატებული ურთიერთობების თეორია. იგი აღიარებდა და ცხოვრობდა პრინციპით -არ არსებობენ ცუდი ადამიანები, არამედ არის უბრალოდ გაუგებარი გარემოებები, რასთანაც ბრძოლა შესაძლებელია და არ ღირს ამის გულისთვის სხვა ადამიანების ცხოვრების და ხასიათის გაფუჭება.

ამჟამად, 21-ე საუკუნეში დეილი კარნეგის ყოველთვის აქტუალური რჩევები თითოეულ მკითხველს დაეხმარება თავისი პოტენციალის გამოყენებაში და საკუთარი მნიშვნელოვნობის შეგრძნებაში.

ადამიანებს უყვართ კარნეგი, ვინაიდან ყველაფერი ცხოვრებისეული და მარტივია! მობრძანდით ბიბლიოთეკაში და აუცილებლად წაიკითხეთ...


ნატო გიორგაძე

ძირითადი წიგნსაცავი



უილკი კოლინზი-მთვარის სპეკალი

უილკი კოლინზი 1824 წელს დაიბადა ლონდონში.



მისი რომანი „მთვარის სპეკალი“ პირველ დეტექტივად მიიჩნევა, თვით მწერალი კი ამ ჟანრის ფუძემდებლად. მისი ნაწარმოებებით კინემატოგრაფისტები აქტიურად ინტერესდებიან. პირველად 1934 წელს გადაიღეს ამ ნაწარმოების მიხედვით მუნჯი კინო. 1959 წელს ბრიტანულმა ტელეარხმა „ბი-ბი-სიმ“ რომანი შვიდ სერიან ფილმად აქცია. 1972 წელს ისევ ინგლისელებმა გადაიღეს ფილმის მორიგი ვერსია. 1996 წელში გადაღებულმა ფილმის ახალმა ვარიანტმა დამსახურებული პრიზი მიიღო.

თვით მწერალი იხსენებს, რომ სკოლა-ინტერნატში სწავლის დროს ახალგაზრდა კოლინზს უფროსო კლასელები აიძულებდნენ ძილის წინ რაიმე ამბავი მოეყოლათ. ისიც იგონებდა კრიმინალურ თუ სხვა ამბებს. ყოველივე ამან გაამდიდრა მისი წარმოსახვა და ეს

ყოველივე ძალიან გამოადგა მწერლობაში. იგი ძალიან პოპულარული მწერალი.

საბავშვო-ახალგაზრდობის მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა ძიგუა

წიგნები სერიიდან „მარტივად“

გაგაცნობთ წარმატების ბიბლიოთეკის წიგნებს სერიიდან „მარტივად“

რეკლამა მარტივად-გერი დალი

პიარი მარტივად-ერიკ იავერბაუმი

ბრენდინგი მარტივად-ბილ ჩიარავალე

დღეს აქტუალურია თემები მარკეტინგი, გაყიდვები, პროექტის მართვა, რეკლამა, ბრენდინგი, პიარი. საქმის წამოწყება და განვითარება წარმოდგენილია თანამედროვე მართვის პრინციპებისა და საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ეს პრაქტიკული სახელმძღვანელოები დაგეხმარებათ შექმნათ ახალი ბრენდი,



გააძლიეროთ არსებული. გიკარნახებთ მიმზიდველი, შედეგიანი რეკლამის შექმნის ხერხებს. დაინახავთ, როგორ უნდა გაავრცელოთ ძლიერი, სწორად გამოიზნული მესიჯი, როგორ აწარმოოთ ისეთი პიარკომპანია, რომელიც დააინტერესებს მედიასა და საზოგადოებას, ყველას აალაპარაკებს და შექმნის ხმაურს.

დღევანდელი კონკურენციის პირობებში კი, დამეთანხმებით, ასეთ პრაქტიკულ რჩევებს დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომაც, მობრძანდით ბიბლიოთეკაში, გადაშალეთ ეს წიგნები და გაიგეთ მეტი...

გისურვებთ წარმატებებს!

ძირითადი წიგნსაცავი

ნატო გიორგაძე


მარგერიტ დიურასი - ტარკვინიის პატარა ცხენები

მოგესალმებით საერთო სამკითხველო დარბაზიდან!

მარგერიტ დიურასი - ტარკვინიის პატარა ცხენები

მარგერიტ დიურასი 1914 წელს დაიბადა საიგონში. დუბჭირი და ტანჯვა-წამებაში გატარებული ბავშვობა, რომლითაც იცხოვრა მისმა ოჯახმა, მწერალმა თავის რომანებში ასახა: „საყვარელი“ და „საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან“ და მიუძღვნა დედას, რომელიც უსაშველო შეუპოვრობით ებრძოდა გაჭირვებას, რათა შვილებისათვის ნორმალური განათლება მიეცა.

„დედაჩემის ცხოვრების ისტორიას აუცილებლად დავწერ... სხვაგვარად არ შემიძლია... ეს იქნება წიგნი დედაჩემის ცხოვრებაზე. მან მართლაც შეასრულა დანაპირები და დაწერა რომანი „კაშხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ“.



მწერალი 1996 წელს გარდაიცვალა პარიზში. რომანი „ტარკვინიის პატარა ცხენები“ 1953



წელს გამოქვეყნდა. ის მოგვითხრობს როგორ ატარებს რამდენიმე ფრანგი წყვილი ზაფხულს იტალიის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში.

ნაწარმოების მთავარი თემა სიყვარულია. რომანის ავტორს სწამს, რომ მარადიულ სიყვარული შესანიშნავია, თუმცა შეუძლებელი.

სიუჟეტი ერთი შეხედვით მარტივია, ხანდახან ბუნების მწირი, სურათები, თუ გაიელვებს: პერსონაჟები კი გამახსოვრდება, არა მათი გარეგნობით და სახელით. ხშირად არც კი გახსოვს რა ჰქვია გმირს, მაგრამ ის იმდენად ნაცნობი და ახლობელი ხდება, რომ ათასში გამოარჩევ.

აქ ხვდებით მორალის ჩარჩოში მოქცეულ გმირს, რომელიც ვერ აღწევს თავს წინააღმდეგობრიობას, რომელსაც მის სულში გაუდგამს ფესვები. ავტორი დიალოგების საშუალებით ცდილობს ჩაგვახედოს გმირის სულში და გადმოგვცეს სიმძაფრე ვნებებისა. იგი სტრიქონსა და სტრიქონს შორის ატევს თავის სათქმელს და სწორედ ეს არის დიურასი.

მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა ძიგუა

ანრი მარი ბეილი - „წითელი და შავი“

ფრანგი მწერალი სტენდალი (ნამდვილი სახელი და გვარია -ანრი მარი ბეილი) „წითელი და შავი“ ეს რომანი სტენდალის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია, ლიტერატურათმცოდნეთა აზრით წითელი - რევოლუციის ფერია, შავი კი - რეაქციის.



რომანში მოქმედება მიმდინარეობს 1826-30 წლებში. დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ახალგაზრდა და ელეგანტური ჟიულიენ სორელი მღვდლობისთვის ემზადება. მან ზეპირად იცის ლათინური ბიბლია და განსწავლულობით მდიდარი ბურჟუეზიების ყურადღებას იმსახურებს. ერთ-ერთ ოჯახში ის ბავშვების აღმზრდელად იწყებს მუშაობას, თავისი მოსწავლეების დედა შეუყვარდება და სწორედ ამ ფაქტს მოჰყვება ვნებათაღელვებით სავსე თავგადასავლები. ჟიულიენის პიროვნებაში იწყება ადრინდელი ღირებულებების გადაფასება, რაც გამოამჟღავნებს მის სულში სულ სხვაგვარ მოსწრაფებებსა და შინაგან მოწოდებებს.

ფრანგი კლასიკოსის ეს ნაწარმოები მსოფლიო შედევრად იქცა და სხვადასხვა ენებზე ითარგმნა.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილება მკითხველს სთავაზობს ამ წიგნს, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება და დღემდე პოპულარობა არ დაუკარგავს.

აბონემენტის განყოფილების წამყვანი

ბიბლიოთეკარი ლელა ჭყონია.



„ბიტლზი დღიდან დღემდე.“

პოპ-მუსიკის მოყვარულებს წარმოგიდგენთ ძირითადი წიგნსაცავის წიგნად ფონდში დაცულ ტერი ბაროუზის წიგნს

„ბიტლზი“ ყველა დროის უდიდეს პოპ-ჯგუფად ითვლება. სულ რაღაც ათიოდე



წელიწადში ოთხმა ლივერპულელმა ახალგაზრდამ ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა პოპ-მუსიკის სახე, თუმცა ჯონმა, პოლმა, ჯორჯმა და რინგომ ამაზე ბევრად მეტიც შეძლეს: მათ შექმნეს მთელი თაობა და მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში შეაბიჯეს.

„ბიტლზი დღიდან დღემდე“ ასახავს ჯგუფის განუმეორებელ მიღწევებსა და თანამედროვე კულტურაში შეტანილ

წვლილს. წიგნში ზუსტი ქრონოლოგიითაა წარმოდგენილი ლეგენდარული ოთხეულის ცხოვრების დეტალები: მათი ბავშვობიდან პირველ კონცერტებამდე, ბიტლომანიიდან გვიანდელ, სრულყოფილ ალბომებამდე. წიგნი დასურათებულია ჯგუფის ნაკლებად ცნობილი ფოტოებით და იმ ხელოვანთა შესახებ მოგვითხრობს, გავლენა რომ იქონიეს ჯგუფზე.

ჩვენს ფონდში დაცული მეორე წიგნიც სერიიდან „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“, ჰანტერ დეივისის წიგნია სახელწოდებით „ბიტლზი“ და ამ ლეგენდარულ ჯგუფს ეძღვნება. ჰანტერ დეივისი ჯგუფის წევრების შესახებ წერს: „საყოველთაო სიყვარული მათ ლამის ხმის ამოდებისთანავე დაიმსახურეს, სულ ცოტა ხანში კი ამ სიმღერებს მილიარდობით მსმენელი ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით მიჩნეულია, რომ „ბიტლზმა“ ჯამში ლამის ორასი ისეთი სიმღერა დაამღერა, რომლებსაც კაცობრიობა ვერასოდეს დაივიწყებს.

ძირითადი წიგნსაცავი ნინო ვაშაყმაძე

ხარიტონ ახვლედიანი - „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“

მოგესალმებათ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა!

წარმოგიდგენთ, აჭარის მოამაგის, მისი წარსულის მემკვიდრის, ხარიტონ ახვლედიანის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ წიგნს „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“ (1960, ბათუმი). წიგნი მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის შესახებ გამოქვეყნებულ ძირითად ბეჭდვით პროდუქციას - წიგნებსა და ჟურნალებს 1960 წლამდე. წიგნში ქართულ და რუსულ ენებზე არსებული მასალა ამავე ენებზეა წარმოდგენილი, უცხო ენებზე არსებული ლიტერატურა კი თარგმნილია რუსულად და ქართულად. აღნიშნული ნაშრომი მკვლევარის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. იგი დაეხმარება ყველსა, ვინც სწავლობს, მუშაობს თავისთავზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევარებს - ადვილად გაერკვნენ დიდძალ ლიტერატურაში.



აჭარის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს გთხოვთ გვეწვიოთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და

სამხარეთმცოდნეო განყოფილების უფროსი

რუსუდან ქინქლაძე

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“

ხელოვნება, ეს ნიჭიერი ადამიანის მიერ სამყაროს შემოქმედებითი აღქმაა. ხელოვნება საყოველთაოა, არ გააჩნია დრო, საზღვრები, ენა, ეროვნება, სქესი და მხოლოდ ემოციის ჯაჭვით გადაეცემა ერთიდან მეორეს.... სუნთქვა გეკვრის, როდესაც ცდილობ გონებით ჩაწვდე ყველაფერს-გენიოსების მიერ შექმნილს, შენახულსა და გაგრძელებულს.

ხელოვნება მრავალსახოვანი, მრავალშრიანი და მარადიულია. იგი ყველგანაა, მაგრამ ყველას არ მიეცა მისი გახსნის უნარი. შემოქმედი ყველა ვერ იქნება, მაგრამ ეცადო შეაღწიო გენიოსი შემოქმედების არსში, მიუახლოვდე მშვენიერების შეცნობას ეს ჩვენს ძალებშია.

ამიტომაც გადაწყვიტე, მომეწოდებინა ინფორმაცია პერიოდიკის დარბაზის საცავში დაცულ ჟურნალ „ხელოვნებაზე“. რომელიც თავდაპირველად გამოდიოდა სახელწოდებით „საბჭოთა ხელოვნება“. „საბჭოთა ხელოვნება“- საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური



საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული და მეცნიერულ-თეორიული ჟურნალია. გამოდიოდა თბილისში 1921 წლიდან. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ 1941 წლიდან, ჟურნალის გამოცემა შეწყდა. განახლდა 1953 წელს. ჟურნალი აშუქებდა ხელოვნების ყველა დარგის (თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, ქორეოგრაფია) საკითხებს. ჟურნალის ძირითადი მიზანი იყო თანამედროვე

ქართული და მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების პროგრესული ხელოვნების პოპულარიზაცია და კრიტიკული შეფასება.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზის საცავში დაცულია ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1936 წლიდან 2002 წლის ჩათვლით. ასევე ამ თემატიკაზე დაცულია ჟურნალები: „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1991 წლიდან 2011 წლის ჩათვლით. „თეატრი და ცხოვრება“ 1914, 1915, 1924, 1925, 1926 წლის რამდენიმე ნომრები და 1985-2016 წლები და „კინო“ 1984, 1985, 1986, 1989 წლები. ვისთვისაც საინტერესო იქნება ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, გელოდებით.....

კულტურული პროგრამებითა და

სამკითხველო დარბაზებით მომსახურების

განყოფილების უფროსი მაია ჩხატარაშვილი.

ჟურნალი - National Geographic

შემეცნებითი და სამეცნიერო ლიტერატურა ძალზედ პუპულარულია მთელს მსოფლიოში. მას ყველა ასაკის მკითხველი ჰყავს. მაღალ დონეზე ილუსტრირებული და სიანტერესო თემატიკით შესრულებული გამოცემები უფრო და უფრო პუპულარულს და მიმზიდველს ხდის მას. სწორედ ასეთი ჟანრის ჟურნალებს წარმოადგენთ დღეს საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილების ფონდიდან: ისტორიანი და -ნაციონალური გეოგრაფია.

ისტორიანი — ყოველთვიური, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალია. გამოდის 2011 წლიდან. ჟურნალის თემატიკაა ცნობილი ისტორიული მოვლენების უცნობი ფაქტების გაშუქება, სტატიები ძველი და ახალი ისტორიის დეტალებზე, სიახლეები და აღმოჩენები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ჟურნალი იქმნება პროფესიონალი ისტორიკოსების მიერ. „ისტორიანი“ მოგვითხრობს ისტორიას შელამაზების, გადაკეთების, მიკერძოების გარეშე. National Geographic-ნაციონალური გეოგრაფია- (ინგლ. National Geographic Magazine) — ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების პერიოდული გამოცემა. მსოფლიოს ახალი აღმოჩენები, სამეცნიერო კვლევები, საბუნებისმეტყველო, ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები თუ ტექნოლოგიური მიღწევები ერთ გამოცემაში იყრის თავს და ის ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი. შემეცნებითი ჟურნალი National Geographic მეოთხე წელია, ქართულად გამოიცემა. ჟურნალის შემოქმედებითი გუნდი აქტიურად მუშაობს ბრენდის პოპულარიზაციასა და მის განვითარებაზე.



26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! 1918 წლის 26 მაისი ერის მოშლილი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიდი ნიშანსვეტია, ის თვისობრივად სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. დაიბადა ახალი ტიპის სახელმწიფო - მე-20 საუკუნის ევროპული ტიპის დემოკრატიული, ერთიანი სუვერენული ქვეყანა.

ასე გაერთიანებული, შეიძლება ითქვას, საქართველო არ ყოფილა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის შემდეგ, ხოლო საპარლამენტო დემოკრატიული სახელმწიფო ის არასოდეს არ ყოფილა 1918 წლის 26 მაისამდე. ამიტომ ძნელია ჯეროვნად არ დავაფასოთ 1918 წლის 26 მაისის აქტის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. 1918 წლის 26 მაისი- დროის სამ ისტორიულ სიბრტყეზე ძევს. ის ეკუთვნის წარსულს, თანამედროვეობას და მომავალს. წარსულს ის ამშვენებს, როგორც ქართველი ერის მე-20 ს-ში ისტორიული კატასტროფისაგან ხსნის უკვდავი თარიღი, თანამედროვე ეტაპზე მან დიდი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იმპერიის ნანგრევებზე ახალი, თანამედროვე ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს აღდგენას, მომავლისკენ კი ის დღესაც ახალ გზებს კვლავს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მსოფლიო ცივილიზაციის ახალ დონეზე ათვისებაში.

ყოველივე ზემოთთქმულის სისწორეში თქვენ დარწმუნდებით იმ ლიტერატურის გაცნობით, რომელიც ძირითად წიგნსაცავშია დაცული. გაგაცნობთ ზოგიერთს:

1. ავალიშვილი ზურაბ

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში
თბილისი 2011

2. გოგოლიშვილი ოთარ


დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ სისხლიან გზაზე
ბათუმი 2012

3. კირთაძე ნესტან

საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები
თბილისი 1997

4. კირთაძე ნესტან

ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923)
თბილისი 1997



5. კირთაძე ნესტან

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის
დამხმარე

თბილისი 1996

6. შარაძე გიორგი

საქართველოს პირველი დემოკრატიული
რესპუბლიკა

თბილისი 2003

7. ჟორდანიას ნოე

რჩეული ნაწერები

თბილისი 1990

8. საქართველოს კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21

ბათომი სტამბა ნ. ი. სვინგისი

9. სილაგაძე აპოლონ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918წწ

თბილისი 1998

10. ლორთქიფანიძე გრიგოლ

ფიქრები საქართველოზე

თბილისი 1995

ძირითადი წიგნსაცავი

ნატალია გიორგაძე

თანამედროვე უცხოური ლიტერატურა



თანამედროვე წიგნის ეპოქაში ქართულ ლიტერატურასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე უცხოურ ლიტერატურასაც უკავია. მსოფლიოს არაერთი გენიალური მწერალი ჰყავს და დიდი ლიტერატურული საგანძური აქვს. ყველა ჩვენგანს უყვარს კარგი წიგნის კითხვა, თუმცა ყველა ადამიანისათვის წიგნის კითხვა ინდივიდუალურია; მკითხველების უმრავლესობა კი

მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებს უპირატესობას. გვსმენია, გვინახავს და წაგვიკითხავს სხვადასხვა გამოცემები, რომლებიც წიგნების განსხვავებულ ჩამონათვალსაც გვთავაზობენ. ამჯერად ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილება გთავაზობთ თანამედროვე ლიტერატურას ინგლისურ ენაზე. დენ ბრაუნის, სტივ ლარსონის, ჯორჯ მარტინის, ჯერომ სელინჯერის, ჯოან როულინგის, პაოლო კოელიოს, სტეფან კინგის, ჯონ რონალდ რუელ ტოლკინისა და სხვა თანამედროვე მწერლების ფენტეზის, ფილოსოფიური, კრიმინალურ-საშინელებათა დეტექტიური, მისტიური ჟანრის ნაწარმოებები თინეიჯერებისათვის სასურველი და ყველაზე წაკითხვადი წიგნებია. ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის ფონდი თანდათან ივსება საინტერესო და მოთხოვნადი წიგნებით. გელოდებით.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის

უცხოური ლიტერატურის განყოფილების

უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი

ოლიგო ქლენტი - „ბათუმი კინოში“


ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნსაცავის წიგნად ფონდში მოგვეპოვება საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნი „ბათუმი კინოში“. წიგნის ავტორია ოლიგო ქლენტი.

„ბათუმი კინოში“ 1918-1921 წლებიდან 2012 წლამდე ბათუმში გადაღებული ქართული და უცხოური მხატვრული და დოკუმენტური ფილმების შესახებ შეიცავს ინფორმაციას და ფოტომასალას. წიგნში მოცემულია კინოში მოღვაწე ადამიანების მოგონებები, ფილმების ანოტაციები და ინგლისურენოვანი რეზიუმე.

წიგნს თან ერთვის დისკი, რომელზეც ბათუმის კინოქრონიკებია ჩაწერილი მათ შორის: „ბათუმის გათავისუფლება თურქთაგან“, „უცხოეთის დელეგაციების ვიზიტი მენშევიკური პერიოდის ბათუმში“, ფრაგმენტები ბათუმში გადაღებული ფილმებიდან.

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე



„პალიტრა L“-ის სერიული გამოცემა სახელწოდებით „დიდი მხატვრები“

წარმოგიდგენთ ძირითადი წიგნსაცავის ფონდში დაცულ გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ორიგინალურ და საინტერესო სერიულ გამოცემას სახელწოდებით „დიდი მხატვრები“. სერიის მრავალტომეულის ერთი ტომი ერთ ცნობილ მხატვარს ეძღვნება.

ხელოვნების მოყვარულებსა და დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ყველა ეპოქის გამოჩენილი მხატვრების ცნობილ ფერწერულ ტილოებს და საინტერესო ისტორიებს მათი ცხოვრებიდან.

ჩამოვთვლით მხატვრებს სერიიდან: ვან გოგი, გოგენი, მონე, კლიმტი, ლეონარდო და ვინჩი, დეგა, გოია, მიქელანჯელო, რენუარი, სეზანი, ველასკესი, რუბენსი, რემბრანდტი, კრანახი, დელაკრუა, პიკასო, მანე, პისარო, ტულუზ-ლოტრეკი, კარავაჯო, რაფაელი, ტიციანი, ბოტიჩელი, ვერონეზე, ტინტორენტო, დალი, ელ გრეკო, კანდინსკი, აივაზოვსკი, ბოსხი, ელენე ახვლედიანი, ფიროსმანი, ლადო გუდიაშვილი.

ხელოვნების უპირველესი დანიშნულება ხომ ესთეტიკური გემოვნების უფრო დახვეწა, მშვენიერებასთან და სიკეთესთან ზიარებაა. ეს სერია უდაოდ იძლევა შესაძლებლობას უფრო დავუახლოვდეთ ხელოვნებას. ხელოვნებასთან სიახლოვე კი ადამიანის სულს უფრო ამდიდრებს.

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე



„გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო“....

28 აპრილი - აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მართლმადიდებლური სამყარო დიდი იმედით ელოდება ამ დღეს. სწორედ ამ იმედის შესახებ მინდა მოგითხროთ... „საქართველოს იმედზე“- ხატზე, რომელიც უფლის სადიდებლად და ჩვენს გასაძლიერებლად



სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სურვილითა და ლოცვა კურთხევით შეიქმნა.

„საქართველოს იმედის“ ხატზე ორას სამოცდაათამდე წმინდანია გამოსახული: წინა მხარეს ქართველი წმინდანებია გამოსახული, ხოლო უკანა

მხარეს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანები. გამომცემლობა „პალიტრა-L“-მა საჩუქარი გაუკეთა საზოგადოებას და ხატზე გამოსახული ყველა წმინდანის ცხოვრების შესახებ წიგნები გამოსცა. წიგნები ორ სერიად არის გამოცემული: პირველი გამოცემა ქართველ წმინდანებს მიეძღვნა (50 წიგნი) ხოლო, მეორე გამოცემა კი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანებს (54 წიგნი).

მეორფასო მკითხველო, თქვენ, შესაძლებლობა გეძლევათ ჩვენი ბიბლიოთეკის საერთო-სამკითხველო დარბაზში, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მშვიდ გარემოში დაბრძანდეთ და ამ წიგნების საშუალებით უფრო ვრცლად გაეცნოთ „საქართველოს იმედის“ ხატის სრულყოფილ აღწერილობას და მასზე გამოსახულ წმინდანების ცხოვრებას. რომელთა მხურვალე ლოცვითა და შეწევნით დგას ჩვენი ქვეყანა და მთელი სამყარო. გვწოდეს „საქართველოს იმედი“-ს ხატზე გამოსახული ყველა წმინდანის ლოცვა.

საერთო სამკითხველო დარბაზი

წამყვანი ბიბლიოთეკარი შორენა ვასაძე.

ვემზადებით აბიტურიენტობისთვის

სულ მალე მეთორმეტე კლასებში სასწავლო პროცესი შეწყდება და ჩვენი მეთორმეტე კლასელები აბიტურიენტები გახდებიან. ალბად, არ არსებობს მეთორმეტე კლასელი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის გულმოდგინედ არ ემზადებოდეს და არ ცდილობდეს, რომ თავისი ცოდნა რამდენადმე სრულყოფილი გახადოს. წლების განმავლობაში ნასწავლს თავი მოუყაროს და წარმატებით გაიაროს გამოცდები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბიბლიოთეკის საერთო სამკითხველო დარბაზის საცავში თქვენთვის



განკუთვნილი წიგნები, გაგიადვილებთ საგამოცდო ტესტებზე მუშაობას და მათი მეშვეობით დაძლევთ ყველა საგამოცდო სირთულეს. ეს ჩამონათვალია:

1. ისტორია. სრული კურსი აბიტურიენტებისთვის, შემდგენელი ნ. მოლაშვილი.
2. შეამოწმე შენი ცოდნა მათემატიკაში (თემატური და საკონტროლო ტესტები)-ი. მეზონია.
3. გავიაროთ მათემატიკა I-II ნაწილი. გ. გოგიშვილი და სხვა.
4. ტესტები ქართულ ლიტერატურაში. თ. გელიტაშვილი.
5. ტესტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში-რ. დევდარიანი
6. ტესტები და სავარჯიშოები. ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია.
7. ქიმია. თეორიული მასალა და ტესტები. ლ. თევზაძე.
8. ზოგადი უნარები (როგორც ვერბალური ასევე მათემატიკური ნაწილი).
9. მოვემზადოთ გეოგრაფიაში. (თეორიული მასალა და ტესტები). მ. ბლიაძე.
10. 800 შეკითხვა: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია.

გახსოვდეთ, რომ სწავლა სუპერძალაა და გჯეროდეთ, რომ სუპერძალით გამორჩეული აბიტურიენტები გამოცდების მიმდინარეობის დროს მაღალი შეფასებებით დაჯილდოვდებიან! ძვირფასო აბიტურიენტებო, გისურვებთ წარმატებებს ერთიან ეროვნულ გამოცდებში! ჩვენთან საოცრად თბილი და კომფორტული გარემოა... გელოდებით.

საერთო სამკითხველო დარბაზი.

მთავარი ბიბლიოთეკარი ინგა კოჟიაშვილი.

პერიოდული გამოცემები ეკონომიკის დარგში

ჩვენ, პერიოდულად მოგაწოდეთ ინფორმაცია ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზის საცავში არსებულ სხვადასხვა სახის პერიოდულ გამოცემებზე. ამჟამად, მინდა გაგაცნოთ პერიოდული გამოცემები ეკონომიკის დარგში. ეს ჟურნალებია:

1. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები: ყოველთვიური ჟურნალი ფინანსური სფეროს სპეციალისტებისათვის. ფონდში დაცულია 2000 წლიდან დღემდე.
 2. ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი. ფონდში დაცულია 2000-2004 წლები.
 3. ბიზნესი და კანონმდებლობა: საინფორმაციო ბიულეტენი საქმიანი წრეებისათვის. ფონდში მოიპოვება 2007-2017 წლები.
 4. ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, ყოველთვიური ჟურნალი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ფონდში დაცულია 2007-2012 წლები.
 5. ბიზნესი და მენეჯმენტი: ჟურნალი ბიზნესისა და მართვის ხელოვნების შესახებ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების დამატება. ფონდში დაცულია 2004 წლიდან დღემდე.
 6. ბუღალტრული აღრიცხვა: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტთა ფედერაციის ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ფონდში არის 1999 წლიდან დღემდე.
 7. გადასახადები: საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგამომცემლო სახლის „ბიზნეს კურიერის“ ჟურნალი. ფონდში დაცულია 2000-2017 წლები.
 8. გადასახადები და აღრიცხვა: მეთოდურ-პრაქტიკული ჟურნალი . ბიბლიოთეკაში დაცულია 2006 წლიდან დღემდე.
 9. ეკონომიკა: ყოველთვიური საერთაშორისო და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. ფონდში დაცულია 2006 წლიდან დღემდე.
 10. ეკონომისტი: საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. ფონდში დაცულია 2009-2010-2014 წლები.
 11. მაკრო-მიკრო ეკონომიკა. ყოველთვიური საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ფონდში მოიპოვება 1999-2008 წლები.
 12. საქართველოს ეკონომიკა: სამეცნიერო- ანალიტიკური ჟურნალი. ბიბლიოთეკაში ინახება 2007-2013 წლები.
 13. FORBES: ყველაზე გავლენიანი ქართული ბიზნესგამოცემა. ჟურნალს გამოსცემს სააქციო საზოგადოება MEDIA PARTNERS. ბიბლიოთეკაში ინახება 2015-2017 წლები.
- გაზეთებია:

პერიოდული გამოცემები ბიზნესის დარგში

1. ბანკები და ფინანსები: ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციის გაზეთი. ბიბლიოთეკაში დაცულია 1997 წლიდან დღემდე.
2. ბანკი PLUS: საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველკვირეული გაზეთი. ფონდში დაცულია 1995-2000 წლები.
3. ბიზნეს კურიერი: ყოველკვირეული გაზეთი. ფონდში დაცულია 1994-1995 წლები.
4. ბიზნეს ტალღა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს გაზეთი. ჩვენს ფონდში დაცულია 2000-2002 წლის ნომრები.
5. ეკო დაიჯესტი: ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრის გაზეთი. ფონდში დაცულია 2000 წლის ნომრები.

მოზრმანდით და იკითხეთ თქვენთვის საინტერესო ლიტერატურა პრესის დარბაზში!

კულტურული პროგრამებითა და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი მანანა ყაჭეიშვილი.



„ენა დედაა ერისაო“

“...და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“... იოანე ზოსიმე

„ენა დედაა ერისაო“-ბრძანებდა პოეტი და, მხოლოდ ეროვნული კულტურის უმთავრესი ნიშანი



ენაა. თუ ვინმეს შეუძლია იამაყოს მშობლიური ენით, ეს ჩვენ, ქართველები ვართ. დადასტურებულია, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია დღეისათვის ცოცხალ ენათა შორის, ხოლო მისი დამწერლობა-მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობათა შორის. მსოფლიოს ხუთ ყველაზე ლამაზ დამწერლობას შორის ქართული მესამე ადგილზეა. ქართული ანბანის სამივე სახეობა კი, რომლებიც დღემდე გამოიყენება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარეს.

მსოფლიო ენათა ოჯახებში ქართულ ენას

განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას კავშირი აქვს წინა აზიისა და შუამდინარეთის ხალხებთან, რომელთაც დაარწიეს საკაცობრიო კულტურის აკვანი. ქართულმა (იბერიულმა) ენამ განვითარების გრძელი და შინაარსიანი გზა გამოიარა. მრავალსაუკუნოვანმა ენამ ჩამოიყალიბა სტრუქტურა და გაიფართოვა ლექსიკის ჩარჩოები. წარსულში ქართულ ენას დიდი დევნა და შევიწროება განუცდია, მას გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები (რომი, სპარსეთი, არაბეთი, მონღოლეთი, ბიზანტია, ოსმალეთი, რუსეთი). ამჟამადაც უცხოური სიტყვების ნაკადი წალეკვით ემუქრება მშობლიურს. აუცილებელია ენის კანონის დაცვა.

საგანმანათლებლო ენის ენერგია სულიერი ენერგიაა, ის ასპექტაკებს და ზნეობრივად სრულყოფს ერის მორალურ-ესთეტიკურ მხარეს. ენა არის განათლების სარკე.


დედაენის ძალა განუზომელია!

ძირითადი წიგნსაცავი

ნატალია გიორგაძე

9 აპრილი

✓აპრილის თვე კიდევ დიდხანს დარჩება ქართველი ადამიანის მეხსიერებაში, როგორც



ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ამავე დროს, ამაღლებული თვე საქართველოს ისტორიაში. ზუსტად 30 წელი გვაშორებს იმ საკრალურ თარიღს, როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და დაწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის ასობით მონაწილე მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლოს ერთიანობა, თავისუფლება სურდათ და გულისწადილი საჯაროდ, ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად გამოხატეს. მართალია, რუსული ჩეკმით გადაითელა 21 ახლგაზრდის სიცოცხლე, მაგრამ ერმა იწამა, რომ სამშობლოსთვის თავდადება ყველაზე დიდი სიქველეა ამქვეყნად. ერის საფიცარმა რაინდმა მერაბ კოსტავამ მართებულად აღნიშნა, რომ 9 აპრილი ქართველი ერის სულიერი გამოღვიძების დასაწყისია.

9 აპრილი ჩვენთვის გლოვაც არის და სულის ზეიმიც, ტკივილიანი მოგონებაცა და იმის

იმედიც, რომ თავისუფლებას არასდროს დავთმოვბთ. ეს ტრაგედია იმდენად დიდი იყო, რომ მან არ შეიძლება აქტუალობა დაკარგოს. სწორედ ამ მიზნით გამოიცა კრებული, სადაც თავმოყრილია 9 აპრილთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებული ყველა არსებითი ხასიათის, მათ შორის ურთიერთსაწინააღმდეგო, დოკუმენტი თუ პუბლიცისტური მასალა.

მკითხველი თავად ნახავს და მიხვდება, რა არის ამ მასალებში სარწმუნო ან საეჭვო და რა ერთსულოვანი, გულწრფელი და მართალია ქართველი ხალხი, მასთან ერთად კი სხვა ერების ყველა კეთილი ნების ადამიანი 9 აპრილის განცდასა და შეფასებაში.


ძირითადი წიგნსაცავი

ნატალია გიორგაძე

თურქეთის საზღვრებში მოქცეული ძველი ისტორიული მხარეები

ტაო-კლარჯეთის სახელწოდებით დღეს შემოკლებით აღინიშნება ძველი ისტორიული მხარეები, რომელთა უმეტესობა ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ეს ტერიტორია სამხრეთ საქართველოს შეადგენდა და მასში შედიოდა: სპერი, თორთუმი, კლარჯეთი, ტაო, შავშეთი, არტაანი, კოლა, სამცხე, ჯავახეთი.

საქართველოსთვის ტაო-კლარჯეთი, უპირველეს ყოვლისა, ღირსშესანიშნავია სამი ძირითადი მოვლენით: 1. საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება პირველად ამ გზით შემოვიდა; 2. ერთიან ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს აქ ჩაეყარა საფუძველი; 3. აქ შეიქმნა ქართული კულტურის-საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების, სასულიერო მწერლობის, მონუმენტური ფერწერის, ოქრომჭედლობის-უმნიშვნელოვანესი ძეგლები. წმ. გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა აქ არაჩვეულებრივი მასშტაბით გაშალეს სამონასტრო მოძრაობა-ახალი მონასტრების დაარსება და ძეგლების განახლება.



VIII-IX სს. მიჯნაზე აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფო-ფეოდალური პოლიტიკური ერთეული-ტაო-კლარჯეთის სამეფო, რომლის შექმნა აშოტ I კურაპალატის სახელთანაა დაკავშირებული. ტაო-კლარჯეთი მდიდარია ქართული ისტორიული ძეგლებით: ოშკი, ბანა, ხახული, პარხალი, იშხანი, ხანძთა, არტანუჯი...

სულ რამდენიმე ათეული წლის წინ შორეული და მიუწვდომელი ტაო-კლარჯეთი-ძველი ქართული ისტორიული მხარე, ბოლო წლებში მშობლიურად ახლობელი გახდა. დღეს ეს ტერიტორია ქართველი და უცხოელი ტურისტების, ისტორიკოსების, სიძველეთმცოდნეების დიდ ინტერესსა და არფრთოვანებას იწვევს.

✓სანამ გადაწყვეტთ ესტუმროთ ტაო-კლარჯეთს, ამ საოცარ მხარეს, მანამ გაეცანით ჩვენს ბიბლიოთეკაში არსებულ საინტერესო მასალებს ტაო-კლარჯეთის შესახებ:

1. ვალერი სილოგავა, კახა შენგელია ტაო-კლარჯეთი თბილისი 2006;
2. ჯაბა სამუშია ტაო-კლარჯეთი „პალიტრა L“ 2016;
3. ტაო-კლარჯეთი მოხსენებათა თეზისები თბილისი 2016;
4. ტაო-კლარჯეთი ბუბა კუდავას ფოტოები ქართული ისტორიული ძეგლები თურქეთში „არტანუჯი“ 2007;

5. თაყაიშვილი ექვთიმე 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში თბილისი 1960.

გაეცანით და იამაყეთ ჩვენი ქვეყნის წარსულით.

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე

კაპადოკია

მინდა გესაუბროთ ანატოლიის ერთ-ერთ უძველესსა და ულამაზეს კუთხეზე - კაპადოკიაზე, რომლის ისტორიასა და კულტურას ასე საინტერესოდ აღწერს ზურაბ



ბატიაშვილი თავის ნაშრომში „კაპადოკია“. ის წერს, რომ დედამიწის ეს ჯადოსნური მხარე წარმოიქმნა მილიონობით წლის წინ ძველი ვულკანების ამოფრქვევის შედეგად. შემდგომ ათასწლეულების განმავლობაში წვიმამ და ეროზიამ შექმნა დღევანდელი სახე მთელი თავისი ფერებითა და მომხიბლევლობით. კაპადოკია ჩვენი ძარღვი და ფესვია .იგი განუყოფელი

რგოლი და ნაწილია ქართული სულისა, ჩვენ ხომ კაპადოკიიდან ვეზიარეთ ქრისტიანობის მადლს .კაპადოკიაში არის ქართველი ქალის-თამარის მიერ აშენებული წმ. გიორგის ეკლესია. აგრეთვე აღმოჩენილია ფრესკა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ქართული ხატი „შენა ხარ ვენახი“. მიწისქვეშა ქალაქები კაპადოკიის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული თემაა. ყურადღებას იპყრობს კლდეში ნაკვეთი ეკლესიები, რომელთა ფრესკებზე ყველაზე ხშირად გამოსახულია მაცხოვარი და ღვთისმშობელი. „შეიძლება ვუწოდოთ მას მსოფლიოს მერვე საოცრება?“-კითხულობს ავტორი-„ალბად შეიძლება“-იქვე პასუხობს თვითონვე. „კაპადოკია აუცილებლად უნდა ნახოს ადამიანმა...ეს საოცრებაა. მსოფლიოში ერთადერთი ადგილია ასეთი“-ბრძანა ერთ-ერთ საკვირაო ქადაგებაში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. თუ გადაწყვეტთ კაპადოკიის ნახვას წაიკითხეთ ზურაბ ბატიაშვილის წიგნი „კაპადოკია“ და მერწმუნეთ ის გახდება თქვენი გზამკვლევი ამ მხარეში.

საერთო სამკითხველო დარბაზი

მთავარი ბიბლიოთეკარი

მერი მალაყმაძე

ჰარი პოტერი

ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯოან როულინგი ჰარი პოტერის თემაზე შექმნილი 7



ნაწილიანი ფენტეზის ჟანრის წიგნების სერიის ავტორია, რამაც მას პოპულარობა და სიმდიდრე მოუტანა. მისი ცხოვრება ჰარი პოტერამდე საკმაოდ შორს იყო იდეალურისგან. როცა შვილთან ერთად მარტო დარჩა, ის ქველმოქმედებით ცხოვრობდა. ძალიან გაუჭირდა და გადაწყვიტა დაეწერა ჰარი პოტერი. პირველი წიგნი „ჰარი პოტერი და ჯადოსნური ქვა“ 1997

წლის 26 ივნისს გამოიცა. მას მალევე მოჰყვა სერიები წიგნებისა და მილიონიანი ტირაჟებით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ჯოან როულინგი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი გახდა.

რას მოგვითხრობს შვიდი ჯადოსნური წიგნი: იგი ჰარი პოტერის ახალგაზრდა ჯადოქრის თავგადასავალს ასახავს და ძირითადად ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. წიგნი უამრავ ენაზეა თანგმნილი.

ამ ნაწარმოებებში არიან ჯადოქრები, როგორც კეთილები, ასევე ბოროტები. წიგნი დაწერილია სიყვარულზე, იმაზე, რომ ყველაზე დიდი სიყვარული დედის სიყვარულია, ეს არის წიგნი მეგობრობაზე, ურთიერთგანწირვაზე, სადაც ბოროტ ძალას სიყვარული ამარცხებს. გავიდა წლები და ჰარი პოტერის შვიდი ბესტსელერი როულინგის ჯადოსნურმა სამყარომ სხვადასხვა ასაკის მილიონობით მკითხველი მოხიბლა და ჩაითრია. ისინი პერსონაჟებთან ერთად გადავიდნენ ფანტაზიით შექმნილ მაგიურ გაზომილებაში.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილება გთავაზობთ ბესტსელერის შვიდივე ტომს ინგლისურ ენაზე.

იკითხეთ წიგნი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო; წიგნი, რომელმაც ბავშვებს კითხვა შეაყვარა.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის

უცხოური ლიტერატურის განყოფილების

უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი

"მე მზად ვარ ჩემი გული
გადაგიშალოთ..."

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ მწერალ დათია ზადალაშვილთან



...და ეს ინტერვიუ სულ რაღაც წლინახევრის წინ ჩავწერე..... (მგონი ეს პირველი ინტერვიუა შენი განსხვავებული და წარმატებული გზის დასაწყისისა დათია) @გიორგი კეკელიძე [#Giorgikekelidze](#) და დღეს კი უკვე დათია ზადალაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ საკუთარ სოფელში, თონეთში 29 ივნისს გავხსნით ერთად, ფაქტიურად უკვე ამუშავებულ ბიბლიოთეკას!!!! ♥♥@მაკა დიდებულიძე.

გილოცავ დათია!!!! შენ დიდებული ადამიანი ხარ და იმ პატარების ფოტოებს რომ ვათვალიერებ თონეთის ბიბლიოთეკაში წიგნებს რომ კითხულობენ. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები- რა ძნელი და რა იოლია იყო ნამდვილი ქართველი!!!!!!

მოგესალმებით ჩემო საყვარელო მეგობრებო..."პენმარათონის " გვერდს ვათვალიერებდი და ახალი გვარი და სახელი შევნიშნე-ზადალაშვილი დათია.....სურვილი გამიჩნდა შევხმიანებოდი. ავტორმა რამდენიმე ნოველაც გადმომიგზავნა წასაკითხად, ნოველები მომეწონა და აი, უკვე თქვენს წინაშეც წარვადგენ მას....

= დათია, მოგესალმებით და ასეთი შეკითხვით ვიწყებ- რატომ დათია და არა მაგალითად დავითი, დათო?

= მოგესალმებით ქალბატონო ინგა, გმადლობთ, რომ ჩემი პიროვნებით დაინტერესდით და გეტყვით, რომ დათია პაპაჩემს ერქვა. ის ჯერ კიდევ მაშინ გარდაიცვალა სანამ მე დავიბადებოდი. როცა ჟურნალ "ცისკარში" დებიუტი მქონდა, რედაქტორს ვთხოვე ამ სახელით დაებეჭდა, მაშინ დედაჩემი შეუძლოდ იყო, მინდოდა გამეხარებინა....

აი, უკვე სიყვარულის და სიკეთის პირველი სხივიც გამოჩნდა დათიას ხასიათისა....

= რითი იწყება თქვენი დილა?

= ისევე როგორც ყველა სოფელში მცხოვრებისთვის. მინდორში, სათიბში მუშაობით.

= თქვენ მიწასთან ახლოს ხართ და ქართულ ტრადიციებთანც ახლოს იქნებით, ასე ვფიქრობ.

= მე ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე.... არის რაღაცეები რაც ძველ ტრადიციებში არ მომწონს. და ასევე თანამედროვეებში...

ყოველთვის ვცდილობ ერთგული ვიყო, უფრო სიყვარულით, ვიდრე მოვალეობის გრძნობით.

=საიდან მოდის თქვენი გვარის ისტორია? რა არის თქვენთვის სამშობლო?

=ქვემო ქართლიდან ვარ, სოფელი თონეთიდან. იმ სოფლიდან სადაც ვაჟა ასწავლიდა. ჩემი გვარი მესხურია, თურქების მიერ სამცხის დაპყრობის მერე, სოფელი ხერთვისიდან წამოვიდნენ.

სამშობლო იმდენად დიდი რამეა. ვერც ვხსნი. მთლიანობას იტევს.

= როდის დაიწყეთ წერა?

= პირველად რაღაც ათი წლის წინ მონასტერში დავწერე. სეროზულად კი სამი წლის წინ დავიწყე ფიქრი, პირველად ჟურნალ " ცისკარში" დაიბეჭდა ამირან არაბულის წინაწიტყვაობით.

= როგორი ემოცია დაგიტოვათ "პენმარათონში" მონაწილეობამ და როგორ მოხვდით იქ?

= პენმარათონში გატარებული დღეები ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში. თავაგდასავალი, უამრავი კარგი ადამიანი. კონკურსის შესახებ მამიდაჩემმა მომიყვა. გადავწყვიტე ბედი მეცადა. თუმცა დიდი იმედები არ მქონდა. ფინალში თუ მოვხვდებოდი. არ მჯეროდა.....

= როგორ ფიქრობთ რთული იყო "პენ მარათონის" თემა და შეძელით იმის დაწერა რაც გასურდათ, თუ ვერ მოასწარით?

= ვერ ვიტყვი რომ რთული იყო. იყო დაძაბული და საინტერესო. მგონი შევძელი იმის დაწერა რაც მინდოდა რომ დამეწერა.

წარმატებას გისურვებ დათია

= სოფლის სატკივარზეც ხომ არ მეტყოდი რაიმეს?

= ისევ იმ სოფელში ვცხოვრობ სადაც დავიბადე... მუშაობით იმას ვაკეთებ რასაც ყველა გლეხი ჩემს გარშემო. მაგრამ ესაა... სოფელი დაცარიელდა. ბევრი მიწაა დაუმუშავებელი.

ჩემი სურვილია გამოცოცხლდეს მეურნეობა სოფელში, რომ ხალხი არ წავიდეს.

მე ხომ აქ ვარ და არსად მივდივარ!!!! (ილიმის) ♥♥♥♥♥

სოფელი დიდი თონეთი

ქვემო ქართლი

თეთრიწყაროს რაიონი

ზადალაშვილი დათია...

ბათუმი. ინგა გოგიბერიძე

ბათუმშიც და დიდ თონეთში დღეს მზეა!!

2018 წელი.18 ივლისი.

მზე თქვენს გულებში.

ნატალია ჭყონიას ინტერვიუ ბელა ქეზურიასთან

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტს, ჩვენს თანაქალაქელს, ქალბატონ ბელა ქეზურიას. გილოცავთ, ქალბატონო ბელა, უფლის წყალობა არ მოგშლოდეთ თქვენ და თქვენს დიდ, ლამაზ ოჯახს.

ქალბატონო ბელა, ხართ 9 ლიტერატურული პრემიის ლაურეატი: ახლახანს საქართველოს მწერალთა კავშირმა და ხელოვანთა ოქროს ფონდმა, იშვიათი ჯილდო თამარ მეფის ენდალმა მოგანიჭათ, ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის - ამ საპასუხისმგებლო ჯილდოს მფლობელი საქართველოში მესამე ადამიანი ბრძანდებით, ილია ჭავჭავაძის, ტბელ აბუსერიძის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელობის პრემია ბავშვთა ლიტერატურული კონკურსის „სიკეთის ხისგან“ - მომავალი თაობის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის (პოეზიის კონკურს „ზღვაურისა“ და ლიტერატურული ალმანახ „ზღვაურის“ გამო), ზურაბ გორგილაძის, მარიკა ბარათაშვილის, „პოეზიის დღე - შოთაობის“ (მესხეთი), „უქიმერიონისა“ (ქუთაისი), ჟურნალ „ოლეს“ (კახეთი). ახლახან, იუბილესთან დაკავშირებით გახდით „რჩეული შემოქმედის“ წოდების მფლობელი (აჭარის მწერალთა ორგანიზაციისგან), ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან - მადლობის სიგელი დაიმსახურეთ.

როგორ ახერხებთ რომ იყოთ ასეთი - როგორიც ხართ? შეინარჩუნოთ გარეგნული სილამაზე, გამორჩეულად დაამახსოვროთ თავი ყველას?

--- არ ვიცი, განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, უბრალოდ, რაც გულში მაქვს ყველაფერი სახეზე „მაწერია“ სიხარულიც, სიყვარულიც, ტკივილი, წყენაც, თუმცა იქვე, გვერდით „დგას“ - მიტევებაც, ისიც მართალია, რომ ხშირად მაყენებენ ტკივილს, მე - კი „ტკივილისგანაც ვიღიმები“, რადგან უბრალოდ, მიყვარს ა დ ა მ ი ა ნ ი ! არ არსებობს ისეთი ვინმე, რომ მძულდეს, შეიძლება ზოგიერთ ადამიანს ჩემი სიყვარულით სავსე გულში არ დავუტოვო ადგილი, მაგრამ არსებიდან მაინც არ განვდევნო...

ვფიქრობ, მეტწილად გენეტიკის „ბრალია“! ჩხოროწყუმში დაიბადეთ 1959 წლის პირველ მაისს. დედა, ქალბატონი ლოლა - წერდა, მღეროდა. მამას, ბატონ გოჩას, ოჯახის მამა-მარჩენალს, როდესაც თქვენ პირველად მოგანიჭეს პრემია, უთქვია: ახლა დავრწმუნდი, რაღაცას მნიშვნელოვანს აკეთებსო. ბაბუა - პლატონ ნაროუშვილი, ცნობილი ლოტბარი იყო, რომელზედაც ამბობდნენ, ის რომ მღერის ჩიტები ჭიკჭიკს წყვეტენო, ბებია თამარ შელია ... გაიხსენეთ, ბავშვობის წლები, გვიამბეთ...

---უუჰ, რა მტკივნეული ამბებია, მაგრამ წარსულის ფერადი ფრაგმენტები მაინც ამიფრიალდება ხოლმე დახუჭულ, ძილისწინა ნირვანისკენ მიმავალ გონებაში. ბაბუა, დედის მხრიდან ცნობილი მომღერალი და ლოტბარი იყო, თარგამეული, მარტვილის რაიონში, ვერცხლისფერი ტეხურის პირას, მთის კალთებზე შეფენილი სოფელია, ბავშვობისას ყველა არდადეგებსმანდ ვატარებდით. ბაბუა ჩვენს დაბადებამდე გარდაიცვალა, მაგრამ მთელი სოფელი „ჯარობისას“, ანუ დღესასწაულებზე კოცონის ირგვლივ შეკრებისას მას მუდამ იხსენებდნენ., როგორც იადონივით ტკბილი ხმის პატრონს. მთელი ოჯახი, ვახშმობის მერე, შელამებულზე აივანზე გავიდოდა და მთელი სოფელი სულგანაბული უსმენდა თურმე მათ საოცარ სიმღერას.

ბებიაჩემი სვანი გახლდათ, ხარბიანები იყვნენ, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო არზიანად იწერებოდნენ, მამაჩემის ბებიაც სვანი იყო - ულამაზესი მეღანია გელოვანი, ზნეკეთილი და ნაკითხი ქალი ყოფილა.

მამაჩემის მშობლები: მიხა ქებურია და თამარა შელია... ბაბუა არ მახსოვს, მეორე მსოფლიო ომში ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა, ჩამოვიდა, მაგრამ რამდენიმე წელში მაინც იმსხვერლა იმ ნამსხვრევმა და ბებია 3 ვაჟით ქვრივად დატოვა... ჩემი და ჩემი კურსის „საზიარო“ თამარა ბებო ცალკე თემაა, როგორც ქართველი ბებიას ფენომენისა. უზომოდ კეთილი, გულჩვილი, მიმტევებელი...სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი ფრაზა „ლეხიე, ნანა, ლეხიე...“(ავადაა, შვილო, ავადაა), რომელსაც მხოლოდ მაშინ ამბობდა, როცა ხვდებოდა, რომ უგუნურს ვერაფერს შეასმენდა. მისი სიყვარულის ფიალა ისე იყო სავსე, წვეთს ვერ დაამატებდით, ამაზე ცალკე დავწერ, რადგან მთელი სიცოცხლე არ მეყოფა მისი თვისებების და გულის შესაფასებლად. დღემდე ვგრძნობ მის კეთილსურნელს, მახსოვს ხმა, სიყვარულის ცრემლის ციმციმი, სუნთქვა...

ჰო, რაც შემეხება მე, მართალია, 1 მაისს დავიბადე, მაგრამ ივლისში უნდა დავბადებულიყავი, ეტყობა „ვიჩქარე“ და 7 თვიანი მოვევლინე მზისქვეშეთს, ალბათ ამიტომ, წლების მერე, როცა ჩემს რაღაც პატარ-პატარა წარმატებებს ხედავდა, მამაჩემი ხუმრობდა ხოლმე: ამას რომ 9 თვე დაცლოდა, წარმომიდგენიათ, რას იზამდაო!

დედა და მამა, ორივენი მონათესავე სპეციალობისანი იყვნენ, დედაჩემს ლოლა ერქვა, მას აგრონომიული განათლება ჰქონდა მიღებული, მამა -გოჩა ქებურია-კი ღვინისა და ჩაის ტექნოლოგი გახლდათ, მთელი ცხოვრება ჩოროწყუს #1 ჩაის ფაბრიკაში გაატარა, მთელი საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში იყო ნამყოფი მისი სამსახურიდან გამომდინარე, დღემდე მახსოვს საახალწლოდ, მის მიერ შუააზიიდან ჩამოტანილი უტკბილესი ნესვები და აღმოსავლური ტკბილეული. ერთი დღეც არ უცხოვრიათ უშრომლად და წიგნის

წაუკითხავად. საერთოდ, მკაცრი მამა იყო, ნაკლებად გვაქებდა, ჩვენგან სწავლის მაქსიმუმს ითხოვდა და არც გაგვიწბილებია. წერა-კითხვა 5-6 წლის ასაკში მან მასწავლა, ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში - დედა ენა და განსაკუთრებით ასო-ბგერა თ „აი, თითი“ და მის გვერდით კი მამიკოს ჩაის ფერით შეღებილი თითი... როგორ მინდოდა მისი თითებიც ისეთი თეთრი ყოფილიყო, როგორიც წიგნში იყო... მაშინ რა ვიცოდი, რომ მისი შრომით დაღლილი ხელები, ჩემთვის ზურგს, გალავანს და ჩემი ცხოვრების ჭერს ნიშნავდა. არეულობის პერიოდში ფსიქოლოგიურად გაუჭირდა, ვერ აიტანა სამსახურების მოშლა და უმუშევრად დარჩენა. ბუნებით მოუსვენარი, ენერგიული და მამიებელი ბუნების გახლდათ, ქეიფი და ძმაცაცებიც ძალიან უყვარდა, მისთვის ძმაცაცობაში დღე და ღამის დაყოფა არ არსებობდა... მართალია, ეს ოჯახისთვის იოლი არ იყო, მაგრამ დედა მუდამ შუბლგახსნილი ხვდებოდა სტუმარს.

დედას სპეციალობით არასდროს უმუშავია, ჩვენი ეზო-კარისა და სამეზობლოს ბაღების მცნობელ-მზრუნველი-კი ნამდვილად გახლდათ, სანამ მე და ჩემი ძმა, ბაჩი ბაგა- ბაღის ასაკისანი ვიყავით ბებიასთან ერთად საბავშვო ბაღში მუშაობდა, სკილაში რომ წავედი აღარ უმუშავია. არაჩვეულებრივად ქსოვდა, კერავდა, მღეროდა, უკრავდა ფანდურზე და ჩონგურზე, მთელი ჩვენი უბნის მოწყალების დაც გახლდათ, მეზობლებს ექიმის გამოწერილ ნემსებს ზამთარშიც კი 6 საათიანი შუალედით უკეთებდა და ყველა მაღლიერი ჰყავდა. მეზობელთა სტუდენტ შვილებს არასდროს ტოვებდა უყურადღებოდ, მათ-მათ წილ „სოფლის ნობათს“ გაუმზადებდა და ატანდა. სამეზობლოს პატარა ბავშვებისთვის ტკბილეულიც მუდამ ჰქონდა გადანახული. იოლი ცხოვრება არ გვქონია, არც დრო იყო იოლი, მაგრამ ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გადალახეს და წესიერ ადამიანებად გაგვზარდეს. დედა რომ გარდაიცვალა, მოდიოდა ასობით, ჩვენთვის უცნობი ადამიანი და მაღლობას უხდიდა გულდია მასპინძლობისთვის, ამის მომსწრე უამრავი ბათუმელიც გახდა, მერე მეკითხებოდნენ კიდეც, ბელა, ამდენი ადამიანის გულის მოგება როგორ მოახერხეს შენმა მშობლებმაო. გასვენების დღეს არამარტო 2 ათასამდე ადამიანმა მოიხადა ბოლო, ადამიანური ვალი მის წინაშე, არამედ ბუნებამაც, იანვრისთვის შეუფერებელ, უზომოდ მზიან განთიადზე გარდაიცვალა და მეორე დღიდან საშინელი ამინდები დაიწყო თოვლ-ჰყავით, გასვენების დღეს, 10 საათზე წვიმა შეწყდა და ბოლო ადამიანი რომ გამოვიდა სასაფლაოდან, უუზარმაზარმა ფიფქებმა დაიწყო ცვენა, გვირილებივით ემჩნეოდა მიწას... მამა 39-ე დღეს გაჰყვა დედას... აქვე მინდა ჩემს უძვირფასეს ბათუმლებს გადავუხადო მაღლობა, ასობით ჩვენმა თანაქალაქელმა გაიზიარა ჩვენი მწუხარება, არ მოერიდნენ გზის სიშორეს, ამინდს და ცრემლებით სავსე გული სიკეთის, ნუგეშისა და სიყვარულის სხივებით აგვივსეს.

ქალბატონო ბელა, საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია პოეტთან საუბარი, ... შემდეგ ჩაირიცხეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1981 წელს წაჩინებით დაამთავრეთ. სტუდენტობა, საოცარი წლები ... ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

--- ბედნიერი დრო და ბედნიერი წლები იყო, ჰო, მაშინ ბებოც სულ გვერდით მყავდა, მთელი ინსტიტუტი იცნობდა. კარგი, ძლიერი კურსი გვყავდა, გამორჩეული ახალგაზრდებით, უმეტესობა წერდა და არცაა გასაკვირი, ასაკიც და მოწოდებაც ხელს გვიწყობდა... თუმცა, მე მეყო ნებისყოფა „უშემოსავლო“ შემოქმედებისთვის ბოლომდე მეერთგულა და აი, ახლა აქ, თქვენს წინაშეც მიტომ ვარ ო განსაკუთრებით მახსოვს 1980 წლის შემოსვლა, როცა საქართველოს ტელევიზიამ მომცა შესაძლებლობა ჩემი ლექსით მიმელოცა მთელ საქართველოსთვის. მეორე დღეს, ქუჩაში გამოსულს მთელი ქალაქი მცნობდა.

დამამახსოვრდა ლექტორები, პროფესორები; პარმენ ცქვიტარია, „აგამემნონი“- ოთარ ფარეიშვილი... ქალბატონები ნელი დუმბაძე და ნადია საბაშვილი, რომლებიც ლადო ასათიანის თანაკურსელები გახლდნენ, ქალბატონი ნელი სულ გვესაუბრებოდა ლადოზე, ქ-ნი ნადია - არასდროს! ლევან აბაშიძე... საოცრად კეთილშობილი და დახვეწილი ადამიანი, იური ბიბილეიშვილი(რომელიც, სხვათაშორის, ჩემი შემოქმედებაზე სერიოზული კვლევა გააკეთა და „მწერლის გაზეთში“ დაბეჭდა) და ალიოზა გობრონიძე, ადამიანები, რომლებიც გამოცდაზე გაუსვლელად მიფორმებდნენ უმაღლეს ქულას. ნაზი მიქელაძე, გუგული დიასამიძე, მინიკო ჩიჯავაძე, შუქრი ნიჟარაძე, რომელმაც, სხვათაშორის, ქალბატონ ნელისთან და ბატონ ლ. აბაშიძესთან ერთად, კედლის გაზეთში გამოქვეყნებული ერთი ლექსის გულისთვის მე გარიცხვას, ხოლო მანანა სულაბერიძე, როგორც კედლის გაზეთის რედაქტორი - სასტიკ საყვედურს გადაარჩინა. რა დამავიწყებს ქ-ებს ნაზი მიქელაძეს, გუგული დიასამიძეს, დავით დიასამიძეს, მინიკო ჩიჯავაძეს, მერი ცინცაძეს, საოცრად კეთილად მახსოვს ბატონი დურსუნ ბალაძე, ჩვენი რექტორი, ჯერ ჩემი, როგორც სტუდენტის მერე ჩემი შემოქმედების და საბოლოოდ, ჩვენი ახალშექმნილი ოჯახის უდიდესი გულშემატკივარი. მოგვიანებით დავუმეგობრდით ბატონ აბელ სურგულაძეს, ჩვენს თაობაში ეროვნული სულის გამღვივებელს, ერთ წუთსაც კი გამოიყენებდა, რომ მომავალი, ნათელი, დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლების გზისკენ გაგვეხედა, თბილად მახსენდება ბატონი ნური ვერძაძე - ნათელი მათ სულებს! უფალმა დიდხანს და ჯანმრთელად გვიმოყვოს ბატონი ბიჭიკო დიასამიძე და ქალბატონი შუმანა ფუტკარაძე, ქალბატონი შუმანა, მაშინ ახალგაზრდა ლექტორი გახლდათ, პრინციპული, მაგრამ გულმოყვასი, დღესაც კი შემიძლია ჩავაბარო დიალექტოლოგია, ისე

გვასწავლა. დღემდე პატივს ვცემ ქალბატონ ცირა გამცემლიძეს. მოკლედ, ამათი სკოლა გავიარე და ბედნიერი ვარ, რომ ამ სამყაროში ჩვენი გზები გადაიკვეთა. მაპატიეთ, თუ ვინმე გამომრჩა!

როდესაც ვინმეს დიდ დამსახურებაზე სურთ ისაუბრონ - სამშობლო უყვარსო - ამბობენ, მე კი მეგონა, ეს ისეთივე ბუნებრივია როგორც ის, რომ ორი ხელი და ორი ფეხი გვაქვს ... მამულის გრძნობა ქართველისათვის, უბედობისა თუ ავბედობის გამო, ბუნებრივ-თანდაყოლილი გამძაფრებული განცდაა. სიმბოლურია, რომ თქვენს პირველ ლექსს, რომელიც გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ გამოქვეყნდა, სამშობლო“ ერქვა. გახსოვთ ეს ლექსი?

--- ის უფრო მიმოხილვა გახლდათ, ნორჩი შემოქმედების კუპლეტები იყო მოყვანილი, მიხეილ ქურდიანი ხელმძღვანელობდა „ოქროს კალმის“ იმ სექციას, მახსოვს მოეწონა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან გახსენებად არ ღირს. რაც შეეხება სამშობლოს თემას - გეთანხმებით, რადგან ის ბუნებრივად, ავტომატურად, გენეტიკურად „ზის“ ჩემში. ბუნებით კეთილგანწყობილი ადამიანი ვარ, მაგრამ საქმე როცა სამშობლოს ეხება ტემპერატურა მაღლა მეწევა და საერთოდ, „წითელი“ მენტება. ეს ის მხარეა, როცა არ მესმის უსამშობლოობის შეგრძნების ადამიანების. არ განიცდი, არ გეწვის იმ ქვეყნის ბედი და უბედობა? წადი, გზა ხსნილია, გვაცალეთ, ვისაც მისი მომავლის შენება გვინდა, ვისაც ჩვენი იდენტობის გადარჩენა გვსურს.

რა არის სამშობლო?

--- როცა მარტო თვალებით და „კუჭით“ ხედავ, ადგილია, სადაც გაჩნდი, გაიზარდე, დაბერდი(საუკეთესო შემთხვევაში) და მოკვდი... მიწა იყავ და მიწად მიიქცე... მაგრამ როცა დახუჭული თვალებითაც ხედავ, გესმის, გრძნობ მის ხმას და მახილს, რა მოგასვენებს? რა დაგადინებს? რომ ვიცოდე, ჩემი სიკვდილი უშველის, არც დავფიქრებდი...მაგრამ ფიქრის და გზის ძიების დროა, გული მერევა, როცა ვითომდა სამშობლოზე მზრუნველნი საკუთარ ბიზნესებზე ზრუნავენ, სამშობლოს სიყვარულს რომ ის გასწავლის, ვისაც ნაბიჯიც კი უფულოდ, უანგაროდ არ გადაუდგამს, უზნეო - ზნეობაზე რომ გიკითხავს მორალს და თანაც, ასეთებს მწვანე შუქს აძლევს მასობრივი მედია-საშუალებები, რადგან მსგავსი მსგავსს ეძებს. უზნეო ადამიანების ხელში უზნეობაც გვიჩვევს და გვითრევს, ცხოვრების წესად იქცევა, არადა რა ბედნიერებაა სუფთა სინდისი, სამშობლოსა და უფლის წინაშე პირნათლად ყოფნა. თუმცა, მჯერა, რომ ზნეკეთილი და სამშობლოზე მზრუნველი, საკუთარი ხალხის მოსესავით სამშვიდობო გზაზე გამყვანი ადამიანი გამოჩნდება. უფალი არ გაგვწირავს, მაგრამ ეკლესიაც ზნეობრივ ორიენტირად თუ არ იქცა, ერთეული სპეტაკი ღვთისმსახურები ვერ გაწვდებიან, ვერ გაუძლებენ ასე და ამდენად მოძალეებულ ბოროტებას. ხალხი ღვთისმსახურში ღმერთის ნებას

ელის, მის რწმენას ემებს, ამიტომ მათი ყოველი ქმედება, სიტყვა, ყოფა-ცხოვრება ან გვაძლიერებს რწმენაში, ან საერთოდ გულს გვიცრუებს მათზე, მაგრამ არა უფალზე.

ქალბატონო ბელა, საქველმოქმედო ფონდ „საკურთხევლის“ ვიცე-პრეზიდენტი და „თამარ მეფის“ სახელობის ფონდის ბათუმის ფილიალის თანადამფუძნებელი ბრძანდებით, „ბათუმის დამსახურებული მოღვაწე“ (2014 წ.), სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასის წევრი და აჭარა-ლაზეთის სადროშოს კულტურის სამსახურის კოორდინატორი. ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ საპატიო ყაბალახისა და „მაჭახლობის“ საპატიო ქამრის მფლობელი. სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდის წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირისა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, რა გრძნობაა ეს?

--- ეს ყველაფერი ალბათ, ოჯახის თანადგომის, ცხოვრების წესისა და გაწეული შრომის შედეგია, უბრალოდ, მადლიერი ვარ... არც ფრთებს მასხამს, არც მამაყებს, რადგან უფრო პასუხისმგებლობაა, მიღწეულის შენარჩუნებას გაცილებით მეტი ძალა სჭირდება, ვიდრე მიზნის მიღწევას.

ქალბატონო ბელა, 8 წიგნის ავტორი, 10 წიგნის თანაავტორი, 20-მდე წიგნის რედაქტორ-შემდგენელი ბრძანდებით. თქვენი ლირიკული გმირი უნაზესი და ამაღდროულად ძლიერი ქალია, რომელსაც დიდი სიყვარული შეუძლია, რომელიც უზომოდ ბედნიერია სხვისთვის გაკეთებული სიკეთის გამო. როდის და როგორ იწერება თქვენი ლექსები? „მოვარდნილი მეწყერია“? ...

--- უჰ, ნეტამც იყოს „მოვარდნილი მეწყერი“, მაგრამ ის კი ნამდვილადმიხარია, რომ მათი ადგილი დაიმკვიდრეს დღევანდელი კითხველისა თუ მსმენელის გულში... რამდენად შემორჩება და რამდენი ლექსი, ეს არავინ იცის... მაგრამ ადამიანებს მოსწონთ, განცდებს ჰგვრით, ლექსის მიზანიც ხომ ესაა... იმაში კი მართალი ხართ, სხვისი სიხარულით აღტაცება და გახარება ნამდვილად შემიძლია, ამიტომაც მეტი მაქვს სიხარული... მეტი გაღიმების შესაძლებლობაც... სულ მახსენდება დიდი ზურაბ გორგილაძე „სიძულვილს ისევ ჩერჩეტი სიყვარული სჯობს, ძამა!“

„ჩემს ცისარტყელებს ჩამოათოვა“ - წერთ, რატომ?

--- ეს კონკრეტულ ტკივილებზეა, შორს წაგვიყვანს ამაზე საუბარი, არაკეთილმოსურნე ხომ ხშირად იქ გვხვდება, სადაც სიკეთე გვითესია... ამიტომაც მოვიდა ასეთი უჩვეულო სახის პასუხიც - ცისარტყელებზე ჩამოთოვება...

იყო დღეები (წლები), რომელთა წაშლა-დავიწყება გისურვებიათ?

--- ასეთი ყველა ადამიანს აქვს... დედაჩემის სიკვდილს ვუყურე... დღემდე მიფატრავს გულს... არა, გახსენებაზეც ვიხრჩობი...

„რატომ გამაჩინე?“ - არსთა განმრიგეს ეკითხებით ერთგან. სულიერად გაღვიძებული ადამიანის ფიქრია! გაქვთ პასუხი ამ კითხვაზე?

--- ეს ინტერესია იმისა, რას ელოდა, რა უნდოდა არსთაგამრიგეს ჩემგან და რა მიიღო? ახლაც მაინტერესებს... ამ თემაზე ბევრი ლექსი მაქვს ოჯახში, საზოგადოებაში ხშირად გვიწევს იმ როლის თამაში, რასაც ჩვენგან ელიან, თქვენ ხატავთ, მუსიკას ქმნით, თუმცა ნოტებზე გადატანას ვერ ახერხებთ - არ ვიცი და იმიტომ... ლექსი თქვენთვის თვითგამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა?

--- იცი? მუდმივად ვერ ითამაშებ, დაიღლები, ვერ შეინილბები, სადღაც მაინც გაგცემს რაღაც პასაჟი... უფალმა სიყვარულის როლით მოგვავლინა, ყველაზე ლაღი, თვითმყოფადნი სწორედ აქა ვართ... თვითგამოხატვას ვერ დავარქმევ, მდგომარეობა, მოვლენები თავად ითხოვენ რაღაც ფორმით და სახით დარჩენ, „გაიძულებენ“ და აკეთებ... „გამტარი“ ხარ... აუხდენელი ოცნება?

კოხტაგორიდან დელტაპლანით გადმოფრენა მინდა...

საყვარელი მწერალი, პოეტი, ლიტერატურული გმირი?

--- გამსახურდია, ამირეჯიბი, მაოგნებს ვაჟა-ფშაველა და გოდერძი ჩოხელი. მიყვარს და მაოცებს ზურაბ გორგილაძე, მომწონს ბევრი ჩემი თანამოცლამის შემოქმედება, განსაკუთრებულადც გამოვყოფდი, მაგრამ ვიდარდებ, ვინმე რომ გამომრჩეს. აი, ახალგაზრდებიდან ბათუმური ფრთა არამარტო ჩემთვის, მთელი საქართველოსთვის საამაყოა. ლიტერატურულ გმირთა გალერეა კი მუდმივად მეცვლებოდა, განწყობისდაგვარად...

რა არის თქვენი ნაკლი?

--- შემოქმედებითი სიზარმაცე მახასიათებს, საკუთარ შემოქმედებას არასდროს ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სრულად და სწორად ვერ ვიყენებ ცხოვრებისათვის მოცემულ დროს...

რისი გეშინიათ?

--- უკეთეს სამშობლოს, „მამული, ენა, სარწმუნოება“ - ილიას ამ უკვდავი ტრიადით გამთლიანებულ საქართველოსა და ქართველთ რომ ვერ მოვესწრო

60 წლის გადასახედიდან - ბევრ რამეს შეცვლიდით?

--- არაფერს, უმნიშვნელო ნიუანსების გარდა, რომლის გამოცდილება ადრე არ მქონდა...

ფრაზა, რომელიც ხშირად გაგონდებათ?

--- „შემოქმედებას ზარმაცები არ უყვარს“

მეორე ლოყის მიშვერაზე რას ფიქრობთ, კომპრომისზე თუ წასულხართ? ვისთან?

--- გვიხდება ხოლმე მსგავსი ნაბიჯიც გადადგმაც, მაგრამ იშვიათად, რათა უფრო დიდი საქმე არ გაფუჭდეს. პირადი წყენისთვის ზოგადი, საქვეყნო და უფრო მნიშვნელოვანი საქმე - არასდროს მინაცვლებია!!!

რა არის ის, რაზედაც იტყვიტ ერთმნიშვნელოვნად - არა!

---კატეგორიული არ ვარ, მივეყვები ფორმულას „არასდროს თქვა -არასდროს!“

ქალბატონო ბელა, თქვენს პედაგოგიურ საქმიანობაზე გვიამბეთ, რა არის მთავარი ბელა მასწავლებლისთვის?

--- სიყვარული და ურთიერთთანამშრომლობა, ახალი ტალანტების აღმოჩენა გაცილებით მეტ სიხარულს მე მგვრის, ვიდრე თავად მათ წარმოუდგენიათ... მათგანაც ბევრ რამეს ვსწავლობ.

გულწრფელი სიყვარულით და სიხარულით ზრდით ქართული მწერლობისადმი უზომოდ შეყვარებულ გოგონებსა და ჭაბუკებს, დიდი ქართველი მწერლების ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა პოეზიის კონკურს „ზღვაურისა“ (2012 წ.) და ლიტერატურული ჟურნალ „ზღვაურის“ (2011 წ.) დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ბრძანდებით

--- ნამდვილად ასეა, გულწრფელად და უანგაროდ, რადგან ჩემი დაფრთიანებული ბარტყების მშობელთა უდიდეს ნაწილს საერთოდ არ ვიცნობ, საოცარი ისაა, არც ისინი ინტერესდებიან, ვის ანდეს მათი შვილის სულიერი განვითარება და შემოქმედებითი ხელშეწყობა.

ისე ძალიან მიხარია, რომ ჩემმა ოცნებამ ამ 2 პროექტით ხორცი შეისხა და რაღაც პაწაწუნა კვალს ვტოვებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ქალბატონო ბელა, თქვენი ლექსები შესულია ქართული პოეზიის, ქართული საბავშვო პოეზიისა და სომხურ ენაზე გამოსული თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიებში, ეს უკანასკნელი ორჯერ, 2007 და 2017 წლებში ერევანში გამოიცა. თქვენი ლექსები თარგმნილია ინგლისურად (ნ. დვალიძე), ფრანგულად (ი.ცენტერაძე), გერმანულად (რ. ფარცვანია), სომხურად (მთარგმნ. გაგიკ დავთიანი) რუსულად (ვ. სარიშვილი და გ. ქებურია), უკრაინულად (სერგეი გოლუბევი), თურქულად (მ.ხარებავა), აზერბაიჯანულად (იმირ მემედლი), ესპანურად (ფიქრია კიპაროიძე) და ბერძნულად (ა. მესხორაძე).

თავადაც ნათარგმნი გაქვთ ვილიამ ვორდსვორთის (ინგლისი), აჟდარ ოლის (აზერბაიჯანი), გაგიკ დავთიანის (სომხეთი), ვეისელ ჩოლაქის, ლეილა იმიქისა და ათაოლ ბეჰრამოღლუს (თურქეთი) ლექსები პწკარედების მეშვეობით.

- ასეა, სიამოვნებას მანიჭებს თარგმნის პროცესი, ოღონდ დედნიდან გაკეთებული პწკარედების მეშვეობით. რაც შეეხება ჩემს მთარმნელებს, უზომოდ მადლიერი ვარ თვითეული

მათგანის, უმეტესობამ საჩუქრად მითარგმნა. რაც შეეხება აზერბაიჯანულს, პირველად ანთოლოგიისთვის გვინდოდა, მერე ჩვენი დიდი მეგობარი, უკვდავი შოთას „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი, იმირ მამედოვი ისე შეიტყუა ჩემი ლექსების თარგმნამ, რომ სამიათას სტრიქონამდე „შემოეთარგმანა“ და ახლა წიგნი სადაცაა გამოვა აზერბაიჯანში, მადლობა მას და ქალბატონ აფაქ მესუდს, ვისი ხელშეწყობითაც იბეჭდება ჩემი წიგნი. ეს დაახლოებით 4,5 თაბახია და ჩემს ლექსებზე საკმაო წარმოდგენას შეუქმნის აზერბაიჯანელ მკითხველს.

ამასთან, აქვე მინდა აღვნიშნო და მადლობაც გადავიხადო ყველა იმ სადამოსა თუ შეხვედრისთვის, რომელიც წელს ჩვენმა კუთხემ მაჩუქა, შუახევიდან დაწყებული, ხელვაჩაურით გაგრძელებული, საერო ელიტურ სკოლა „გორდას“, სხვებსაც... მაგრამ გვირგვინი მაინც აჭარის სამწერლო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული სადამო გახლდათ, მათი თაოსნობით იბეჭდება საიუბილეო კრებულების სერია, მათ შორის ჩემიც, რომელიც 10 ენაზე იქნება. ამ წიგნით ჩვენს უცხოელ თანამოგალმეთ საშუალება ექნებათ მცირე წარმოდგენა მაინც იქონიონ ვქმნი თუარა რამე ღირებულს.

თუ არ ვცდები, აზერბაიჯანულ გაზეთებშიც უკვე დაიბეჭდა თქვენი ლექსები...

- დიახ, არ ცდებით, „ლიტერატურულმა აზერბაიჯანმა“ და გაზეთმა „კასპიამ“ დიდი მოცულობით დაბეჭდა, მერე ელექტრონული გვერდებზეც გამოაქვეყნეს, როგორც ბატონი იმირი მწერს, ახალგაზრდებმა ინსტაგრამზეც კი გამოაქვეყნეს რამდენიმე ლექსი, ეს კი მართლაც სასიამოვნო ფაქტია და ჩემთან ერთად მთარგმნელის გამარჯვებაცაა...

როკ-ჯგუფ „KOH IO“-ს კომპოზიტორმა და ხელმძღვანელმა ს. გოლუბევმა თქვენს ლექსებზე 12 სიმღერა შექმნა. ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა კომპოზიტორმა და მომღერლმა მაია სიჭინავამ-კი 6 სიმღერა. თქვენი ლექსები აამღერეს კომპოზიტორებმა მანანა ხორავამ (საგუნდო), ზვიად ბოლქვაძემ, მინდია ხითარიშვილმა, მანანა გაბაიძემ და დავით შვანგირაძემ (ჰიმნი ქუთაისს).

რა გრძნობა გეუფლებათ, საკუთარ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს როცა უსმენთ?

- ვერ ავხსნი, აქ სიტყვები არ მყოფნის, მათ მიმართ მადლიერების უდიდესი გრძნობა მაქვს...

ჩემს ტექსტებზე პირველი სიმღერები კახა წვერავამ დაწერა, ეს იყო მიუზიკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, ვოკალურ-ინსტრუმენტულ საბავშვო ანსამბლ „ზღვის შვილებისთვის“, მერე კიდევ უამრავი ტექსტი დავწერე მის მუსიკაზე იმ ბავშვებისთვის, რომელთაც, სამწუხაროდ, არ ვიცნობ. არადა, ჩვენი უნიჭიერესი კახა აღარაა ცოცხალი, ის სიმღერები კი დაიკარგა, მგონი ვიღაცას აქვს „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ ვიდეო-კამერით გადაღებული და თუ გადამაწერინებს, დიდ სამსახურს გამიწევს. რადგან მხოლოდ ის ტექსტები გადარჩა.

მანანა გაბაიძეს, ჩვენს უნიჭიერეს მუსიკოსს, 5 თუ 6 სიმღერა აქვს დაწერილი, ერთ-ერთი მის საიუბილეო საღამოზეც შესრულდა. დავით შვანგირაძემ, რამდენიმე წლის წინ, ბატონ რეზო ჭეიშვილის საიუბილეო საღამოზე გამომართვა ლექსი „ქუთაისო“, რომელიც ჩვენს ქუთაისელ მეგობრებს ეძღვნება, ამ ახალგაზრდა კაცმა ლექსი აამღერა, მერე კი კლიპად და ქუთაისის ჰიმნად აქცია, ყოველ ვარდფურცლობას, ანუ 2 მაისს ტელეკომპანია „რიონი“ ამ კლიპს ეთერს უთმობს.წელს ჩვენმა მეგობარმა მერაბ კვიცარიძემ გამახარა და იუბილეზე ჩამომიტანა ეს კლიპი.

ასევე, 2004 წელს, ჩოხატაურის რაიონის, სოფელ საჭამიასერში მშენებარე, წმიდა დიდმოწამე ბარბარეს სახელობის ტაძრისთვის დაიწერა ლექსი „დიდება შენდა, ღმერთო“, რომელზეც მანანა გაბაიძემ არაჩვეულებრივი საესტრადო სიმღერა დაწერა, მას ჩვენი სათაყვანო სოფო ხალვაში და ანსამბლი „ბათუმი“ ასრულებს, შემდგომ ამავე ტექსტზე ცნობილმა კომპოზიტორმა მანანა ხორავამ შექმნა საგუნდო სიმღერა, რომელიც თავიანთ გუნდის რეპერტუარში შეიტანეს ზაირა და გელა ვადაჭკორიებმა და მსოფლიო მოატარეს, სიყვარული და მადლობა ამ დიდებულ და უნიჭიერეს და-ძმას.

რაც შეეხება საოცარ ქალბატონს, მაია სიჭინავას, ამაზე ერთხელ უკვე ვწერდი ფეისბუქის გვერდზე, შარშან, 21 დეკემბერს გავიცანი პირადად, მანამდე კი ჩემი რამდენიმე ლექსიანად ამღერდა, 200-ზე მეტი სიმღერა აქვს თანამდროვე და აწ, უკვე კლასიკად ქცეული პოეტების შემოქმედებაზე. 19 წელია ესპანეთში ცხოვრობს, წინა საუკუნის 90-ან წლებში კი ფილარმონიის ქალთა კვარტეტ „ხმების“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ამ კვარტეტის ჰიმნის ავტორი გახლდათ. შარშან 22 დეკემბერს, მისი დაბადების დღეს, მისი მეუღლის, კინორეჟისორ გენო ცაავას პროდიუსერობით ორგანიზებული საავტორო კონცერტით შეახსენა თავი სამშობლოს, შეახსენა და არ დაეხსნენ, ამიტომ, მომავალი გეგმები ისევ ჩვენს ქვეყანას უკავშირდება, რაც უზომოდ მახარებს.

სერგეი გოლუბევი უკრაინაში მოღვაწეობს, შემთხვევით გავიცანით, შემოქმედ ადამიანებს რას გაუგებ, როკმენმა, ჩემი ლექსებით ლირიული სფეროც მოსინჯა და თავადაც მოსწონს. განსაკუთრებით კარგი გამოვიდა „კვაზიმოდო“, ინგლისურად, ჩვენი ნინო დვალისძის თარგმანმა მოხიბლა და... ალბომის გამოცემასაც ფიქრობს.

გყავთ მეუღლე - თემურ კახიძე, ორი შვილი დავითი და ირაკლი, სამი შვილიშვილი - ალექსანდრე (ლექსო), თემური და ირაკლი კახიძეები. როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე? ბატონი თემურისადმი მიძღვნილ ლექსში წერთ „ჯერ პოეტი, მერე ქალი ვარ“, 36 წლიანი ცოლ-ქმრობა სიყვარულს კლავს?

--- რა ვიცი, ზოგისთვის კლავს ალბათ, ზოგთან სხვა გრძნობაში გადადის, უფრო მშვიდ და გაწონასწორებულში. ჰო, სამივე შვილიშვილი ბიჭია, მინდა გოგოცუნაც, მაგრამ ამის ნება უფალზეა. მეუღლე როგორ გავიცანი? ვფიქრობ, ეს იმდენად არაა საინტერესო, რამდენადაც ის, რომ ჩემი ბავშვობაც კი არ მახსოვს მის გარეშე...

კი, ხდება ისეც, რომ ჯერ პოეტი ვარ და მერე სხვა დანარჩენი... ქალი, დედა, ბებია...

ვინ არიან ბელა ქებურიას მეგობრები? ბევრია, ვის გამოყოფთ? ცნობილია თქვენი მეგობრობა ბატონი ზურაბ გორგილაძის ოჯახთან.

--- მეგობარი ბევრი მყავს, გამორჩეული რამდენიმე. მთავარია, მიყვარს და ვუყვარვარ მათ. ეს კი ჩემთვის ყველა საგანძურზე ძვირფასია.

-რაც შეეხება ზურაბ გორგილაძეს და მის ოჯახს, მაღლიერი ვარ უფლის, მათი ლხინისა თუ ტკივილის თანაზიარი რომ ვარ. ბატონი ზურაბის მიმართ მუდამ მოკრძალებული ვიყავი, მაშინაც კი, როცა მე ქალიშვილი, ხოლო თემურს სიძე უწოდა... ვცდილობ, ვიყო მისი შემოქმედების, ოჯახისა და ხსოვნის ერთგული. ერთგულებას კი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ვაყენებ.

უღრმესი მადლობა, ქალბატონო ნატალია, თქვენ და თქვენი სახით საჯარო ბიბლიოთეკას. მაღლიერი ვარ თქვენი სიტბოს, სიყვარულის, ყურადღებისთვის, ყველა იმ ადამიანს მინდა მადლობა გადავუხადო, ვისაც ჩემი არსებობა ახარებს. მგონი სადამო შედგა... და ბედნიერი ვიქნები, თუ მომლოდინეთა, მსმენელთა იმედები გავამართლე.



ნატალია ჭყონიას ინტერვიუ გიზო თავაძესთან

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის სტუმარია მწერალი, პოეტი გიზო თავაძე. მოგესალმებით, ბატონო გიზო, გილოცავთ, 60 წლის ბრძანდებით, მრავალჟამიერ თქვენ და თქვენს შემოქმედებას!

1. ბატონო გიზო, ბათუმის საზოგადოება თქვენ მეტ-ნაკლებად გიცნობთ, მაგრამ ვფიქრობ, საინტერესო იქნება, თავად გვიამბოთ, ვინ არის გიზო თავაძე?

- დავიბადე 1959 წელს. პროფესიით ვარ ისტორიკოსი, ვმუშაობდი ექსკურსიამდლოლად, ქალაქის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსად, ამჟამად ვარ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორი. გამოცემული მაქვს 31 წიგნი (პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა), ვარ: ნოდარ დუმბაძის, ნიკო ნიკოლაძის, ტერენტი გრანელის, ჟურნალ „ოლეს“, ზურაბ გორგილაძის და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატი. დადგმულია ჩემი ორი პიესა: „კეთილშობილი მორიელი ბა“ (რეჟისორები: პაატა მილორავა, დალი ბასილაძე) და „ინტერვიუ ფესვებთან“ (რეჟისორები: გიორგი სიხარულიძე, თორნიკე მარჯანიშვილი), რეჟისორმა ზაზა კოლელიშვილმა გადაიღო ჩემი კინოსცენარით „ქუთაისელი ბაბუა“. ლექსები და მოთხრობები თარგმნილია: რუსულ, რუმინულ, ინგლისურ და ებრაულ ენებზე. მყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

2. „დიდი გზის გამოვლა მომიწიაო“ ბრძანებთ, გაგვიმხილეთ, ვინ არის ადამიანი, ვინც კვალი დაამჩნია თქვენს ცხოვრებას?

- ვაჟა-ფშაველა და მერაბ კოსტავა, სხვებიც...

3. 1987 წელს ქუთაისში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ შექმენით, გაიხსენეთ - თქვენ და ეროვნული მოძრაობა

- ეროვნულ მოძრაობაში 1978 წლიდან ვიმყოფებოდი და კიდევაც ვიყავი უშიშროების სამიზნე. 1987 წელს, ქუთაისში ჩამოვაყალიბე იატაქვეშა ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომლის სათაო ოფისი თბილისში გახლდათ და მასში ჩვენი ერის გამორჩეული შვილები იყვნენ თავშეყრილნი.

4. გაგონდებათ გამორჩეული შეხვედრა ან შემთხვევა?

- კი, მაგონდება: თუნდაც, დიდებულ ფილოსოფოსთან ნიკო ჭავჭავაძესთან, აკაკი ბაქრაძესთან, კიტა ბუაჩიძესთან, ჭაბუა ამირეჯიბთან, სხვა დიდებულებთან...

5. პოეტობით დაიწყეთ, ბელეტრისტიკაშიც წარმატებით მოსინჯეთ კალამი, დრამატურგობა, საზოგადო მოღვაწეობა ... როდის ქმნით, ამისთვის თუ გჭირდებათ განწყობა, რა არის თქვენი შემოქმედების წყარო?

- პოეზია ბავშვობიდანვე ჩემს სულში ჰყვოდა, პროზა მოგვიანებით, თუმცა, მაინც ვერ გავხდი პროზაიკოსი, არ შემიძლია დიდხანს ჯდომა და წერა. ლექსი ყველგან და ყოველთვის შეგიძლია წერო. მიწერია: ავტომობილში, გემზე, თვითმფრინავში, კარავში, ბარში თუ მთაში... მიწერია ათასგვარ რაიმეზე, თუმცა ყველაზე კარგი თემა, იყო და არის, მისი უმშვენიერესობა - ქალი!..

6. ყველაზე მშვენიერი რამ, რაც ცხოვრებაში გინახავთ ?

- ჩემი შვილიშვილი: ლილიანა, ლილუ, ლილუსია...

7. ბატონო გიზო, რა არის მთავარი?

- მთავარი არის სამშობლო!..

8. რომელ ისტორიულ პირს გამოარჩევთ და რომელი არ მოგწონთ?

- გიორგი ბრწყინვალე, დავით აღმაშენებელი, ალექსანდრე მაკედონელი.

არ მომწონს თემურ ლენგი (რას გვერჩოდა რვაჯერ?!)

9. რის გარეშე ვერ იცხოვრებთ?

- სიყვარულის...

10. ყველაზე დიდი შეცდომა?

- მთელი ცხოვრება შეცდომების კორიანტელია, კატასტროფული არ დამიშვია, მგონი...

11. რომელი ლიტერატურული პერსონაჟი მოგწონთ და პირიქით?

- დათა თუთაშხია. არ მომწონს, ვაჟა-ფშაველას ახუნდი.

12. თვლით, რომ გამორჩეული ერი ვართ?

- უნიჭიერესი ერი ვართ, შეიძლება ითქვას, გამორჩეულიც...

13. როგორ ფიქრობთ, რა განსაზღვრავს თქვენს ინდივიდუალიზმს?

- ერთფეროვანი რომ არ ვარ, ვიცი, შემოფეთებების და სიურპრიზების ოსტატი ხარო, - მეუბნებიან, ალბათ, რამდენადმე, ინდივიდუალურიც, ალბათ უფალია ამისი გამგე...

14. „ვაჟას საოცარი ლექსი „ჩემი ვედრება,“ რომ ვაკვირდები, ჩემზეა ზედგამოჭრილი... არ ვხუმრობ, მართლა ასე მგონია“ - წერთ. გაგვიმხილეთ თქვენი ნატვრა

- „ბალახი ვიყო სათიბი, ოღონდ ამცილდეს ცელობა...“

15. გვიამბეთ ლიტერატურულ სარდაფში გამართულ საოცარ სადამოებზე. მქონდა ბედნიერება, ნათია სურგულაძის შემოქმედებითი სადამოს მონაწილე ვყოფილიყავი

- ორმოცდაათზე მეტი სადამო გაიმართა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ლიტერატურულ სარდაფში, მათ შორის მხატვარ ნათია სურგულაძის, ჩემი მეგობრის და დიდებული ადამიანის.

სხვადასხვა დროს გვსტუმრობდნენ: ვაჟა აზარაშვილი, მანანა დანგაძე, ნოდარ მაგლობლიშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი, როსტომ ჩხეიძე, დათო ტურაშვილი, გიორგი კეკელიძე, ელგუჯა მარღია, თემურ ჩალაბაშვილი, ეკა ბაქრაძე, ზაზა კოლეიშვილი, ნათია გოგოჭური,

იზა ვეფხვაძე, ედუარდ უგულავა, მაიკო მიქაია, ზაალ ებანოიძე, გელა ნიკოლაიშვილი, ქალთა კლუბი და სხვა. სტუმრებს ვმასპინძლობთ მამა-პაპურად, სასტუმროთი და ქართული სუფრით, აქ კი ჩემი მეგობრები მეხმარებიან ზოგჯერ...


16. უკმარისობის თუ რაღაც ვერ გაკეთებულ-მიღწეულის განცდა გაქვთ?

- რა თქმა უნდა. უკმარისობის განცდა არ აქვს ბრიყვს და ყვეყნს. ადამიანი ბოლომდე უნდა იხარჯებოდეს.

17. რა არის 21-ე საუკუნის ბიბლიოთეკის მთავარი საკეთებელი საქმე?

-ადამიანებს (მოზარდებს განსაკუთრებით) შეაყვარონ წიგნი.

ბატონო გიზო, გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის, კვლავაც გელვაწოთ ქვეყნის სასიკეთოდ!



ახალგაზრდა მხატვარი ნინო გოგოლიშვილი

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, ინგა გოგიბერიძე ესაუბრა მხატვარ ნინო გოგოლიშვილს, რომელიც მალე საგანგებო ვიზიტით ესტუმრება ჩვენს ბიბლიოთეკას...

„... თითქოს ნიშანდობლივია, რომ დღეს მეც ინტერნეტი არ მქონდა - გულითადი საუბარი ახალგაზრდა ქალბატონთან, რომელსაც სახლში 13.000 ეგზემპლიარზე მეტი წიგნი აქვს...“

ახალგაზრდა მხატვარი ნინო გოგოლიშვილი ძალიან საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. დიდი ხანია მინდოდა ინტერვიუს ჩაწერა მასთან... მაგრამ მთხოვა „თავად მოვალ თქვენთან ქალბატონო ინგა, ინტერნეტის გზავნილებს ასე მირჩევნიაო. ჰოდა, კაბინეტის კარი ცქრიალა, ულამაზეს, ჭრელ, სიფრიფანა სარაფანში ჩაცმულმა ლამაზდიმილიანმა პატარა ქალბატონმა შემოაღო. მიყვარს ადამიანები, რომლებიც უბრალოებას და სითბოს ასხივებენ. ასეთია ისიც. ნინო გოგოლიშვილი-მხატვარი და წიგნის ფანი.

- რა არის შენთვის წიგნი? ვეკითხები მას და ისიც დაუფიქრებლად მპასუხობს-ყველაფერი, რაც მე მასაზრდოებს, ყოველდღიური საჭიროება, საჭმელი, სასმელი, ჩასაცმელი, ძილი, ღვიძილი და საერთოდ ცხოვრება. წიგნი ყოველგვარ სტრესს მიხსნის..არ მიყვარს და ვერ ვხვდები იმ ადამიანების ვერაფერს ვინც ამბობს, რომ წიგნისთვის არა სცალიათ, ან დრო არ რჩებათ წასაკითხად..არც მე არა მაქვს დრო, ამიტომ ყველგან ვკითხულობ-ბანკში ეგრეთწოდებულ რიგში, მაღაზიაში, ზღვაზე ,აეროპორტში, მატარებელში ,მანქანაში, ძილის წინ და ჰამაკშიც.

- მხატვართან სასაუბროდ ვიყავი განწყობილი და ასე თუ დავიწყებდით ნამდვილად არ მეგონა, საიდან მოვიდა წიგნის ასეთი სიყვარული შენთან?

- ჩემს ოჯახში ყველა კითხულობს, დედის ხელში მუდმივად წიგნს ვხედავდი და ვხედავ. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია და ალბათ ვერ გადავიტან ჩემს შვილს წიგნი ისე არ უყვარდეს როგორც ჩვენ ,ყველას! ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ტრაგედია იქნება.

- არ იდარდო ნინო, პატარაობიდან ბავშვი რასაც ხედავს, დარწმუნებული ვარ ზუსტად იგივეს გააკეთებს..სულ ვამბობ, რომ მშობლების მაგალითი პატარებისათვის უალტერნატივოა.... შენი პატარაც წიგნიერი იქნება. როდის მიხვდი, რომ გარდა წიგნის კითხვისა და სიყვარულისა, შენთვის მხატვრობა იყო მთავარი ამ ცხოვრებაში?

- ძალიან ადრე. მაგრამ უკვე მეექვსე კლასში დაზუსტებით ვიცოდი, რომ სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩამეხარებინა და მხატვარი ვყოფილიყავი. ეს ჩემი გულითქმა იყო და არის!!!! როგორც ის, რომ არ მესწავლა ინგლისური და მესწავლა გერმანული ენა.... თუ სხვებს გერმანული ენის

ქლერადობა არ მოსწონდათ, ჩემთვის ის ულამაზეს მუსიკად იღვრებოდა სულში... (რალათქმუნდა ქართული ენის შემდეგ)

- პირველი ნახატი შენახული გაქვს?

- მე არ შემიწახავს.....მაგრამ, რომ მესტუმრებით სახელოსნოში გაჩვენებთ უბრალო მუყაოს ყუთს, რომელშიც ჩემი პირველი ნახატებია ჩაწყობილი.. ეს დედამ შეაგროვა და შეინახა ჩემთვის.. როგორი მადლობელი ვარ ახლა მისი.. ...როცა ბავშვობის გახსენება მინდება ხოლმე, ამ ჯადოსნურ ყუთში ჩავიხედავ და ამოფრინდება ჩემი ნახატები, ბავშვობის ცრემლები, სილადე, ბავშვობის საამო სურნელი, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებ.

- რომ არ შეგეკითხო არ შემიდლია, განა უფრო იოლი არ იყო ინტერნეტით ინტერვიუს ჩაწერა? კითხვებს გიგზავნი, შენც პასუხობ და ინტერვიუც მზად არის!!!! რატომ ამ ფორმით? (მიუხედავად იმისა, რომ მეც მომწონს შენთან საუბარი)

- ქალბატონო ინგა, რამდჯენ წამიკითხავს თქვენი უმისამართო წერილები, რომლებსაც მთელ სამყაროს უგზავნით და ატყობინებთ, როგორ გიყვართ ისინი..... მეც ასე ვარ... მე დღემდე ვაგზავნი წერილებს, ოღონდაც მისამართით...ინტერნეტით დახუნძლულ ეპოქაშიც კი, ჩემს ახლობლებს ხელით ვწერ წერილებს და ფოსტით ვუგზავნი.. ხელნაწერში ჩანს ადამიანის სული, ამოიკითხავ მის განწყობილებას, მის ნამდვილ გრძნობას, მას სხვანაირი აურა აქვს, ეს კი ინტერნეტ გზავნილში არ ჩანს... მე ძალიან მიყვარდით ინტერნეტით და მინდოდა ეს ცხადშიც მეგრძნო, უფაღს მადლობა რომ არ შევმცდარვარ და ალბათ მალე მომენატრებით კიდევ.....

- საოცარო გოგონა ხარ ნინო.... მაშინ მეც გაჩვენებ ჩემს ჯადოსნურ ყუთს, სადაც ხელნაწერ წერილებს ვინახავ... იცინის..

- ჩემი მეორე ყუთი ცოტათი დიდია და უფრო მეტ ხელნაწერს ინახავს....

- ესე იგი რაღაცით ვგავარავთ ერთმანეთს და მიხარია.. მიხარია, რომ დედამიწაზე კიდევ არსებობენ ასეთი ნიჭიერი და კარგი ქალბატონები. ჩანთაში წიგნი ხომ არ გიდევს?

- რათქმუნდა, ყოველთვის დამაქვს ხელჩანთით წიგნი... ეხლა იაკი კაბეს (ირაკლი კაკაბაძე) მინიატურებს, ტანკას ვკითხულობ და ძალიან მომწონს. იმისათვის, რომ სულ ვკითხულობდი და ვკითხულობ ჩემს ახლობლებს დისკომფორტი ექმნებოდათ.. სულ მეუბნებოდნენ, ნინო შენ ,ჩვენს თავს წიგნი გირჩევნიაო, ეჭვიანიობდნენ.. მაგრამ ახლა..... ყველამ იცის რომ მე უსაშველოდ მიყვარს წიგნი და ჩემი სამშობლო.....

- რატომ ახსენე ასე უეცრად სამშობლო?

- იმიტომ, რომ მართლა ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა... ისე მომიწია გერმანიაში ვსწავლობდი, ეხლა დავბრუნდი სტამბულიდან საოცარი შთაბეჭდილებებით და ექვს თვეში ვაპირებ ისევ სტამბულში ბოსფორის სამხატვრო აკადემიაში დოქტურანტურაში სწავლის

გაგრძელებას..... მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს... ეს არის ბრძოლა იმისათვის, რომ ჩემს ქვეყანაში დავიმკვიდრო თავი და ჩემი პატარა კარგ ქართველად გავზარდო.

- ნინო მინდა წარმატებული სწავლა, უამრავი ლამაზი გამოფენა და სიხარული

გისურვო..... მე კი ჩვენს მკითხველს ვაუწყებ იმ შესანიშნავ პროექტზე, რომელსაც ჩვენ ერთად განვახორციელებთ, დიდი მადლობა ამ ლამაზი დღისათვის.

მომავალ შეხვედრამდე.



ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ქეთევან ოთარაშვილთან

საოცარია.. ლამპის შუქზე, ღამით შექმნილი თოჯინები-გასაუბრება ქეთევან ოთარაშვილთან!

- მოგესალმებით ქალბატონო ქეთევან. იმ დღის დასრულება მიხარია ხოლმე, როცა ერთ კარგ შემოქმედს გავიცნობ.. დღეს პირველად ვნახე თქვენი თოჯინები ჩემი მეგობრის გვერდზე და იმთავითვე მიმიზიდა. მათი ფერადოვნებით. როდის დაიწყეთ ამ თოჯინების კეთება?

- გამარჯობა ინგა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმ სიტუაციისთვის, რომელიც ასე იშვიათად გვხვდება ადამიანურ ურთიერთობებში. პროფესიით მხატვარი ვარ, ადრე გავთხოვდი, ბნელი 90-იანები იყო და ბევრი რამე, რისი გაკეთებაც მინდოდა, ვერ მოვახერხე და დავიწყე თოჯინების კეთება, თითქოს ამით ჩემი თავის რეალიზებას ვახდენდი. ლამპის შუქზე, ღუმელთან, როცა ბავშვებს დავაძინებდი, ვიჯექი გვიანობამდე და ჩემს აუხდენელ ოცნებებს მათში ვაქსოვდი. მერე ზოგს ახლობლებს ვჩუქნიდი, ზოგს კი კედელზე ვკიდებდი და დიდხანს იმედით შევყურებდი.

- საოცარია... ლამპის შუქზე, ღამით შექმნილი თოჯინები.... საიდან მოდის ეს საოცარი ფერები, რომელიც მხოლოდ გაზაფხულს ჰგავს?

- ეს ფერები, რომელიც ჩემს თოჯინებს ალბათ ჩემი სულის გამოძახილია.... ის რაც მინდოდა, რომ გამეკეთებინა და ვერ გავაკეთე, ის სიყვარული, რომელიც ჩემში იყო დაგროვილი, ის მოუმთავრებელი ბავშვობა, რომელიც ჩემში ბოხოქრობდა... რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის მაკლდა ფერადოვნება და ამ ფერებით ჩემში შინაგანის რეალიზება გადავწყვიტე ჩემდაუნებურად.

- და ძალიან კარგადაც მოქცეულხართ... თქვენ გადარჩით!!!! პიროვნულად რადგან არ გიცნობთ მკითხველთან ერთად გაგიცნოთ მინდა, მოგვიყევით ცოტაოდენი თქვენი ოჯახის შესახებ?

- მყავს მეუღლე და სამი შვილი. და ძალიან კარგი ბიჭები არიან... 26, 24 და 17 წლის. მათთვის ვცოცხლობ და მათთვის მინდა ყველაფერი საუკეთესო ცხოვრებაში.

- რა ბედნიერებაა სამი ვაჟი აღუზადრო სამშობლოს და იცხოვრო მათი სიყვარულით. რა არის თქვენთვის სიყვარული? (მე ვგრძნობ, რომ ადამიანს, ვინც ასეთ თოჯინებს ქმნის აუცილებლად ფერადი სიყვარული ექნება.. ან იქნებ სულაც არა?)

- სიყვარული ჩემთვის ძალიან ფართო მცნებაა. სიყვარულია ძალას რომ გვაძლევს და სასწაულებს რომ გვაკეთებინებს, მოდუნების საშუალებას რომ არ გვაძლევს და ჩვენს ამქვეყნად არსებობას რომ ამართლებს. სიყვარულია ღმერთი, რომელიც ყველა ადამიანში ცხოვრობს. თუ ჩვენი გარემოა უსიყვარულო, თუ ცხოვრება ათას განსაცდელს გვიგზავნის და ამოსუნთქვის

საშუალებას არ გვაძლევს, სწორედ ეს მიძინებული ღმერთი უნდა გავადვიდეთ და ის ათას სასწაულს ჩაგვადენინებს.

- მიძინებული ღმერთი... რა უცნაური შედარებაა. ეს თოჯინები სადმე გამოფენაზე თუ არიან ნამყოფნი?

- გამოფენა არ მქონია, ამაზე არც მიფიქრია. სულ რამოდენიმე თვეა, რაც ინტენსიურად ვმუშაობ. ბევრ რამეს ვსწავლობ, ინტერნეტი ამის საშუალებას მაძლევს და ვცდილობ განვვითარდე, უფრო მეტად დავიხვეწო... მერე ალბათ გამოფენაზეც ვიფიქრებ.

- აუცილებლად, მე უკვე ვფიქრობ თქვენს გამოფენაზეახლა კი მომიყევით, როგორია თქვენი ერთი დილა?

- ყველაზე ადრე მე ვიღვიძებ ჩემს სახლში და ჩემი დღე იწყება ერთი ჭიქა ყავით. მიყვარს 10-15 წუთი მარტო, ჩუმად ყოფნა ჩემს თავთან, ეს ერთგვარი მედიტაციასავითაა ჩემთვის, თითქოს ენერგიას ვიღებ ახალი დღისთვის, შემდეგ კი ჩვეულებრივ ყველას სახლიდან გასტუმრება და ისევ ახალი დღე ახალი იმედებით სავსე...

- იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. ისე კი,რას გრძნობთ , როცა თოჯინას დაასრულებთ და ბოლო შტრიხს გაუკეთებთ.. მასთან საუბრობთ?

- როდესაც თოჯინას ბოლო შტრიხებს ვუკეთებ, ეს ჩემთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, კმაყოფილების შეგრძნებაა და ძალიან კარგი რამეა, რასაც სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ისინი ჩემთვის ცოცხალი არსებები არიან თავისი ხასიათით და მე მათ ყოველთვის ვეფერები, როგორც ცოცხალ არსებებს.

- აბა რა, მეც ვეფერები უკვე. ისე მოფერება ხომ ბავშვებს უყვართ. ყველაზე ლამაზი წლებიბავშვობაა.თქვენ კი ის გაიხანგრძლივით... რა გრძნობა წამოიღეთ ბავშვობიდან?

- ბავშვობა ყველაზე ლამაზი და ერთადერთი სამოთხეა დედამიწაზე. ყველაზე ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა ჩემი მშობლები ჩემს გვერდით იყვნენ და ცხოვრებასაც სხვა ფერები ჰქონდა. ბავშვობიდან მომყვება უკმარისობის განცდა, განცდა რომ ჩემი ბავშვობა არც დამთავრებულა და ახლაც 46 წლის ასაკშიც ისევ ბავშვად ვგრძნობ თავს... ეს რეალურ ცხოვრებაში ხშირად ხელს მიშლის.

- დარჩით ბავშვად ეს ხელს კი არ შეგისლით უბრალოდ ცხოვრებას გაგიხანგრძლივებთ მე ასე ვფიქრობ. რას ქმნით ახლა?

- ახლა ვაკეთებ ძალიან კეთილ ჯუჯას, რომელიც ძალიან კეთილია და რომელსაც მალე გაჩვენებთ.

- როგორ მიხარია თქვენი გაცნობა, ჯუჯებიც მიყვარს... მე საზღაპრეთიდან ვარ. მოდიოთ ერთად ვიოცნებოთ... ჯერ თქვენი ოცნება მითხარით და მერე ჩემსას გეტყვით.

- ოცნებებს რა დალევს ქალბატონო ინგა.... და მეც ვოცნებობ ყოველთვის შესაძლებლობების ფარგლებში. ჩემი ოცნებების ძირითადი ნაწილი ჩემს შვილებს უკავშირდება. მიუხედავად ამ ყველაფრისა ძალიან რეალისტი ადამიანი ვარ და ვიცი, რომ თუ ქვეყანაში სიმშვიდე და კეთილდღეობა არ იქნება, არ იქნება სამუშაო ადგილები, იარსებებენ უსახლკარო ბავშვები, შიმშილისგან დაუძლურებული მოხუცები, ლუკმა პურისთვის საზღვარგარეთ გადახვეწილები, არარეალიზებული ნიჭიერი ადამიანები- ჩემს ოცნებებს ახდენა არ უწერია და რაოდენ შაბლონურიც არ უნდა იყოს ჩემი მთავარი ოცნებაა: გაერთიანებული, მშვიდი და ძლიერი საქართველო.

- რას ამბობთ ქალბატონო ქეთევან, ჩემს გვერდით ყველა ოცნება სრულდებაააააააააააა! წარმატება ულავი და იმ დღეს დაველოდები, როცა თქვენს თოჯინებს ბათუმში ვიხილავ!



ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ
ქეთევან ოთარაშვილთან



ამერიკული ფესტივალი - 2019

ამერიკული ფესტივალის პროგრამა სავსე იყო გასართობ-შემეცნებითი და საინფორმაციო აქტივობებით. ბათუმის ამერიკული კუთხე განსაკუთრებულ მადლობას უხდის



თანამშრომლობისთვის რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს, მუსიკალურ სტუდიას 'ლიმპოპო', გამომცელობას 'წიგნები ბათუმში', ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ამერიკულ რესტორანს 'მაკდონალდსი', Education USA-ის ბათუმის ოფისს; პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

საქართველოში.

ღონისძიებას სტუმრობდნენ: საქართველოში ამერიკული კუთხეების კოორდინატორი - ქეთევან ასათაშვილი და აშშ-ს საელჩოს პრეს-ატაშეს მოადგილე ერინ ჯარეტი.

კოსტიუმირებული საღამო



აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ ორგანიზებული „ამერიკული ფესტივალი“ სრული სვლით მიმდინარეობს. 16 საათზე მიმდებარე სკვერში და „ამერიკულ კუთხეში“ შეიკრიბნენ სკოლამდელი ასაკის კოსტუმებში გამოწყობილი ბავშვები, რომლებიც

ზღაპრების - „ფიფია და შვიდი ჯუჯის“ და „101 დალმატინელის“ და სხვადასხვა ამერიკული კომიქსების პერსონაჟებს წარმოადგენდნენ. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ინგა გოგიბერიძემ პერსონაჟ „კრუელას“ ფორმა მოირგო და მსახიობური ოსტატობით და საინტერესო გარდასახვით წაუკითხა ბავშვებს ზღაპარი „101 დალმატინელი“.



"ქართულ-ფრანგული სკოლა "საზღაპრეთში"

2019 წლის 12 ივნისს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ ბათუმის ქართულ-ფრანგული სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ (ხელმძღვანელი ნათია თავდგირიძე).

პირველკასელებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა. პატარებს კი ტრადიციულად, ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა უმასპინძლა. ლელა სურმანიძემ მოსწავლეებს სხვა ცნობილ ზღაპრებთან ერთად ფრანგული ხალხური ზღაპარი “გონიერი ჯარისკაცი” წაუკითხა, რომელიც მოხერხებულ ჯარიკაცზე მოგვითხრობს.

გარდა ამისა, “საზღაპრეთის” პატარა სტუმრებს ლელა სურმანიძემ ბავშვთა დარბაზის წიგნადი ფონდი დაათვალიერებინა და საზაფხულო არდადეგებზე საკითხავი სარეკომენდაციო წიგნების სიაც გააცნო.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს და მკითხველებად დარეგისტრირდნენ.



შეხვედრა კლუბ „საზღაპრეთში“

2019 წლის 5 ივნისს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ ბათუმის მე-18-ე საჯარო სკოლის პირველი კლასელები სტუმრობდნენ (ხელმძღვანელი რუსუდან ღლონტი).

პირველკასელებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა. პატარებს კი ტრადიციულად, ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა უმასპინძლა. ლელა სურმანიძემ მოსწავლეებს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და პატარებს ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობაზე ესაუბრა.

გარდა ამისა, „საზღაპრეთის“ პატარა სტუმრებს ლელა სურმანიძემ ორი მოთხრობა: ლია ბედინაძის „თამთას სიზმარი“ და ლია შალვაშვილის „რატომ შრომობენ ადამიანები“ წაუკითხა.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეები ბავშვთა დარბაზის წიგნად ფონდს გაეცნენ და მკითხველებად დარეგისტრირდნენ.



საუბარი : „ხელოვანის ბედი შუა საუკუნეების საქართველოში და დღეს!“

2019 წლის 31 მაისს, 15 საათზე ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო დარბაზში, ჩატარდა ღონისძიება თემა: ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში (კ. გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენა“-ს მიხედვით).

ღონისძიებაში ბათუმის №22 საჯარო სკოლის IX- კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ (პედაგოგები: მაგული ხიმშიაშვილი, ლალი ბერიძე).

ღონისძიება საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერაძემ გახსნა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ირგვლივ მოსწავლეებს საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის საერთო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი ელეონორა ძიგუა ესაუბრა.

მოსწავლეებმა მიმოიხილეს რომანში მოცემული ეპოქა და პერსონაჟები. ისაუბრეს წყაროებზე, რომელსაც კ. გამსახურდიას თავის რომანში ეყრდნობა, ხელოვნებაზე, სვეტიცხოველის ტაძარზე და ქართველი ხალხისთვის მის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

მოსწავლეებმა ასევე, წაიკითხეს ამონარიდები რომანიდან. გაიმართა დისკუსია რომანში წარმოქმნილ პრობლემებზე, პერსონაჟებსა და დღევანდელი მდგომარეობაზე.



"კინო -კლუბი „ფილმების საღამოები“

2019 წლის 14 ივნისს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კომპიუტერულ ცენტრის კინო-კლუბში, პროექტის „ფილმების საღამოები“ ფარგლებში, რეჟისორ ელაი როტის კომედიის „სახლი საათებით“ ჩვენება გაიმართა. ფილმში



ცნობილი მსახიობები: ქეთი ბლანშეტი, ჯეკ ბლაკი, კოლინ კემპი, ქაილ მაქლაჰანი და ლორენხა იზო თამაშობენ.

ჩვენებას ბათუმის ქართულ-ფრანგული სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები დაესწრნენ.

ჩვენების ორგანიზატორი-კომპიუტერული ცენტრის წამყვანი ბიბლიოთეკარი ნანა ბერიძე.

კომედიური ჟანრის ფილმი პატარა, ობოლი ბიჭის ფანტასტიურ სამყაროზე მოგვითხრობს. ლუისი ჯადოსნური თავგადასავალი მას შემდეგ იწყება, როცა იგი მიჩიგანში ბიძასთან, ჯონათანთან გაემგზავრება. პირველი რაც 10 წლის ლუისმა ბიძის სახლის ზღურბლზე გადაბიჯებისას გაიგო, უძველესი კედლებიდან საათის წიკწიკის ხმა იყო. ბიჭი ეშვება მაგიისა და ჯადოსნობის სამყაროში, რომლის არსებობაზე აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მალე მთავარი გმირი აღმოაჩენს, რომ მისი ბიძა – ჯადოქარია, და ლუისის წინაშე საოცარი ჯადოსნური სამყარო გადაიშლება.

ფილმის დასრულების შემდეგ, ჩვენების ორგანიზატორებთან ერთად კომდიის განხილვა გაიმართა.

კინო -კლუბი „ფილმების სადამოები“

2019 წლის 31 მაისს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კომპიუტერულ ცენტრის კინო-კლუბში, პროექტის „ფილმების სადამოები“ ფარგლებში, რეჟისორ ბარტ ფრენდლიხის ფილმის „დაიჭირე ბავშვი“ ჩვენება გაიმართა.

ჩვენებას ბათუმის მეთვრამეტე საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეები დაესწრნენ.



კომედიური ჟანრის ფილმი გოგონასა და მის ორ მეგობარზე მოგვითხრობს, რომლებიც მთავარი გმირის ავადმყოფი მამის გადასარჩენად ბანკის გაძარცვას გადაწყვეტენ.

ფილმის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. მოსწავლეებმა ჩვენების ორგანიზატორებთან ერთად კომედიის გმირების მიზნებსა და ხასიათზე იმსჯელეს.

საბიბლიოთეკო გაკვეთილი: „ევროპა და საქართველო“

2019 წლის 29 მაისს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მოსწავლეთა დარბაზში ჩატარდა საბიბლიოთეკო გაკვეთილი თემაზე - ევროპა და საქართველო. შეხვედრას ბათუმის მეათე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეები დაესწრნენ (დამრიგებელი: ნატო ჯვარშიშვილი). საბიბლიოთეკო გაკვეთილი საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერაძემ გახსნა.

მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნანა კვაჭაძემ მოსწავლეებს პირველ რიგში ევროპასა და ევროპულ ღირებულებებთან დაკავშირებული ის წიგნები წარუდგინა, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდშია დაცული, საუბარი კი იმ ქართველების შესახებ გააგრძელა, რომლებმაც



მე-19-ე საუკუნეში განათლება ევროპაში მიიღეს და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქვეყნის განვითარებაში.

თანამედროვე ევროპული გზასა და საქართველოს გამოწვევებზე კი მოსწავლეებს საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კომპიუტერული ცენტრის თანამშრომელი ესაუბრა.

ეკატერინე დავითაძემ ყურადღება ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ქართული მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მისი შესრულება საქართველოს თოთოეული მოქალაქის მოვალეობაა, მთავარი გზა ევროპისკენ კი განათლებაზე გადის.

ლონისძიება პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველი ოფიცრების მიერ შქმნილი მრავალჯამიერით დაიხურა.

ახალი ლიტერატურის წარდგენა

2019 წლის 16 მაისს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო სამკითხველო დარბაზში ახალი წიგნების წარდგენა-მიმოხილვა მოეწყო. ღონისძიებას ბათუმის №10 საჯარო სკოლის IX-კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ღონისძიების დაწყებამდე მოსწავლეებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა და მოსწავლეებს ახალი წიგნების წაკითხვა ურჩია. ახალი ლიტერატურის წარდგენა-მიმოხილვას უძღვებოდა მთავარი ბიბლიოთეკარი ელენორა მიგუა. მან დეტალურად მიმოიხილა ყველა იმ წიგნის შინაარსი, რომლებიც დღეიდან ჩვენ წიგნად ფონს კიდევ უფრო გაამდიდრებს.

ახალი წიგნების ჩამონათვალი კი საკმაოდ მრავალფეროვანია: დეტექტივები, გაჩენილი ადამიანების (რუზველტი, ჩერჩილი, სტალინი და სხვა) ცხოვრება და მხატვრული ლიტერატურა.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ახალი ლიტერატურის გამოყენება მკითხველს დღეიდან შეუძლია.



ლიტერატურული კლუბი - „მოგზაურობა წიგნით“

2019 წლის 14 მაისს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო-სამკითხველო დარბაზში ლიტერატურული კლუბის „მოგზაურობა წიგნით“ მორიგი შეხვედრა გაიმართა.



შეხვედრაში არსებული ლიტერატურული კლუბის „მოგზაურობა წიგნით“ წევრები - ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის X, VIII, VII კლასის მოსწავლეების მონაწილეობდნენ.

კლუბის წევრებს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-

ახალგაზრდობის განყოფილების უფროს თინა ცენტრადე მიესალმა და მოსწავლეებს აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ღონისძიებას საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი უძღვებოდა. ელენორა ძიგუა ახალგაზრდებს “ცისფერ ყანწელების” პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებაზე ესაუბრა.

კლუბის წევრებმა გალაკტიონ ტაბიძის, ტიცინ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძის, ოთარ ჭილაძისა და ნიკო გომელაურის ლექსები წაიკითხეს. ისაუბრებს პოეზიაზე და მათი საყვარელი პოეტების ცნობილი ისტორიები და კურიოზები წაიკითხეს.

საბავშვო - ახალგაზრდობის განყოფილებას კერძო სკოლა "ნიკეს" მოსწავლეები ეწვივნენ

✓ 2019 წლის 13 მაისს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო - ახალგაზრდობის



განყოფილებას კერძო სკოლა "ნიკეს" მოსწავლეები ეწვივნენ.

✓ მოულოდნელ სტუმრებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მოსწავლეთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა უმასპინძლა.

✓ ნანა კვაჭაძე მოსწავლეებს მოახლოებულ არდადეგებზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ ზაფხულში თამაშსა და

გართობასთან ერთად, აუცილებელია, დღის განმავლობაში, რამდენიმე საათი წიგნის კითხვას დაუთმონ.

✓ სკოლა "ნიკეს" მოსწავლეები, დღესვე საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში მკითხველებად დარეგისტრირდნენ და მთავარი ბიბლიოთეკარის რეკომენდაციით, მხატვრული ლიტერატურაც შეარჩიეს.

საუბარი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაზე

✓ 2019 წლის 15 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთში“ გაიმართა საუბარი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაზე. ღონისძიებას ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის მესამე კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ (პედაგოგი ირმა კონცელიძე).

✓ ღონისძიებაზე იროდიონ ევდოშვილის სევდიანი, მაგრამ საოცრად თბილი და სიკეთით სავსე მოთხრობები: „ორი ობოლი“, „ჭკვიანი ბასარა“, „უბედური ქორბუდა“ და „საწყალი ბიჭიკო“ განიხილეს, რომლებიც საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებაზე, ცხოველების მწარე ხვედრზე, მათ ერთგულებასა და ადამინების გაჭირვებულ ყოფაზე მოგვითხრობს.

✓ ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის მოსწავლეები დღესვე ბიბლიოთეკაში მკითხველებად დარეგისტრირდნენ.



კლუბ საზღაპრეთში „ალადინი“ წაიკითხეს

✓ 2019 წლის 8 მაისს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბმა „საზღაპრეთმა“ ბიბლიოთეკის პატარა, აქტიურ მკითხველებს უმასპინძლა.

✓ პატარებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ „ალადინი“ წაუკითხა. უსახლკარო, ობოლი ბიჭის ისტორიამ, რომელიც გამოგონილ სურვილის ქალაქში ცხოვრები, მსმენელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.



✓ კლუბ „საზღაპრეთის“ მიზანი პატარებში წიგნის კითხვისა და ბიბლიოთეკაში სიარულის პოპულარიზაციაა.

“მე ბიბლიოთეკარი ვარ”.

30 აპრილი ბიბლიოთეკარების საერთაშორისო დღეა. თარიღთან დაკავშირებით, აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში “საბიბლიოთეკო კვირული -2019” გაიხსნა.

ღონისძიებების პირველი დღე სახელწოდებით - “მოდით, ნახეთ დღეს მე ბიბლიოთეკარი ვარ” გაიმართა. მასში მონაწილეობა ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის VII და X კლასების მოსწავლეებმა მიიღეს.



სტუმრად კერძო ბაგა-ბაღის „მერი პოპინს“-ის აღსაზრდელებთან

22 მაისს აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბი „საზღაპრეთი“ კერძო ბაგა-ბაღ „მერი პოპინს“-ს ეწვია (ბაღის ხელმძღვანელი ირმა კაპანაძე).

კლუბი „საზღაპრეთის“ დღევანდელი შეხვედრა გამორჩეული იყო, რადგან ჯგუფების „ბზიკებისა“ და „ონავრების“ აღსაზრდელებს ქალაქის პირველი მეზღაპრე და ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი - „ქალი, რომელიც ბავშვებს წიგნებს უკითხავს“, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე ესტუმრა.

ინგა გოგიბერიძემ პატარებს სანდრო ასათიანის „ძველი ფოტოაპარატი“ წაუკითხა და



მათთან ერთად სურათის გადაღების სახალისო ისტორიები გაიხსენა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს კი განსაკუთრებით ლექსი „კაკუჩას დაბადების დღე“ მოეწონათ, რომელიც მთავარმა მეზღაპრემ წიგნიდან „მხიარული ხმები“ სპეციალურად მათთვის შეარჩია.

„მერი პოპინსის“ აღსაზრდელებმა მეზღაპრეს „წითელ ქუდას“ წაკითხვაც სთხოვეს. ინგა გოგიბერიძემ ცნობილი ზღაპრის მოყოლას, „მინი სპექტაკლის“ წარმოდგენა არჩია და აღსაზრდელებს როლები გადაუნაწილა. პატარებმა კი ზღაპრის საკუთარი ვერსია წარმოადგინეს, რომელიც დღევანდელი შეხვედრის ყველაზე მხიარული ნაწილი აღმოჩნდა.

დღევანდელ ღონისძიებაში ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნანა ჩიკვაძე და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი ლელა სურმანიძეც მონაწილეობდნენ, რომლებმაც პატარები შოთა ხოდაშნელის მხიარული გამოცანებით „რის შვილს რა ჰქვია“ გამოსცადეს.

„საზღაპრეთს“ კერძო სკოლა „იბერიის“ მოსწავლეები სტუმრობდნენ

2019 წლის 24 აპრილს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ კერძო სკოლა „იბერიის“ I, II, IV კლასის მოსწავლეების ესტუმრნენ.



„საზღაპრეთის“ დღევანდელი ღონისძიება ერთ-ერთ უდიდეს მართლმადიდებულ დღესასწაულს - აღდგომას მიემდვნა.

პატარებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა და აღდგომის დღესასწაული წინასწარ

მიულოცა. რელიგიის არსზე, უფლის სიყვარულზე, რწმენისა და წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე კი მოსწავლეებს ჩვენი განყოფილების მოსწავლეთა დარბაზი მთავარი ბიბლიოთეკარი ნანა კვაჭაძე ესაუბრა.

„საზღაპრეთის“ სტუმრების მთავარი მასპინძელი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ბავშვთა დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი ლელა სურმანიძე გახლდა.

ლელა სურმანიძემ პატარებს „იესო ქრისტეს სასწაულები“ წაუკითხა. ასევე ესაუბრა კვერცხის შეღებვის, პასკის გამოცხობისა და სააღდგომოდ ჯეჯილის დათესვის ტრადიციებზე.

ღონისძიების დასასრულს სკოლა „იბერიის“ მოსწავლეებმა სიმბოლურად კვერცხები მოხატეს და საკუთარი ნამუშევრები ბიბლიოთეკას სახსოვრად დაუტოვეს.

საბიბლიოთეკო გაკვეთილი თემაზე - “წარსული, აწმყო, მომავალი - თაობათა ურთიერთობა”.

2019 წლის 17 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მოსწავლეთა დარბაზში ჩატარდა საბიბლიოთეკო გაკვეთილი თემაზე - “წარსული, აწმყო, მომავალი - თაობათა ურთიერთობა”. შეხვედრას ბათუმის მერვე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეები დაესწრნენ (პედაგოგი: ნინო ჩხაიძე).

ტექნოლოგიურმა სამყარომ ადამიანებს შორის ვერბალური და ფიზიკური ურთიერთობის დეფიციტი შექმნა, ეს კი განსაკუთრებით, შვილებისა და მშობლების, შვილიშვილებისა და ბებია-ბაბუების ურთიერთდამოკიდებულებაზე აისახა.

ყურადღება გამახვილდა აღზრდის პროცესში მშობლის როლსა და პასუხისმგებლობაზე, ასევე შვილების



მხრიდან რჩევა-დარიგების მიმღეობასა და გაზიარებაზე. თვალსაჩინოებისთვის ნანა კვაჭაძემ მოსწავლეებს ქართული ლიტერატურის ორი თვალსაჩინო მოთხრობა “ოთარაანთ ქვრივი” და “თავსაფრიანი დედაკაცი” მოუყვანა. საუბარი ასევე შეეხო, თაობათა შორის ურთიერთობის ისტორიულ მეხსიერებას.

შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გაიმართა. დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ჩვენს ქვეყანაში ოჯახის სამი ძირითადი ტიპი არსებობს: ავტორიტარული, ავტორიტეტული და ლიბერალური. მოსწავლეების უმრავლესობა ავტორიტეტულ ოჯახში ცხოვრებას ირჩევს, თუმცა, ისინი მშობლებისგან ნებისმიერი შენიშვნისა და აკრძალვის დასაბუთებას ითხოვენ, რაც ხშირ შემთხვევაში დეფიციტურია.

საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებას კერძო საბავშვო ბაღის „მინიონ ქიდის“

აღსაზრდელები სტუმრობდნენ

✓2019 წლის 10 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ კერძო საბავშვო ბაღის „მინიონ ქიდის“ აღსაზრდელები სტუმრობდნენ (ხელმძღვანელები: ხატია იაშვილი, თიკო დუმბაძე) პატარებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერაძე მიესალმა, ხოლო ბიბლიოთეკარმა, ლელა სურმანიძემ მათ ირმა მაღაციძის ზღაპრები



წაუკითხა. ბავშვებს განსაკუთრებით მოთხრობა „ქოლგა“ მოეწონათ და ზღაპრის ირგვლივ დასმულ შეკითხვებსაც სათანადოდ გაართვეს თავი. ასევე, შოთა ხოდაშნელის წიგნიდან „რის შვილს, რა ქვია“ მხიარული გამოცანებს უპასუხეს.

✓გარდა ამისა, „მინიონ ქიდის“ აღსაზრდელებმა სიმღერები შეასრულეს და ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ლექსებიც წაიკითხეს.დღესვე ჩვენმა პატარა სტუმრებმა ბიბლიოთეკისგან საჩუქრად მკითხველის ბარათები მიიღეს.

„საზღაპრეთს“ კერძოს სკოლა „თამარისის“ მოსწავლეები სტუმრობდნენ

✓ 2019 წლის 10 მაისს, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბ „საზღაპრეთს“ კერძოს სკოლა „თამარისის“ I და II კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ (მოსწავლეები: ეკა წულუკიძე, მაიკო თევზაძე).

✓ პატარებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტრაძე მიესალმა. სტუმრებს კი ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ უმასპინძლა.

✓ ლელა სურმანიძემ პატარებს ნინო ნაკაშიძის ორი მოთხრობა: “ილია ჭავჭავაძე და პატარა ბიჭუნა” და “იაკობ გოგებაშვილი და ორი



ბავშვი” წაუკითხა. დაუსვა ნაწარმოებების ირგვლივ შეკითხვები, რასაც მოსწავლეებმა აქტიურად უპასუხეს. ამიტომაც, წახალისების მიზნით ჩვენმა ბიბლიოთეკარმა მოსწავლეებს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა “ვაშლის დარიგება” წაუკითხა და მწერლის შემოქმედებაზე ესაუბრა.

✓ ჩვენმა სტუმრებმა განსაკუთრებული ცოდნა ქართული ანდაზებისა და გამოცანების ცოდნაში გამოავლინეს.

✓ გარდა ამისა, „თამარისის“ აღსაზრდელებმა საბავშვო ლექსებიც წაიკითხეს.


✓ დღესვე ჩვენმა პატარა სტუმრებმა (25-მა მოსწავლემ) ბიბლიოთეკისგან საჩუქრად მკითხველის ბარათები მიიღეს.

საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე

✓2019 წლის 2 აპრილს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების ბავშვთა დარბაზში საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

✓თარიღთან დაკავშირებით, ჩვენს ბიბლიოთეკას ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მეოთხე კლასელები ესტუმრნენ (პედაგოგები ს.დანელია, ნ.თალაკვაძე, რ. თოიძე).

✓ღონისძიება ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერაძემ გახსნა და პატარა სტუმრებსა და მათ



მშობლებს ჩვენს ბიბლიოთეკაში არსებულ საბავშვო წიგნებზე მიაწოდა ინფორმაცია.

✓მოსწავლეებს წიგნიერების მნიშვნელობაზე, წიგნის კითხვის კულტურასა და განათლების სრულყოფაში კითხვის აუცილებლობაზე, მთავარი ბიბლიოთეკარი ნანა კვაჭაძე ესაუბრა.

✓მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ კი გიმნაზიის მოსწავლეებთან საუბრისას, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღის დაწესებასა და ამ მნიშვნელოვან თარიღთან ცნობილი მეზღაპრეს ჰანს კრისტიან ანდერსენის დაბადების დღის კავშირზე გაამახვილა ყურადღება. აღინიშნა, რომ ამ ორი მნიშვნელოვანი თარიღის ერთდროულად აღნიშვნა სიმბოლურია, ისევე როგორც ქართული საბავშვო წიგნის დღე (27 ოქტომბერი) და იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს. ლელა სურმანიძემ ღონისძიებაზე ანდერსენის ბიოგრაფია - ბავშვობის წლები, სამწერლო კარიერა და მისი ცნობილი ზღაპრები მიმოიხილა.

✓ღონისძიების დაწყებამდე მოსწავლეებმა ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების შენობაც დაათვალიერეს - გაეცნენ პერიოდიკის, საერთო სამკითხველო და ბავშვთა დარბაზების, ასევე კომპიუტერული ცენტრის მუშაობის სპეციფიკას. გარდა ამისა, მოინახულეს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდები.

✓დღეს ჩვენს ბიბლიოთეკას ახალი მკითხველებიც შეემატა. ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეები მკითხველებად დარეგისტრირდნენ და ბარათებითაც ისარგებლეს.

ინგა გოგიბერიძის საიუბილეო სადამო

დღეს აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ინგა გოგიბერიძის მინიატურებისა და ესეების საიუბილეო პერფორმანსი გაიმართა. ღონისძიებას ბათუმის მერი ლაშა კომახიძე დაესწრო.

მერმა ინგა გოგიბერიძეს ახალგაზრდობის განათლებისა და წიგნის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა. საიუბილეო სადამოზე ახალგაზრდა ხელოვანებმა წაიკითხეს ინგა გოგიბერიძის მინიატურები, შეასრულეს თეატრალიზებული და მუსიკალური ნომრები. ღონისძიება პროზაიკოსის, აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა.



ბათუმობა 2019

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 2019 წლის 28 აპრილს ბათუმობის დღესასწაულს თემატური გამოფენით შეუერთდა. ბათუმის ბულვარში საზაფხულო თეატრის მიმდებარედ გამოიფინა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული საცნობარო და მხატვრული ლიტერატურა ქალაქ ბათუმის შესახებ. ასეთ არაჩვეულებრივ გარემოში "ინგულა მეზღაპრემ" ბავშვებისათვის წაიკითხა ბიბლიური ისტორიები, პატარებმა ისიამოვნეს და სრულიად ახალი ზღაპრები მოისმინეს.



გულნარა მიქანაძე-სვანიძის მინიატურული თოჯინების გამოფენა

დღეს, 27 ივნისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის განახლებულ საზაფხულო-სამკითხველო ეზოში გულნარა მიქანაძე-სვანიძის მინიატურული თოჯინების გამოფენა გაიმართა.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ ბიბლიოთეკის ულამაზეს სამკითხველო-საზაფხულო ეზოში უმასპინძლა გამოფენაზე მოსულ სტუმრებს, გულთბილი სიტყვებით ისაუბრა ემიგრანტი მეგობრის შექმნილ მინიატურებსა და ლიტერატურულ კრებულებზე.

ქალბატონი გულნარა იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტია. მისი ნამუშევრების უმრავლესობა ემიგრაციაში ყოფნისასაა შექმნილი, რომელსაც სოციალურ ქსელში ნანახი ცნობილი ადამიანების და მეგობრების ფოტოების მეშვეობით, პიროვნების ხასიათისა და განწყობის აღქმით „სახასიათო პორტრეტებს“ აცოცხლებს და ისევ ფეისბუქით უზიარებს ემოციებს საქართველოში მყოფ მისი შემოქმედების მოყვარულთ და გულშემატკივრებს.

გამოფენაზე მოსულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცა ავტოგრაფით დამშვენებული პატარა ლიტერატურული კრებულები; ერთ-ერთ პატარა სტუმარს კი, ლამაზი მინიატურული თოჯინა ერგო საჩუქრად.



პოეტ ბელა ქეზურია 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო

2019 წლის 18 ივნისს, 17 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეტ ბელა ქეზურიას 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პოეზიით და სიყვარულით სავსე საღამო. შეხვედრას ესწრებოდნენ და პოეტს დიდი პატივისცემა დაუდასტურეს აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და ქალაქ ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ. ბელა ქეზურიას მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გამოხატეს მწერლებმა, პოეტებმა და მისი მოღვაწეობის თაყვანისმცემლებმა.



შეხვედრა დიალოგის სახე ჰქონდა და ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატო ჭყონია უძღვებოდა. პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოსლაიდი და მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები ფონად გასდევდა საღამოს.

საღამო მუსიკალურად დააგვირგვინა მეცო-სოპრანო ინგა

ჯახუტაშვილმა ფრანგი კომპოზიტორის ჟორჟ ბიზეს გენიალური არიით ოპერიდან „კარმენი“. ქალბატონი ბელა გახლავთ 9 ლიტერატურული პრემიის ლაურეატი: ახლახანს საქართველოს მწერალთა კავშირმა და ხელოვანთა ოქროს ფონდმა, იშვიათი ჯილდო, თამარ მეფის ენდალმა მიანიჭა ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის - ამ საპასუხისმგებლო ჯილდოს მფლობელი საქართველოში მხოლოდ სამი ადამიანია. ილია ჭავჭავაძის, ტბელ აბუსერიძის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სახელობის პრემია ბავშვთა ლიტერატურული კონკურსის „სიკეთის ხისგან“ - მომავალი თაობის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის (პოეზიის კონკურს „ზღვაურისა“ და ლიტერატურული „ალმანახ „ზღვაურის“ გამო), ზურაბ გორგილაძის, მარიკა ბარათაშვილის, „პოეზიის დღე - მოთაობის“ (მესხეთი), „უქიმერიონისა“ (ქუთაისი), ჟურნალ „ოლეს“ (კახეთი). 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით ის გახდა „რჩეული შემოქმედის“ წოდების მფლობელი (აჭარის მწერალთა სახლი), ხოლო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან მადლობის სიგელი დაიმსახურა.

შეხვედრა მწერალ და მუსიკოს ნინო გუგეშაშვილთან

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ 2019 წლის 12 ივნისს,



17 საათზე უმასპინძლა მწერალსა და კომპოზიტორს, ნინო გუგეშაშვილს. შეხვედრის დასაწყისში ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ სიურპრიზის სახით წარმოადგინა ვიდეორგოლი, რომელსაც ფონად მისი წაკითხული ნინო გუგეშაშვილის ლექსი „მილიონერი“ გასდევდა. ვიდეოს ხილვა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტსივცეში.

საღამო საინტერესოდ გაგრძელდა და დამსწრე საზოგადოება ქალბატონი ნინოს შემოქმედებასთან ერთად, მისი ცნობილი მამის, ბორის გუგეშაშვილის შემოქმედებას და მოღვაწეობას გაეცნო. ბათუმში რამოდენიმე დღით სტუმრად მყოფ, თანამედროვეობის გამორჩეულ შემოქმედთან სასიამოვნო შეხვედრამ დილოგის და აზრთა გაცვლის ფორმატში ჩაიარა. ნინოს იუმორმა და სიყვარულით სავსე მოთხრობებმა ყველას გული გაუთბო. მწერალი საზოგადოებას დაჰპირდა, რომ აუცილებლად ესტუმრება ბათუმს ახალი კრებულით და მუსიკალური კომპოზიციებით სავსე საღამოთი.

შეხვედრა პოეტ - სოფიო ფოცხვერაშვილთან

ბავშვთა დაცვის დღესათან დაკავშირებით, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო ახალგაზრდობის განყოფილებაში შვეიცარიაში მოღვაწე, ქართველ საბავშვო პოეტ სოფიო ფოცხვერაშვილთან შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას ბათუმის მეორე საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები დაესწრნენ (მასწავლებელი დალი ჭელიძე).

ღონისძიება ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ გახსნა და პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, პატარები სოფიო ფოცხვერაშვილის პოეზიითა და საზოგადოებრივი საქმიანობით დაინტერესდნენ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სოფო ფოცხვერაშვილის მხიარული, საბავშვო ლექსები



ხელოვანის ირგვლივ გაზრდილი ბავშვების ნამდვილ ისტორიებზეა, ამიტომაც თითოეულ მათგანს პოეტისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. რაც შეეხება საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იგი ქველმოქმედებითაა დაკავებული.

დღევანდელ ღონისძიებაზე პოეტმა ბავშვებს ლექსები და ხუთ ენაზე თარგმნილი მოთხრობა „როკი“ წაუკითხა, რომელიც ერთგულ და კეთილ ძაღლზე მოგვითხრობს. პატარებს განსაკუთრებით რიტმული გამოცანები მოეწონათ, რომელსაც ქალბატონი სოფო გამოცემისთვის უკვე ამზადებს.

შვეიცარიაში, ციურიხში მცხოვრები პოეტი სოფიო ფოცხვერაშვილი ქართველი ემიგრანტი ბავშვებისთვის წერს ლექსებს და საკუთარი სახსრებით გამოსცემს თავის კრებულებს. მიაჩნია, რომ საქართველო უქართველოდ არ უნდა დარჩეს, ამიტომაც მიზნად დაისახა უცხო მიწაზე გაფანტული პატარა ქართველებისთვის წიგნების წერა.

სოფიო ფოცხვერაშვილი 3 წიგნის ავტორია: „ნოსტალგია“, საბავშვო ლექსების კრებული „დედამიწა რაზე დგას“ და მოთხრობა „როკი“.

მწერალ გიზო თავაძის 60 წლის იუბილე

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 2019 წლის 30 მაისს, 17 საათზე ჩატარდა 31 წიგნის (პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა) ავტორის, ნოდარ დუმბაძის, ნიკო ნიკოლაძის, ტერენტი გრანელის, ჟურნალ „ოლეს“, ზურაბ გორგილაძის და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატ, მწერალ გიზო თავაძის 60 წლის იუბილე. სადამოს ესწრებოდნენ და მის მიმართ კიდევ ერთხელ სიყვარული გამოხატეს ბათუმში მოღვაწე მწერლებმა და პოეტებმა, ბატონი გიზოს ბავშვობის მეგობრებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა. სადამოს მუსიკალურად აფორმებდა მუსიკოსი სალომე მილორავა.

დამსწრე საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა ბათუმში სტუმრად მყოფი ავტორისგან პირადად მოესმინა ლექსები და მოგონებები მოღვაწეობის შესახებ.

#იკითხეთჩვენთანერთად



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, მეზღაპრემ და 2016 წლის ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტმა ინგა გოგიბერიძემ 4 ლოკაციაზე ჩაატარა.

29 მაისი - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, მეზღაპრემ პერსონაჟ „კრუელას“ ფორმა მოირგო და მსახიობური ოსტატობით და საინტერესო გარდასახვით წაუკითხა ბავშვებს ზღაპარი „101 დალმატინელი“.

1 ივნისი-ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში, სტუმარმა მეზღაპრემ პატარებს წაუკითხა გურამ პეტრიაშვილის ზღაპარი „მეჭუდე“.

1 ივნისი-სურამის საბავშვო ბიბლიოთეკაში, ქალბატონმა ინგა გოგიბერიძე შეხვდა პატარებს და მათთან ერთად იმოგზაურა ზღაპრის ჯადოსნურ სამყაროში.

2 ივნისი-ცხარმუხის ბიბლიოთეკაში, ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ ცხარმუხის ბიბლიოთეკის მკითხველებს მიულოცა ბავშვთა დაცვის დღე და პატარებს ზღაპრები წაუკითხა.



შეხვედრა მწერალ მაკა ლდოკონენთან

2019 წლის, 24 მაისს, 17 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სტუმრად ეწვია და არაჩვეულებრივი სადამო აჩუქა ქალაქ ბათუმს მწერალმა და მხატვარ-ილუსტატორმა მაკა ლდოკონენმა. შეხვედრა სხვადასხვა საჯარო სკოლების უფროსკლასელები ესწრებოდნენ. ქალბატონმა მაკამ არა მხოლოდ მის შემოქმედებაზე ისაუბრა. მან ახალგაზრდებს შესთავაზა საჯარო ლექცია თემაზე - როგორ ვაქციოთ კითხვა შემოქმედებით პროცესად და როგორ შევარჩიოთ საკითხავი ლიტერატურა სწორად. საოცრად საინტერესო და შთაბეჭდავი შეხვედრის შემდგომ, თბილისიდან სტუმრად ჩამოსულმა მაკა ლდოკონენმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღო ახალგაზრდებთან.



ქართულ-აფხაზური ოჯახების წარმომადგენლებთან შეხვედრა.

2019 წლის 22 მაისს, 17 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ უმასპინძლა სახალხო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური საგას“ ორგანიზებით გამართულ აფხაზეთის კვირეულის „აფხაზეთო! მე უშენოდ მზეც ობოლი მგონია...“ ფარგლებში ქართულ-აფხაზური ოჯახების წარმომადგენლებთან შეხვედრას, რომელსაც ქალბატონი ნათელა დუმბაძე უძღვებოდა. საღამოზე წარმოდგენილი იყო თითოეული ოჯახის დეტალური გენეოლოგია. აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა სიმღერებით „მრავალჟამიერი“ და „ვარადა“. ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ინგა გოგიბერიძემ ბავშვებთან ერთად წარმოადგინა ქალაქ ბათუმის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა წერილები მიწერილი აფხაზი თანატოლებისათვის. საზოგადოებას მიმართეს ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ ხუბუამ, აჭარის ა/რ ჯანდაცვის მისნისტრმა ზაალ მიქელაძემ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ხონელიძემ, აფხაზეთი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ზურაბ ლომთათიძემ, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ და ამჟამად, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ავთანდილ ბერიძემ, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როლანდ კოპალიანმა და სხვა საპატიო სტუმრებმა.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში ორგანიზატორების მიერ დამზადებული სპეციალური ჟილდო გადაეცა თითოეულ ქართულ-აფხაზურ ოჯახს.



პოეტ ნანა კვაშილავას პოეზიის საღამო

2019 წლის 21 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში პოეტის, მთარგმნელისა და პედაგოგის ნანა კვაშილავას პოეზიის საღამო გაიმართა. საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ დამსწრე საზოგადოებას პოეტის ბიოგრაფიული შტრიხები და მისი შემოქმედებდან პატარა-პატარა ლექსები გააცნო. ნანა კვაშილავამ თავისი პირველი პოეტური კრებულიდან "ღიმილი ჩემი ავტოგრაფია", გამორჩეული ლექსები წაიკითხა; "ჩემი პოეტური ღიმილები"- ასე უწოდებს საკუთარ ლექსებს; წერს სამშობლოზე, სიყვარულზე, ფილოსოფიური დატვირთვის ლექსებს, საბავშვო ლექსებს და ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნის რუსულ პოეზიას. პოეტის შემოქმედებაში პატრიოტულ ლირიკას ლეიტმოტივად გასდევს ნოსტალგიური ნოტები...მართლაც ღიმილიანი, სევდითა და სიყვარულით სავსე საღამო შედგა. საღამოზე ლამაზი მუსიკალური ჰანგები გაჟღერდა; ინგა გოგიბერიძემ ნანა კვაშილავას თარგმნი, რუსი პოეტის ულამაზესი ლექსი წაიკითხა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ბათუმელი პოეტები, ქალაქის საზოგადოება, სამედიცინო აკადემიის სტუდენტები, პოეზიის მოყვარულნი და პოეტის მეგობრები. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა აგრძელებს პოეტური საღამოების მასშინძლობას და გარწმუნებთ, არაერთი ლამაზი საღამოს მომსწრე გახდება ბათუმის საზოგადოება.



საბიბლიოთეკო კვირეული-2019 საზეიმო დახურვა

2019 წლის 8 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის



საერთო სამკითხველოში დარბაზში „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ საზეიმო დახურვა გაიმართა. სადამო შესავალი სიტყვით გახსნა და უმღვებოდა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე. სპეციალურად ამ შეხვედრისთვის მომზადებული სლაიდის „ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“ საშუალებით, საზოგადოება გაეცნო

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ყველა განყოფილების მუშაობის პრინციპსა და მიღწევებს.

„ბიბლიოთეკის კვირეული 2019“ ფარგლებში, ჩემოპიონატი ნარდში, მკითხველებსა და ბიბლიოთეკარებს შორის, შეჯიბრში გამარჯვებულთა დაჯილდოება შედგა. გამარჯვებულებს საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვის ცერემონიაზე გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო პრიზები. პირველი ადგილის მფლობელი გახდა ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი - სოფიო ხარაზი.

დაჯილდოვდნენ 2018 წლის გამორჩეული ბიბლიოთეკარები: ელენე ტულუში - „წლის თანამშრომელი“, ლეილა სურმანიძე - „წლის საბავშვო წიგნის მეგობარი“. ეთერ აბულაძე - უჩხოს სასოფლო ბიბლიოთეკის გამორჩეული ბიბლიოთეკარი.

წლის ერთგულ მკითხველებს - ანზორ კუდბას, შალვა ტაბაღას, ბექა წოწონავას, დიანა ხუჭუას, დავით ორაგველიძეს, ქეთი დიასამიძეს გადაეცათ მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

სადამოს ესწრებოდა ქალაქის საზოგადოება, ვეტერანთა საბჭოს წევრები, აჭარის რეგიონის საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლები.

სადამო მუსიკალურად ლამაზი ჰანგებით გააფორმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა: ნიკა კახიძემ, სოფიო ღლონტმა და სალომე მილორავამ; შედგა ტრიოს ერთგვარი დებიუტი. დარბაზში მყოფ ყველა ქალბატონს გადაეცა თაიგული და სპეციალურის სამახსოვრო ბარათები.

მეცნიერებათა დოქტორ, თამარ ასანიშვილის საჯარო ლექცია

2019 წლის 10 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის სამკითხველო დარბაზში გაიმართა აკადემიკოსის და მეცნიერებათა დოქტორის თამარ ასანიშვილის საჯარო ლექცია თემაზე - „ქართული ანბანის საიდუმლოებანი



და ცივილიზაციის ისტორიის საწყისები“.

შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და ლექსი „ემიგრანტებს“ წაიკითხა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ. თამარ ასანიშვილის წიგნიდან „ისტორია იწყება იბერიებიდან“ - ქურუმთა კოდი, მსახიობმა და საზოგადო მოღვაწემ ზურაბ ცინცქილაძემ წაიკითხა და

ისაუბრა სამეცნიერო ნარომის დიდ ისტორიულ დანიშნულებასა და ღრმა შინაარსზე, რომლის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერებით, ისტორიით დაინტერესებული პირებისა და მომავალი თაობებისათვის.

თამარ ასანიშვილმა ისაუბრა ქართული ენის ჰემატრიის, ჩვენი ანბანის ღრმა მნიშვნელობაზე, ქართველი ერის განსაკუთრებულ და ამოუცნობ წარსულზე, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალზე დგას დასაბამიდან; კაცობრიობის ისტორიის საწყისი კი იბერიულ ფესვებზეა შეზრდილი და აღმოცენებული...

საჯარო ლექციას ესწრებოდნენ ბათუმის საჯარო სკოლის უფროსკლასელები, მახინჯაურის 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, დაინტერესებული პირები და მწერლის მეგობრები.

ეს შეხვედრა ახალი საგანმანათლებლო პროექტის „ალტერნატიული მეცნიერება“ ფარგლებში შედგა, რომელსაც აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა მსახიობ ზურაბ ცინცქილაძესთან ერთად იწყებს და მას ისტორიული თემატიკის საჯარო ლექციების სახე ექნება.

ქართული ფოლკლორის სადამო

2019 წლის 17 მაისს, 17 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების მიმდებარედ სკვერში გამართა ქართული ფოლკლორის სადამო. წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის საცავში დაცული წიგნადი ფონდიდან ფოლკლორის თემაზე გამოცემული წიგნები და ტრადიციული რეწვის ნიმუშები.

აჭარის მოსწავლე -ახალგაზრდობის სასახლის ვაჟთა ფოლკლორული გუნდმა „იბერიონი“ თემურ დოლიძის ხელმძღვანელობით დამსწრე საზოგადოებას ქართული ფოლკლორული სიმღერები წარუდგინა.

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლმა და ვოკალურმა ჯგუფი მათ საცავში დაცულ ეროვნულ სამოსში ჩაცმულებმა წარმოადგინეს ქართული ფოლკლორის მარგალიტები.

უღრმესი მადლობა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისა და აჭარის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის ხელმძღვანელებს, ბატონ ვახტანგ ბერიძეს და ქალბატონ თამარ მესხიძეს კიდევ ერთი ულამაზესი სადამოსთვის.



უილიამ შექსპირის იუბილესადმი მიძღვნილი "სონეტების სადამო"

2019 წლის 30 აპრილს 16 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში უცხოური ლიტერატურის განყოფილებამ „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ ფარგლებში ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის უილიამ შექსპირის დაბადებიდან 455-ე წლისთავისადმი მიძღვნილი „სონეტების სადამო“ გამართა, სადაც ქობულეთის №1 საჯარო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ; (პედაგოგები: მაია ბარბაქაძე, თინათინ ებრალიძე, ნინო გაფრინდაშვილი, ლია თევზაძე, თინათინ გუნთაიშვილი). ქართულ და ინგლისურ ენაზე წაიკითხეს სონეტები, კლასიკური მუსიკის ფონზე წარმოადგინეს კოსტიუმირებული პერფორმანსი და გააცოცხლეს შექსპირის უკვდავი პიესების გმირები.



რამინ ადუაშვილის პოეზიის საღამო

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ 2019 წლის 24 აპრილს, 17 საათზე უმასპინძლა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორ - გამომძიებლის, აჭარის ეროვნული ქართული ჭიდაობის ფედერაციის მსაჯის, 2008 წლის საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის, მიუდოსა და ეროვნულ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ- პრიზიორის რამინ ადუაშვილის პოეზიის საღამოს. რამინ ადუაშვილმა საზოგადოებას მისი პირველი პოეზიის კრებული წარუდგინა და ახალი ლექსებიც გააცნო.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მის ღვაწლს სამშობლოს წინაშე ქალაქ ბათუმის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა და ისტორიკოსმა, ნიაზ ზოსიძემ და აჭარის ეროვნული ქართული ჭიდაობის ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ მახარაძემ.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ ბატონი რამინის მეგობრები, ქართული ნიჭიერის გამარჯვებული და უკრაინული ნიჭიერის ფინალისტი, ჯგუფ „დაიმონდის“ სოლისტი რამაზ ვარშანიძე და საქართველოს იქს-ფაქტორის გამარჯვებული ანრი გუჩმანიძე.



შეხვედრა თანამედროვე პოეტ მაყვალა დავლაძესთან

2019 წლის 22 აპრილს, 17 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თანამედროვე პოეტის, მაყვალა დავლაძის, პოეზიის საღამო შედგა.

შეხვედრა სალონური ტიპისა იყო, სადაც საოცრად თბილი და გამორჩეული ლექსები პოეტის მეგობრებმა: ინგა გოგიბერიძემ, ინგა გოგუაძემ, რუსუდან სალუქვაძემ, სოფიო ღლონტმა და ზუკა ნემსაძემ წაიკითხეს.



საღამო მუსიკალურად გააფორმეს ულამაზესმა ქალბატონებმა: პოეტმა - სოფიო ღლონტმა, მომღერალმა - სალომე მილორაჯამ, კომპოზიტორმა და ბარდმა - ინგა გოგუაძემ.

სალონური და პოეზიის საღამოთა მოყვარულებს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ხშირად ექნება საშუალება, დაესწროს და მოისმინოს გემოვნებიანი მუსიკა თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედებასთან ერთად.

საუბარი ცხოვრების ჯანსაღ წესზე

2019 წლის 7 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკულ კუთხეში“ გაიმართა ანიმაციური ფილმის ჩვენება, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობას ეხებოდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ბათუმის კერძო სკოლა „ევრო 2000“-ის მეორე კლასის მოსწავლეები. (პედაგოგი ასმათ ბერიძე) ამერიკული კუთხის კოორდინატორმა სალომე ჟორჟიკაშვილმა პატარებს სახალისო ანიმაციების მეშვეობით სასარგებლო და არასასარგებლო საკვებისა და ფიზიკური აქტივობების შესახებ ინგლისურენოვანი ვიდეორგოლები აჩვენა.



საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ ბავშვებს ბონდო მაცაბერიძის „წერილები წეროს ბუდიდან“ სახალისო მოთხრობა წაუკითხა.

ეს საოცრად ლამაზი და ჭკვიანი პატარები ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებში გაერთიანდნენ და ბარათების მეშვეობით საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული საბავშვო ლიტერატურის აქტიურად გამოყენების საშუალება მიეცათ.

ცირა ბარბაქაძის საჯარო ლექცია

დღეს, 15 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტის, ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორის, სემიოტიკის კვლევითი ცენტრის დირექტორის - ცირა ბარბაქაძის საჯარო ლექცია - „როგორ წავიკითხოთ ერთი ლექსი სამ სემიოტიკურ ენაზე“. ლექციას ქ. ბათუმის კერძო და საჯარო სკოლების ფილოლოგები და უფროსკლასელები ესწრებოდნენ. ისაუბრეს, განიხილეს სემიოტიკური ხედვები, მისი გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში საინტერესო და სასარგებლო კომპეტენციების განსაზღვრაზე იმსჯელეს.



„ჩარლი ჩაპლინი - 130“

2019 წლის 12 აპრილს, 15 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ინგლისელი კომედიური მსახიობის, რეჟისორის, სცენარისტის და მუნჯი კინოს უიშვიათესი წარმომადგენლის - ჩარლი ჩაპლინის დაბადებიდან 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ლექცია-საუბარი გაიმართა, რომელსაც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, კინომცოდნე - სოფიკო თოქმაჯიშვილი უძღვებოდა.



აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე

♥♥♥♥2 აპრილი – აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა. გაერთიანებული



ერების ორგანიზაციის ინიციატივით, ყოველი წლის 2 აპრილს აღინიშნება აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე.

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითად კორპუსში (ვაჟა-ფშაველას 21) 14 საათზე ჩატარდა საუბარი მოსწავლეებთან.

სწორედ მოზარდებთან ისაუბრა ქალაქ ბათუმის მეოთხე საჯარო სკოლის

პედაგოგმა ნატალია კეჭეხმაძემ....საუბრის მიზანი იყო გაიზარდოს აუტიზმის შესახებ ქართული საზოგადოების ინფორმირებულობა და ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიმღებ დაინტერესებულ სახელისუფლებო ორგანოებს, შეასრულონ საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულება, უზრუნველყონ აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზება. ♥♥♥♥♥♥♥♥

დენიელ კიზის ნაწარმოების „ყვავილები ელჯერნონისთვის“

2019 წლის 3 მაისს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხე"-ში „ბიბლიოთეკის კვირეული 2019 -ის“ ფარგლებში გაიმართა ამერიკელი მწერლის დენიელ კიზის ნაწარმოების „ყვავილები ელჯერნონისთვის“განხილვა.განხილვა გამართა ჩაქვის პირველი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ დავით წულაძემ.



დიდი თონეთი, დათია და ვაჟაოზა

2019 წლის 29 და 30 ივნისი მნიშვნელოვანი დღე იყო საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემისათვის. ახალი ბიბლიოთეკის გახსნით თონეთში კიდევ ერთი ახალი საგანმანათლებლო კერა შეგვემატა, სადაც პროექტით #წიგნიავტორიმიტხველი საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ 190 ეგზემპლარარი წიგნი, თანხით 697ლარი და 77 თეთრი გადასცა თონეთის ბიბლიოთეკას საჩუქრად.

29 ივნისს, სოფელ დიდ თონეთში კულტურული ღონისძიება - „ვაჟაოზა“ გაიმართა, რომელიც უკავშირდება 1886-1888 წლებში დიდი ქართველი მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის - ვაჟა ფშაველას პედაგოგიურ მოღვაწეობას თონეთში.

ღონისძიების ფარგლებში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვაჟა-ფშაველას სახელობის თონეთის სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლის დაარსების ინიციატივაც, ამავე სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდა მწერალს, დათია ბადალაშვილს ეკუთვნის. თონეთის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობაში და წიგნადი ფონდის გამდიდრებაში წვლილი შეიტანეს: საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, გამომცემლობებმა, მწერლებმა, ხელოვანებმა და სხვადასხვა რეგიონის ბიბლიოთეკებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კერძო კომპანიებმა. სოფლის ბიბლიოთეკას წიგნები საჩუქრად გადასცა ასევე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ და ააიპ კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება - კულტურის ცენტრმა.



ვიზიტი ხელვაჩაურის ბიბლიოთეკაში

2019 წლის 24 ივნისს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები, მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების მიზნით, ეწვიენ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებას.

გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის ორგანიზებით შეკრებილ მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილების და საჯარო სკოლების 24 ბიბლიოთეკართან.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ ისაუბრა 21-ე საუკუნის ბიბლიოთეკების ამოცანებზე, გამოწვევებსა და მიზნებზე. შეკრებილთ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და მიღწევები გააცნეს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსებმა და ბიბლიოთეკარებმა.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და დაისახა ამოცანები - როგორ ავუწყოთ მხარი თანამედროვე მოთხოვნებს და ვაქციოთ ჩვენი ბიბლიოთეკა ახალგაზრდების საყვარელ ადგილად.



პროექტი „ცოცხალი წიგნები“-2019 ბათუმში

2019 წლის 19 ივნისს, 17 საათზე, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნები“-ს ფარგლებში, იმყოფებოდნენ სტუმრად პროექტში მონაწილე მწერალთა ჯგუფი: თამარი ფხაკაძე, მაკა ლდოკონენი, ირმა მალაცხიძე, ლელა ცუცქერიძე, ლუკა ბაქანიძე, ზურა პაპიაშვილი და დათო ალთუნაშვილი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო როგორც მოწვეულმა მწერლებმა, ასევე კერძო ბაგა-ბაღის „ჩვენი სახლი“ში არსებული საზაფხულო სკოლის მე-6 და მე-7 კლასის მოსწავლეებმა, რომლებიც გულისყურით უსმენდნენ საბავშვო მწერლების მიერ წაკითხულ მოთხრობებს და ზღაპრებს, მათთან ერთად მუსიკალური ნომრებიც კი შეასრულეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საცავები და ეზო დაათვალიერეს, ბიბლიოთეკას კი საჩუქრად წიგნები და ჟურნალები დაუტოვეს.

#იკითხეთჩვენთან და #ცოცხალწიგნებთანერთად.



ტრენინგი „პროგრამათა და აქტუალობათა სტრატეგიული დაგეგმვა“

ინფორმაციული სამყაროს მუდმივი განახლება და თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი პროგრესი ბიბლიოთეკარებს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ გვიბიძგებს. გვასწავლის მოვლენების ახლებურად შეფასებას და ბიბლიოთეკის ყოველდღიურ ცხოვრებაში ინოვაციების დანერგვის აუცილებლობას. იზრდება თანამედროვე ბიბლიოთეკართა მაღალ კომპეტენციაზე მოთხოვნილებაც.



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, როგორც საკითხავი მასალების უაღრესად ხელმისაწვდომ წყაროს, თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრს და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებით დაკომპლექტებულ კოლექტივს, აქვს უდიდესი შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ბათუმისა და აჭარის რეგიონების ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა გადამზადებას, რეგიონებში წიგნიერების განვითარებას, ინფორმაციის, რესურსებისა და სივრცის უზრუნველყოფით.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას არა აქვს ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ბიბლიოთეკის სტატუსი, ფაქტიურად ის მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს აჭარის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკას, საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების

მართვას. 2019 წელი გამოვაცხადეთ მეთოდური დახმარების წლად. ამ ტიპის პირველი შეხვედრა შედგა 2019 წლის 28-29 იანვარს. ქალაქ ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების, კერძო და საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარებისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგ-შეხვედრა თემაზე: „მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები“. ტრენინგი ჩატარდა ტრენერმა მამუკა საფარიძემ. ტრენინგ-შეხვედრის მანძილზე აპლიკანტებმა შეისწავლეს ბრენდის სამუშაო სივრცის და სერვერების პოპულარიზების სხვადასხვა სახის ტექნიკური შესაძლებლობანი. ტრენინგის 61 მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. 2019 წლის 19 და 29 მარტს ტრენინგი ჩატარდა საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის. ტრენინგის 40 მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

2019 წლის 21 ივნისს აჭარის რეგიონების - ხულოს, შუაქვეის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონების ბიბლიოთეკარებისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში კვლავ ჩატარდა ტრენინგი „პროგრამათა და აქტოვობათა სტრატეგიული დაგეგმვა“ (ტრენერი მამუკა საფარიძე). ტრენინგის 25 მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია წარმატებას უსურვებს ყველა ბიბლიოთეკარს და კიდევ ერთხელ უგზავნის მესიჯს საბიბლიოთეკო სისტემას, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის კარი ღიაა ახალი შეხვედრებისათვის და საუკეთესო ინოვაციების დასაგეგმად. ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია დიდ მადლობას უხდის ტრენერ მამუკა საფარიძეს საინტერესო, შინაარსიანი და თანამედროვე მოტხოვნებით შესაფერი ტრენინგების ჩატარებისათვის.

მხატვრის მასტერკლასი

დღეს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მხატვარ ელგუჯა ხაზარაძის მასტერკლასი ჩატარდა, რომელსაც ბათუმის კერძო სკოლა „ევრო 2000“-ის მეოთხე კლასის მოსწავლეები პედაგოგ ლელა მოწონელიძესთან ერთად ესწრებოდნენ. მასტერკლასის თემა იყო - ფერები. ისაუბრეს ძირითად და შედგენილ, ქრომატულ და აქრომატულ ფერებზე. მხატვარმა ბავშვებს საინტერესო ნამუშევრები აჩვენა ფერთა შეხამების, ტონალობის, გრადაციისა და მათი გამოყენების ძირითად მეთოდებზე. პატარები დიდი ინტერესით და ყურადღებით ისმენდნენ მათთვის ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციებს ხატვის ტექნიკისა და ნახატის აგებისათვის საჭირო ფერების გამოყენებაზე. შეხვედრის დასრულების შემდეგ პატარები გაწვერიანდნენ საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგებში და აიღეს მკითხველთა ბარათები.



წიგნიერი 2019

ლიტერატურული ესეების კონკურსი „წიგნიერი“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი „წიგნიერი“ წელს მეხუთედ ტარდება. კონკურსი ელექტრონული წიგნების სახლ "საბას" და თიბისის მხარდაჭერით ერთდროულად იმართება თბილისში, ამბროლაურში, ბათუმსა და თელავში.

[#წიგნიერი2019ბათუმში](#), აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო



ბიბლიოთეკა პირველად მასპინძლობს. კონკურსში, რომლის მიზანი სკოლის მოსწავლეებში კითხვის პოპულარიზაციაა, X და XI კლასის მოსწავლეები ღებულობენ მონაწილეობას. მათ სამი შერჩეული ცნობილი ნაწარმოების მიხედვით ესეს დაწერა ევალებათ.

„ხელოვნური სამოთხე“ ესეს ეს სათაური პირდაპირი ჩართვის საშუალებით კონკურსანტებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გააცნო.

წლევანდელი "წიგნიერის" თემაა ნარკომანია, როგორც მძიმე სენი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. წიგნიერის წლევანდელი კონკურსის თემატიკა და ტექსტები შერჩეულია იმის გამო, რომ ნარკოდამოკიდებულება თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემაა და საქართველო გამონაკლისი არ არის.

"წიგნიერის" სამ გამარჯვებულს თიბისი, ელექტრონული წიგნების სახლი "საბა" და სხვადასხვა გამომცემლობები დაასაჩუქრებენ. "საბა" მათ ტექსტებს ელექტრონული წიგნის სახით გამოაქვეყნებს saba.com.ge-ზე.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან საზეიმო ღონისძიებაზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2019 წლის 23 აპრილს — წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეს.

„ციფრული ფოტომატიანე“

წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და კომპანია ჯეოსელის ერთობლივ პროექტს სახელწოდებით „ციფრული ფოტომატიანე“, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა უკვე ხუთი წელია ჩართულია ამ პროექტში. პროექტის მიზანია აღმოაჩინოს და შეაგროვოს სხვადასხვა ოჯახებში დაცული, აქამდე საზოგადოებისათვის უცნობი ფოტოკოლექციების ციფრული ვერსიები. ამ პროექტით დაინტერესდა და შემოგვიერთდა ქალბატონი გულნაზ ჩიჯავაძე, რომელმაც მოგვაწოდა საოჯახო ფოტო ალბომი, რომელთა უმრავლესობა გადაღებულია 1900 -იან წლებში, ფოტოთა შორის არის ახმედ ჩიჯავაძე, რომელიც იყო პირველი ოფიცერი აჭარაში, ხოზოს უფროსი. ფოტოები გავაციფრეთ და განვათავსეთ „ციფრულ ფოტომატიანეში“ იხილეთ www.bpl.ge იხილეთ E-რესურსები. მადლობა ქალბატონ გულნაზ ჩიჯავაძეს.

წამყვანი ბიბლიოთეკარი

ლია ბოლქვაძე



ტრენინგი „მონაცემთა ვიზუალიზაცია“

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკისათვის პრიორიტეტულია თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლება.

ამ მიზნით, 2019 წლის 2 ივნისს, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ ორგანიზებით სასტუმრო „Le Port“-ში ჩატარდა ტრენინგი „მონაცემთა ვიზუალიზაცია“, (ტრენერი მედია მკვლევარი-მაგდა გუგავა) და ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებმა: თამარ ბუთურიშვილმა, ეკატერინე დავითაძემ, მზია ლაბაძემ და ნანა ჩიკვაძემ.

ყველა მონაწილეს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატი



საბიბლიოთეკო დღეების დასკვნითი ღონისძიება თსუ-ში — თსუ ბიბლიოთეკა/TSU library-ში

2019 წლის 12 ივნისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის თანამშრომლობით საბიბლიოთეკო დღეების დახურვის ღონისძიება გაიმართა. საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება ბიბლიოთეკარის დღე, რომელიც ტრადიციულად 30 აპრილს დაიწყო. წელს, საბიბლიოთეკო დღეების დახურვის ღონისძიებას თსუ-ს ბიბლიოთეკა მასპინძლობდა; რომელსაც საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და გაერთიანებების, რეგიონული და საჯარო ბიბლიოთეკების წარმომადგენლები დაესწრნენ; მათ შორის იყო აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები: ნათია დევაძე და მარიამ ძნელაძე.

საბიბლიოთეკო დღეების დახურვის ღონისძიება გახსნა თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და სტუმრებს ღონისძიებაზე დასწრებისათვის და გააცნო თსუ-ს ბიბლიოთეკის შექმნის ისტორია, რომელსაც დღესდღეისობით 4 მილიონიანი წიგნადი ფონდი, უნიკალური საცავები, სარესტავრაციო-კონსერვაციის განყოფილება, თანამედროვე და უძველესი დანადგარები, მაღალკვალიფიციური რესტავრატორები და პროფესიონალ ბიბლიოთეკართა არმია ჰყავს. სიტყვით გამოვიდნენ და ბიბლიოთეკარებს მიესალმნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გამოფენები: „თსუ-ს საგანძური“; პირველად გამოიფინა კათალიკოსის - ანტონ მეორის ფერწერული პორტრეტი, რომელიც 1930-იანი წლებიდან ბიბლიოთეკის საცავებშია დაცული; გამოფენილი იყო თსუ-ს ბიბლიოთეკის საამაყო და ლეგენდარულ დირექტორთა მემორიალური ნივთები და პორტრეტები, რომლებიც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ბიბლიოთეკას; მათ შორის იყო ყველაზე გამორჩეული დირექტორის - გრიგოლ წერეთლის პირადი ნივთები; „სახელოვანი ბიბლიოთეკარები“ - ექსპოზიციაზე დამთვალიერებელს ჰქონდა საშუალება გაცნობოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე ცნობილი ბიბლიოთეკარების ფოტოპორტრეტებს, ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მათ შორის იყო ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის სახელოვან ბიბლიოთეკართა: რუსუდან ფილიპაშვილის, ლილი გოგუაძის და ვენერა გობრონიძის ფოტოები. გამოიფინა

„ნაშრომები საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, რომლებიც შედგენილი და შექმნილია ბიბლიოთეკათმცოდნეების მიერ.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა მრგვალი მაგიდა სადაც, განხილვის თემა იყო წიგნებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხი; თსუ-ს ბიბლიოთეკა გაძეგლებისთვის ამზადებს მის საგანძურში დაცულ, ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილ „დავითნი“-ს, რომელიც 1709 წლით თარიღდება, იგი საქართველოში პირველნაბეჭდი სტამბური წიგნია.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა ბიბლიოთეკარებს გააცნო „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების სხვადასხვა მუხლები, რომელიც სამომავლოდ საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფას, კოორდინაციას და ფუნქციებს უფრო ეფექტურს გახდის.



„2018-2019 წლებში ჩატარებული საქმიანობა“

2019 წლის 21 ივნისს, 12 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების უფროსის მაია ჩხატარაშვილის პრეზენტაცია, რომელმაც წარმატებით წარმოაჩინა 2018-2019 წლებში ჩატარებული საქმიანობა - განყოფილების პერიოდიკის დარბაზში, საერთო სამკითხველო დარბაზში და კულტურული პროგრამების ძირითადი სამუშაო პროცესების მიმდინარეობა.



ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების განყოფილების მუშაობის გაცნობა

2019 წლის 1 აპრილს, 12 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების განყოფილების უფროსმა - ნატალია კაკიტაძემ გამართა პრეზენტაცია განყოფილების მუშაობის, მართვის და სპეციფიკის შესახებ.....


საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების მართვის რედაქტორმა - სოფო ინაიშვილმა წარმოადგინა ელექტრონული

პროგრამის ISIS მუშაობის სპეციფიკა და გამოყენების მექანიზმი ბიბლიოთეკის ინფორმაციული ბაზის მართვისათვის.



ანალიტიკური აღწერილობა ჟურნალი - „ლიტერატურული აჭარა“

ამჟამად თქვენი ყურადღება მიიწოდება შვედური ჟურნალ „ლიტერატურული აჭარა“-ზე. „ლიტერატურული აჭარა“ — ქართული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1958 წლიდან ბათუმში ორ თვეში ერთხელ. 1970-1998 წლიდან გამოდის „ჭოროხის“ სახელწოდებით. 1999-2003 წლიდან გამოდის სათაურით:



„ლიტერატურული აჭარა“. 2004 წლიდან გამოდის სათაურით ჭოროხი.

ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკურ აღწერილობას ბიბლიოთეკებში უზრუნველყოფს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო განყოფილება. დღეის მონაცემებით სპეციალური ISIS პროგრამით, მონაცემთა ბაზა - „ჟურნალების მატრიცა“ შექმნილია და ინტერნეტი სივრცეში

განთავსებულია ჟურნალ „ლიტერატურული აჭარა“-ს ანალიტიკური აღწერილობა.

<http://cat.bpl.ge/ec/ka/jmat/search.html> ამ ბმულზე გადასვლით თქვენ საშუალება მოგეცემათ გაეცნოთ თქვენთვის სასურველ კონკრეტულ გამოცემას. დღეის მონაცემებით შექმნილია 1909 ჩანაწერი და მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის სრულ შევსებამდე.

საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული

რესურსების მართვის რედაქტორი - სოფო ინაიშვილი

ქართული წიგნებისა და კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგები

დღეის მონაცემებით შექმნილია 22 772 ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგი <http://cat.bpl.ge/ec/ka/cart/search.html> ასევე შექმნილია 127 ქართული CD-დისკების ელექტრონული კატალოგი <http://cat.bpl.ge/ec/ka/cdrom/search.html>. ეწვიეთ აღნიშნულ ბმულს და ისარგებლეთ გამარტივებული მოძიებებით. აღნიშნული ელექტრონული კატალოგის საძიებო სისტემა საკმაოდ მარტივი, დახვეწილი და მოსახერხებელია, რაც საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო სწრაფი და მოქნილი გავხადოთ მკითხველთა მოძიებების ხარისხი.

საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული

რესურსების მართვის რედაქტორი - სოფო ინაიშვილი

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დღეს! - ელექტრონული ჟურნალის წარდგინება

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში სიახლე დაინერგა -



სულ მალე ბიბლიოთეკის სერვისებს ახალი მიმართულება შეემატება ელექტრონული ჟურნალის სახით.

დღეს, 27 მაისს, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ სწორედ ამ ჟურნალის - „ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა - დღეს!“ პრეზენტაცია წარმოადგინა. ელექტრონულ ჟურნალს დაემატება ახალი რუბრიკები: „მკითხველის

გვერდი“ და „ამერიკული კუთხე“. ბიბლიოთეკის მკითხველს ექნება საშუალება ჩვენი აქტივობებისა და სიახლეების შესახებ ელექტრონული ჟურნალიდანაც მიიღოს ინფორმაცია.

აჩუქე წიგნი

აირჩიე ადამიანი, ბიბლიოთეკა, სკოლა და [#აჩუქეწიგნი](#) - ასე ჰქვია კამპანიას, რომელიც



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და „ანაგრამა“ წამოიწყო, რაც 23 აპრილს წიგნის ჩუქების დღედ გამოცხადებას გულისხმობს.

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დიდი სიამოვნებით უერთდება ბატონი გიორგი კეკელიძის ინიციატივას.

წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 23 აპრილს, 12 საათზე, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ეწვევა დაბა მახინჯაურის #1 საჯარო სკოლას (დირექტორი ცირა ქობულაძე).

23 აპრილს, 15 საათზე, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ეწვევა ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლას (დირექტორი თინა ცეცხლაძე). #აჩუქეწიგნი ინიციატივის ფარგლებში სკოლებს გადაეცემა საჩუქრად წიგნები. შეარჩიე სასურველი ადამიანი, ბიბლიოთეკა, სკოლა და [#აჩუქეწიგნი](#)

[#გიორგიკეკელიძეGiorgikekelidze](#) 2019 წლის წიგნის საერთაშორისო დღე განსაკუთრებულად აღინიშნა მთელ საქართველოში. [#აჩუქეწიგნის](#) აქტივობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ [#გიორგიკეკელიძე](#) და კამპანია "ანაგრამა"-მ დააწესა.. სწორედ ამ აქტივობას დაუკავშირა მახინჯაურის საჯარო სკოლამ (დირექტორი ცირა ქობულაძე) განხლებული ბიბლიოთეკის გახსნა.თბილისიდან საჩუქრად ახალი წიგნები ამერიკის საელჩომ, პსპ-მ, წიგნის ცენტრმა და "გალფმა" გამოაგზავნა, რომელსაც დიდ მადლობას ვუხდით აჭარის რეგიონის მოსწავლეებისა და მასწავლებელთა სახელით.



ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის ახალგაზრდობის განყოფილების ბიბლიოთეკარებმა ქალაქის ქუჩებში სასაჩუქრე წიგნები უსახსოვრეს თანაქალაქელებს. საჯარო ბიბლიოთეკის "ამერიკულ კუთხეში" გაიმართა ფოტოგამოფენა - "საქართველოს და ამერიკის ურთიერთობები, ისტორიული რეტროსპექტივა".

წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 24 აპრილს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა წიგნებით დაბა მახინჯაურის #1 საჯარო სკოლას ეწვია. (დირექტორი ცირა ქობულაძე). სწორედ, ამ აქტივობას დაუკავშირა მახინჯაურის საჯარო სკოლამ განხლებული ბიბლიოთეკის გახსნა. თბილისიდან საჩუქრად ახალი წიგნები ამერიკის საელჩომ, პსპ-მ, წიგნის ცენტრმა და "გალფმა" გამოაგზავნა.

[#აჩუქეწიგნის](#), ეკვილიბრიუმისა და კომპანია „გალფის“ მონაწილეობით 24 აპრილს მაღალმთიანი აჭარის სოფლების სასკოლო ბიბლიოთეკებს: 1.ოლადაური (შუახევი) 2. მაწყვალთა (შუახევი) 3. პირველი მაისი (ქედა) 4. კოკოტაური (ქედა) წიგნები გადაეცა საჩუქრად. წიგნები შემოგვწირეს: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში, აჭარის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ინგა გოგიბერიძემ და კომპანია psp-მ [#ეკვილიბრიუმი](#) [#გალფი](#) [#ეროვნულიბიბლიოთეკა](#) [#გიორგიკეკელიძე](#)[#giorgikekelidze](#)

წიგნის საერთაშორისო დღე

2019 წლის 23 აპრილი, წიგნის საერთაშორისო დღე.

ეს თარიღი “იუნესკომ” უილიამ შექსპირის დაბადების და გარდაცვალების გამო აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. 23 აპრილი, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეცაა, წლეუანდელი თარიღი კი განსაკუთრებულად აღინიშნა მთელ საქართველოში. ინიციატივა, 23 აპრილი წიგნის ჩუქების დღედ დაწესდეს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძესა და „ანაგრამას“ ეკუთნის.

[#აჩუქეწიგნი](#) – ეს კამპანიის მთავარი გზავნილია. ინიციატივის მთავარი მიზანი, ქვეყანაში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციაა.



აქციას არაერთი სახელმწიფო, კერძო თუ საგანმანათლებლო ორგანიზაცია შეუერთდა. ჩატარდა ღონისძიებები, სადაც შეგროვდა წიგნები რეგიონების ბიბლიოთეკების მოსამარაგებლად და მხარდასაჭერად.

წიგნის საერთაშორისო დღეს სხვადასხვა აქტივობებით შეუერთდა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა. „აირჩიე ადამიანი, ბიბლიოთეკა, სკოლა და #აჩუქეწიგნი“ - კამპანიის ფარგლებში 23 აპრილს, ჩვენს ბიბლიოთეკას ქართულ ამერიკული სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ.

ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის ახალგაზრდობის განყოფილების ბიბლიოთეკარებმა ქალაქის ქუჩებში სასაჩუქრე წიგნები უსახსოვრეს თანაქალაქელებს.

საჯარო ბიბლიოთეკის "ამერიკულ კუთხეში" გაიმართა ფოტოგამოფენა - "საქართველოს და ამერიკის ურთიერთობები, ისტორიული რეტროსპექტივა".

წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 24 აპრილს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა წიგნებით დაბა მახინჯაურის #1 საჯარო სკოლას ეწვია. (დირექტორი ცირა ქობულაძე). სწორედ, ამ აქტივობას დაუკავშირა მახინჯაურის საჯარო სკოლამ განხლებული ბიბლიოთეკის გახსნა. თბილისიდან საჩუქრად ახალი წიგნები ამერიკის საელჩომ, პსპ-მ, წიგნის ცენტრმა და "გალფმა" გამოაგზავნა.

[#აჩუქეწიგნის](#), ეკვილიბრიუმისა და კომპანია „გალფის“ მონაწილეობით 24 აპრილს მაღალმთიანი აჭარის სოფლების სასკოლო ბიბლიოთეკებს: 1.ოლადაური (შუახევი) 2. მაწყვალთა (შუახევი) 3. პირველი მაისი (ქედა) 4. კოკოტაური (ქედა) წიგნები გადაეცა საჩუქრად.

წიგნები შემოგვწირეს: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში, აჭარის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ინგა გოგიბერიძემ და კომპანია psp-მ.

2019 წლის 23 აპრილი, წიგნის საერთაშორისო დღე

ეს თარიღი “იუნესკომ” უილიამ შექსპირის დაბადების და გარდაცვალების გამო აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. 23 აპრილი, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეცაა, წლევეანდელი თარიღი კი განსაკუთრებულად აღინიშნა მთელ საქართველოში. ინიციატივა, 23 აპრილი წიგნის ჩუქების დღედ დაწესდეს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძესა და „ანაგრამას“ ეკუთნის.

[#ჩუქეწიგნი](#) – ეს კამპანიის მთავარი გზავნილია. ინიციატივის მთავარი მიზანი, ქვეყანაში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციაა.



აქციას არაერთი სახელმწიფო, კერძო თუ საგანმანათლებლო ორგანიზაცია შეუერთდა. ჩატარდა ღონისძიებები, სადაც შეგროვდა წიგნები რეგიონების ბიბლიოთეკების მოსამარაგებლად და მხარდასაჭერად.

წიგნის საერთაშორისო დღეს სხვადასხვა აქტივობებით შეუერთდა აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა. „აირჩიე ადამიანი, ბიბლიოთეკა, სკოლა და [#ჩუქეწიგნი](#)“ - კამპანიის ფარგლებში 23 აპრილს, ჩვენს ბიბლიოთეკას ქართულ ამერიკული სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ.